პროექტი MUGA

ინფორმაციული საფრთხეების
წინააღმდეგ ბრძოლა მოლდოვაში,
უკრაინაში, საქართველოში და სომხეთში

ინფორმაციული გარემოს შესწავლა

საქართველო

INFO OPS POLSKA

www.infoops.pl | www.dfrlab.org

DFRLab

პროექტი MUGA

საინფორმაციო გარემოს კვლევა: საქართველო

პროექტი MUGA განხორციელებულია INFO OPS Polska Foundation-სა and DFRLab (Atlantic Council)-ის მიერ

პროექტი დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის კონკურსის „საჯარო დიპლომატია 2024-2025 - ევროპული განზომილება და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა“ ფარგლებში.

პუბლიკაცია გამოხატავს მხოლოდ ავტორების შეხედულებებს და ის არ უნდა გაიგივდეს პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციასთან.

Ministerstwo Spraw Zagranicznych

სარჩევი:

შესავალი **5**
1. საინფორმაციო გარემოს მახასიათებლები **9**
ა) საინფორმაციო წყაროები 10
ძირითადი დასკვნები 18
ბ) ინტერნეტი 19
ძირითადი დასკვნები 20
გ) ტელევიზია 24
დ) ზეპირსიტყვიერად გავრცელებული ინფორმაცია 38
ე) რელიგიური ინსტიტუტები – რელოგიური ნარატივების გავლენა და კავშირები საქართველოში 42
ვ) ტრადიციული მედია 53
i. სახელმწიფო მედია 53
ii. კერძო მედია 56
ზ) არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა სუბიექტები, რომლებიც საზოგადოების აზრის ფორმირებაზე გავლენას ახდენენ 74
2. მანიპულაციის შერჩეული ტაქტიკების და ტექნიკების იდენტიფიცირება და ანალიზი, დარწმუნების ენობრივი მექანიზმები და ქმედებები და ფსიქოლოგიური ეფექტები **93**
3. დასავლეთის წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო კამპანიები **111**
ა) ნარატივი: დასავლეთს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა სურს 113
ბ) ნარატივი: ჰომოფობიის და ლგბტქ+ საკითხების იარაღად გამოყენება 119
გ) ნარატივი: დასავლური დაფინანსება, გავლენის გაენტები და საქართველოს კანდიდატის სტატუსი 129
დ) შეერთებული შტატების, როგორც სტრატეგიული პარტნიორის, კრიტიკა ქართული ოცნების მიერ 135
ე) არასამთავრობო სექტორზე შეტევა 137
ვ) საკამათო კანონის მხარდამჭერი პროპაგანდისტული კამპანია 139
ზ) ქართული ოცნების ძირითადი ნარატივები 141
4. პოლონეთის წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო ოპერაციები **142**
ა) საპარლამენტო არჩევნები საქართველოში 144
ბ) ომი უკრაინაში 145
5. Case Study – პოლონეთის წინააღმდეგ მიმართულ ნარატივთა ანალიზი DISARM მოდელის საფუძველზე **150**
6. Case Study – პროტესტი საქართველოში **157**
7. რეკომენდაციები **164**
ა) საინფორმაციო გარემოს შეჯამება 164

ბ) სტრატეგიული ანალიზი – რეგიონული ვითარების გავლენა პოლონეთის სტრატეგიულ მიზნებზე 166
გ) ტრენინგი 167
დ) იმპლემენტაცია 168
ე) კომუნიკაციის მხრივ გადასადგმელი ნაბიჯები 169
ვ) კვლევა და განვითარება 171

შესავალი

საქართველოს პროდასავლური პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილებაზე ეჭვი ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გაჩნდა. წინა ხელისუფლება, საქართველოს პროდასავლური კურსის გაძლიერების მიზნით, დიდ ყურადღებას აქცევდა ქმედებების თანმიმდევრულობასა და საინფორმაციო მესიჯებს. ყოველი ქმედება მიზნად ისახავდა ერთიანი გზავნილის შექმნას როგორც შიდა აუდიტორიისთვის, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისთვის, ქვეყნის დასავლეთთან ინტეგრაციის მხარდაჭერისთვის. თუმცა, პრემიერ-მინისტრის რანგში ბიძინა ივანიშვილის პირველი რამდენიმე საგარეო ვიზიტი - ჯერ აზერბაიჯანში, შემდეგ სომხეთში - წინა კურსს ეწინააღმდეგებოდა.

ერევანში გამართულ შეხვედრაზე ივანიშვილმა სომხეთი შეაფასა როგორც საგარეო პოლიტიკის მისაბაძი მოდელი. ამ განცხადებამ, ოფიციალური ვიზიტის ხასიათთან ერთად, საქართველოს გეოპოლიტიკურ პოზიციაზე დებატები გამოიწვია. ვიზიტმა ასევე საქართველო-სომხეთის სარკინიგზო ხაზზე ტრანზიტის პოტენციური აღდგენის შესახებ დისკუსია გააცოცხლა. ივანიშვილმა განაცხადა, რომ მან ეს საკითხი თავის სომეხ კოლეგასთან განიხილა და ოპტიმიზმი გამოთქვა საკითხის მოგვარების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სარკინიგზო ხაზი დახურულია, დიდი ხნის განმავლობაში არსებული ტაბუ და მედია სპეკულაცია მის ხელახლა გახსნასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, გაუქმდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხაზზე მოძრაობის აღდგენას უფრო ფართო გავლენა აქვს, რაც პირდაპირ ეხება საქართველოს რუსეთთან, ოკუპირებულ აფხაზეთთან და სომხეთთან ურთიერთობებს. სარკინიგზო მარშრუტი იწყება რუსეთში, გადის აფხაზეთზე, კვეთს საქართველოს და აკავშირებს სომხეთს. ისტორიულად, ეს ხაზი იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ვაჭრობის ინსტრუმენტებს შორის, რომელიც საქართველოს გააჩნდა რუსეთთან მოლაპარაკებებში, განსაკუთრებით აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების ან მსგავსი მნიშვნელობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით. რუსეთზე ამ ფორმის ბერკეტის

გაუქმება მხოლოდ კრემლის ინტერესებს თუ მოემსახურებოდა. ამ მოვლენებიდან მალევე გაჩნდა ინფორმაცია საქართველოსა და რუსეთის სპეცსამსახურების სავარაუდო „თანამშრომლობის“ შესახებ, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა არსებული ეჭვები საქართველოს კურსის მიმართულებასთან დაკავშირებით. 2007 წლის 20 სექტემბერს განხორციელებული კოდორის სპეცოპერაციის შედეგებთან დაკავშირებული საიდუმლოებით მოცული ცნობები მოვლენების შემაშფოთებელ თანმიმდევრობაზე მიუთითებს. აღნიშნული ოპერაციის დროს, ქართულმა სპეციალურმა დანაყოფებმა გაანეიტრალეს ორი რუსი დაზვერვის ოფიცერი, იგორ მოზავატნიკი და არტურ დვორკინი, რომლებიც ტყვარჩელში მდებარე ბაზიდან მოქმედ სადაზვერვო ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ. მიუხედავად ინციდენტის მკაცრად კონფიდენციალური ხასიათისა, მან კრემლის მკვეთრი და ემოციური რეაქცია გამოიწვია, რომელმაც მოითხოვა ღონისძიებაში მონაწილე პირების დასჯა.

სამი წლის შემდეგ, სავარაუდო საპასუხო აქტის ფარგლებში, რუსეთის სპეცსამსახურებმა ტერორისტული ხასიათის მეთოდები გამოიყენეს. 2010 წლის 6 მაისს ბათუმში ავტომანქანის აფეთქების შედეგად დაიღუპა კოდორის ოპერაციის მონაწილე დიმიტრი კორძაძე. გამოძიებამ ამ ინციდენტსა და რუსული სპეცსამსახურების საქმიანობას შორის კავშირი დაადგინა. გიორგი ივანიძემ, რომელმაც ემიგრაციაში წასვლა 2016 წელს გადაწყვიტა, კოდორის ოპერაციასა და ხუთი ქართველი სპეცრაზმელის საეჭვო დაღუპვას შორის კავშირზე მიუთითა, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა შურისძიების შესახებ ეჭვები. იდუმალ ვითარებაში გარდაცვლილთა შორის იყო გიორგის ძმა, ივანე ივანიძე. ავტოსაგზაო შემთხვევამ, რომელშიც ის დაიღუპა, მრავალი ეჭვი გააჩინა: ავტომობილზე აღმოჩენილი ტყვიის კვალი მიზანმიმართულ ქმედებაზე მიუთითებდა. გავრცელებული ინფორმაციით, ივანე გარდაცვალებამდე რუსმა აგენტებმა კოდორის ოპერაციასთან დაკავშირებით დაკითხეს. მსგავსი ბედი ეწიათ ამ ღონისძიების სხვა მონაწილეებსაც: ლაგვილავა ოფისში აფეთქებას ემსხვერპლა, ხოლო არჩილ მამაგეიშვილი 2016 წელს საჯარო ავტოსადგომზე ჩაცხრილეს. ეს ინციდენტები რუსეთის სპეცსამსახურების

სისტემატურ ქმედებებზე მიუთითებს, რომლებიც მიზნად კოდორის ოპერაციაში მონაწილე პირების ლიკვიდაციას ისახავდა. ყოველივე ეს საპასუხო ქმედებების მკაფიო ნიმუშს წარმოადგენს, რომელიც არა მხოლოდ ძირს უთხრის საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას, არამედ რუსეთის სამსახურების მიერ განხორციელებული დესტაბილიზაციის ოპერაციების მასშტაბებს ავლენს.

საიფუმლოებებით მოცული გარდაცვალების სერიის შემდეგ, ერთ-ერთმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ განაცხადა, რომ მისი პერსონალური მონაცემები რუსულ პროპაგანდისტულ ფილმში გამოჩნდა. მან გაოცებით და შეშფოთებით აღნიშნა, რომ მსგავსი კონფიდენციალური ინფორმაცია უსაფრთხოდ უნდა ყოფილიყო დაცული თავდაცვის სამინისტროს რესურსებში და არ უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი უცხოური სუბიექტებისთვის. მალევე, კიდევ ერთმა ქართველმა ჯარისკაცმა, რომელიც უკრაინაში მსახურობდა,



განაცხადა, რომ მისი პირადი მონაცემები ასევე გასაჯაროვდა — ამჯერად რუსული მესენჯერის, „ტელეგრამის“ საშუალებით. ეს ინციდენტები მიუთითებს არა მხოლოდ ქართულ ინსტიტუტებში მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევაზე, არამედ მიზანმიმართულ პროპაგანდასა და ფსიქოლოგიურ ოპერაციებზე, რომლებიც მიმართულია ქართველი სამხედრო პერსონალის წინააღმდეგ.

2022 წელს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილმა მოადგილემ, სოსო გოგაშვილმა Facebook-ის საკუთარ გვერდზე განცხადება გაავრცელა, სადაც საერთაშორისო სანქციების გვერდის ავილს სავარაუდო „დაცული სისტემის“ არსებობა გამოააშკარავა. მისი თქმით, ეს სისტემა ქართული და რუსული სპეცსამსახურების კოორდინაციისთვის გამოიყენება.

გოგაშვილის ცნობით, არალეგალური ტვირთის გადასაზიდად საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტის ქსელები გამოიყენებოდა. ოპერაციაში სავარაუდოდ ჩართულნი იყვნენ მნიშნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტები, მათ შორის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და ეკონომიკის სამინისტრო. გოგაშვილის აღწერით, ეს მექანიზმი უკიდურესად იზოლირებული და რთულად გამოსავლენია. „ამ მიმოქცევის გაკონტროლება გარედან ძალიან რთულია, ისეა დახურული სისტემა," წერდა ის.

აღნიშნულმა განცხადებამ ფართო განხილვა გამოიწვია და საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების საერთაშორისო ნორმების დამრღვევ საქმიანობაში შესაძლო ჩართულობის შესახებ კითხვები გააჩინა. გაჟღერებული ბრალდებების საფუძვლიანი გამოძიების და დადასტურების შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირების დასჯის მრავალი მოთხოვნა გაჟღერდა.

ამ პერიოდში, საქართველოში ე.წ. კონსერვატიული მოძრაობების განვითარებისთვის საფუძვლის ჩაყრდა დაიწყო, რაც ფაქტობრივად ქართული ნეოფაშიზმის დასაწყისი გახდა. დაარსდა ორგანიზაციები ფსევდოპატრიოტული სახელწოდებებით, როგორიცაა „ქართული ძალა" და „ქართული მარში". აღნიშნული ჯგუფები, მათი საქმიანობის საწყის ეტაპზე აშკარა ანტიდასავლურ განცხადებებს ან ღიად პრორუსული პოლიტიკური დღის წესრიგის მხარდაჭერას ერიდებოდნენ.

ისინი რიტორიკას თურქეთის წინააღმდეგ მიმართავდნენ, რათა ქართულ საზოგადოებაში დომინანტური შეხედულებისთვის - „რუსეთი ოკუპანტია" გამოწვევა გაეკეთებინათ. გაჩნდა ნარატივი, რომ „თურქეთიც ოკუპანტია", რაც

საქართველოს გეოპოლიტიკური დისკურსის შეცვლას ისახავდა მიზნად. ნეოფაშიზმის ელემენტებით შთაგონებული ეს ახალი იდეოლოგიური დინება ცდილობდა ტრადიციული ანტირუსული ნარატივის შესუსტებას და ალტერნატიული თვალსაზრისის დანერგვას, რომელიც ძირს უთხრიდა არსებული ეროვნულ კონსენსუსს საგარეო პოლიტიკასა და ეროვნული უსაფრთხოებაზე.

აღნიშნულ კონტექსტში დაფიქსირდა საგანგაშო შემთხვევები, როცა თბილისის ქუჩებში განსხვავებული ჩაცმულობის ან გარეგნობის ახალგაზრდები თანატოლების მხრიდან ფიზიკური ძალადობის სამიზნეები ხდებოდნენ. ქალაქში დაძაბული ატმოსფერო ვითრდებოდა და საზოგადოებრივი სივრცეები აღარ აღიქმებოდა უსაფრთხო ადგილებად მათთვის, ვინც განსხვავებული სტილით ან თვითგამოხატვის ფორმით გამოირჩეოდა.

ზემოაღნიშნული ფსევდო-პატრიოტული მოძრაობების გამოჩენას მალევე თან მოჰყვა საინფორმაციო სივრცეში სტრატეგიულად დაგეგმილი გზავნილების გახშირება, რომლებიც ღიად ანტიდასავლური განწყობების გაღრმავებას ისახავდა მიზნად. ეს გზავნილები საზოგადოებაში განხეთქილებას მიზანმიმართულად აღრმავებდა და ევროპული ინტეგრაციისა და დასავლეთთან თანამშრომლობის მისწრაფებების შესუსტებას ცდილობდა.

აღნიშნული მოვლენები, „განსხვავებულებზე“ მზარდი ძალადობისა და ანტიდასავლური რიტორიკის გაძლიერებასთან ერთად, მიუთითებს შემაშფოთებელ მიმართულებაზე, რომლისკენაც ზოგიერთმა ლოკალურმა ჯგუფმა დაიწყო სვლა. ამ საკითხს დეტალურად შევეხებით კვლევის მომდევნო თავებში, სადაც გაანალიზებული იქნება ამ ქმედებების წყაროები, მოტივები და შედეგები.

1. საინფორმაციო გარემოს მახასიათებლები

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული გამოწვევები მუდმივად თან სდევდა. თუმცა „ვარდების

რევოლუციის“ შემდეგ მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა, მიუხედავად იმისა, რომ იდეალურისგან შორს დარჩა. ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“-ს მიერ გამოქვეყნებული „მსოფლიო მედიის თავისუფლების ინდექსის 2024 წლის“ მიხედვით, საქართველო 180 ქვეყანას შორის 103-ე ადგილზეა. საქართველოში მედიაგარემო მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებით, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პოლარიზაციით ხასიათდება.

ბოლო წლების გლობალურ რეიტინგებში საქართველოს პოზიცია მკვეთრად იცვლებოდა. 2020 და 2021 წლებში ქვეყანა 60-ე ადგილზე იყო. 2022 წელს საქართველოს პოზიცია გაუარესდა 89-ე ადგილზე გადანაცვლებით. 2023-ში, საქართველო 77-ე ადგილზე იმყოფებოდა, ხოლო 2024-ში მდგომარეობა კვლავ გაუარესდა და ქვეყანა, 180 ქვეყნიდან, 103-ე ადგილს დაუბრუნდა.



ქართული მედია გარემო განსაკუთრებული პოლარიზაციითა და დაძაბულობით ხასიათდება, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში. ინტენსიურმა პერიოდმა, რომელსაც თან ახლდა

მთავრობასთან აფილირებულ და ოპოზიციური მედიასაშუალებებს შორის მკვეთრი დაპირისპირება, უარყოფითად იმოქმედა ჟურნალისტიკის ხარისხსა და დამოუკიდებლობაზე. ეს პოლარიზაცია საქართველოსთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება მედიის თავისუფლებისა და ობიექტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

„Freedom House"-ის ანგარიშში საქართველო „ნაწილობრივ თავისუფალ" ქვეყნად არის შეფასებებული. ანგარიში პოზიტიურად აფასებს შედარებით თავისუფალ ონლაინ გარემოს, რომელიც ხასიათდება ინტერნეტზე წვდომით, ვებსაიტების დაბლოკვის მცირე შემთხვევებით და ონლაინ გამოხატვასთან დაკავშირებული დაპატიმრებების დაბალი რაოდენობით, რაც დაცულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით.

თუმცა, მედია გარემო ქვეყანაში კვლავ რთული და უაღრესად პრობლემურია. ამის გამომწვევი მიზეზი მედიასა და კერძო პირებს, ასევე, მედიასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მჭიდრო კავშირებია. შედეგად, ვერცერთი მთავარი საინფორმაციო წყარო ვერ ჩაითვლება მანიპულაციებისგან სრულად დაცლილად. მოცემული ვითარება კიდევ უფრო აფერხებს მოქალაქეების წვდომას სანდო და დამოუკიდებელ ინფორმაციაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს მათ უნარზე, მიიღონ ინფორმირებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები.

ა) საინფორმაციო წყაროები

ინტერნეტის შედარებით გვიანი გამოჩენისა და სოფლის ტიპის დასახლებებში მისი შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო, ტრადიციული მედია საქართველოში დღემდე მეტად პოპულარობით სარგებლოვს, ვიდრე თანამედროვე ციფრული მედია. მიუხედავად ამისა, მედიის გაციფრულების გლობალური ტენდენციის შესაბამისად, ინტერნეტის მომხმარებელთა მზარდი რაოდენობა მიუთითებს, რომ

გრძელვადიან პერსპექტივაში ინტერნეტის, როგორც ახალი ამბების წყაროს გამოყენება, სავარაუდოდ, გადააჭარბებს ბეჭდური პრესის გამოყენებას.

ამ ფენომენის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორია ბეჭდური პრესის განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს გაზეთებისა და ჟურნალების დროულ მიწოდებას შორეულ სოფლის ტიპის დასახლებებში. შედეგად, ბეჭდური პრესა კარგავს თავის მნიშვნელობას და შეიძლება თამამად ვივარაუდოთ, რომ გაზეთები, როგორც ინფორმაციის ძირითადი წყარო საქართველოში, განსაკუთრებით სოფლად, თანდათან ქრება.

ეს პროცესი ხაზს უსვამს ციფრულ ინფრასტრუქტურაში ინვესტირებისა და ონლაინ მედიის განვითარების მნიშვნელობას, რომელთაც პოტენციალი აქვთ, საქართველოს სოფლისა და ურბანულ დასახლებებს შორის განსხვავება შეამცირონ.

2024 წლის ივლისის მონაცემებით, საქართველოს ოჯახების 91 პროცენტზე მეტს აქვს ინტერნეტზე წვდომა, რაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 12 პროცენტიან ზრდას წარმოადგენს. ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ზრდამ საგრძნობლად შეცვალა საზოგადოების ინფორმაციის მოხმარების ჩვევები. ამავე დროს, ეს ტენდენციები ციფრული წყაროების გამოყენების სტრუქტურული ცვლილებებზე მიუთითებს.

ამჟამად, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 94% ინტერნეტს სოციალურ მედიაზე წვდომისთვის იყენებს, რომელიც ხშირად დაუდასტურებელი და გაუფილტრავი ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს. ამასთანავე, მკვეთრად შემცირდა ინტერნეტის გამოყენება ონლაინ მედიის პლატფორმებზე წვდომისთვის. თუ 2019 წლის ივლისში საზოგადოების 55.4% აცხადებდა, რომ ინტერნეტით ეცნობოდა ონლაინ გაზეთებს ან ჟურნალებს, 2024 წლის ივლისში ეს მაჩვენებელი 46.6%-მდე დაეცა, რაც სანდო და გადამოწმებული ინფორმაციის წყაროების მოხმარების 8.8%-იან შემცირებას ნიშნავს.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მედიის მოხმარების მაჩვენებელი სტაბილურია, გადამოწმებული ინფორმაციის მაძიებელ მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება საზოგადოების დაუდასტურებელ და პოტენციურად შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიმართ მზარდ დაუცველობაზე მიუთითებს. ეს ცვლილება საფრთხეს უქმნის ქართული საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხს და ზრდის მანიპულაციის რისკს.

ეს მონაცემები დასტურდება „კავკასიის ბარომეტრის“ კვლევებით, რომლებიც საქართველოში 2009 წლიდან რეგულარულად ტარდება. კვლევების შედეგების მიხედვით, ინტერნეტის მოხმარების ზრდას თან ახლავს ტელევიზიაზე დამოკიდებული მოსახლეობის კლების ტენდენცია. მიუხედავად ამისა, 2024 წელს მოსახლეობის 49%-ისთვის ტელევიზია კვლავ რჩებოდა ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ.

იმავე მონაცემების თანახმად, 2024 წელს, საქართველოს მოსახლეობის 21%-მა ინფორმაციის ძირითად წყაროდ სოციალური მედია, ხოლო 19%-მა სხვა ონლაინ წყაროები (სოციალური მედიის გარდა) დაასახელა. ეს სტატისტიკა აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიის მნიშვნელობის შემცირების მიუხედავად, ის კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალი ამბების მიწოდებაში, ხოლო ციფრული მედია, მათ შორის სოციალური მედია, სულ უფრო მეტად იძენს პოპულარობას, როგორც ალტერნატიული საინფორმაციო არხები.

ინტერნეტის მნიშვნელობის ზრდა და ტელევიზიის როლის შემცირება, ქართულ საზოგადოებაში, ინფორმაციის მოხმარების ჩვევების თანდათანობით ტრანსფორმაციაზე მიუთითებს, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მოვლენების აღქმასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ზემოთ მოცემული დიაგრამა აჩვენებს მიმდინარე მოვლენების შესახებ მთავარი საინფორმაციო წყაროების ცვლილებას 2009, 2021 და 2024 წლებში. ძირითადი ტენდენციები შემდეგნაირია:

- ტელევიზია კვლავ რჩება წამყვან წყაროდ, თუმცა მისი პოპულარობა 2009 წელსს 88%-დან 2024 წელს 49%-მდე დაეცა.
- სოციალური მედიის და ინტერნეტის (სოციალური მედიის გარეშე) მოხმარება მნიშვნელოვნად გაიზარდა — 2024 წელს მათ წილი, შესაბამისად, 21% და 19% იყო.
- ინფორმაციის სხვა წყაროებს, როგორიცაა ოჯახი, მეგობრები, თანამშრომლები ან პასუხი „არ ვიცი“, უმნშვნელო მაჩვენებელი აქვთ.

ტენდენცია მიუთითებს ტრადიციული მედიის (ტელევიზიის) პოპულარობის შემცირებასა და თანამედროვე ციფრული პლატფორმების პოპულარობის ზრდაზე.

განსხვავებული ვითარებაა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მეორე მთავარ წყაროსთან დაკავშირებით. 2009 წლის მონაცემებით,

გამოკითხულთა 37%-მა მეზობლები და ნაცნობები ინფორმაციის მეორე მთავარ წყაროდ დაასახელა. თუმცა, 2024 წლისთვის ეს მაჩვენებელი 17%-მდე შემცირდა. ამავდროულად, ოჯახის წევრების, როგორც ინფორმაციის მეორე მთავარი წყაროს როლი სტაბილური დარჩა - 2009 წელს 14%-იანი მაჩვენებელი თითქმის იგივე დარჩა 2024 წელს. ტრადიციული ბეჭდური მედია, როგორიცაა გაზეთები და ჟურნალები, პრაქტიკულად გაქრა საქართველოს საინფორმაციო გარემოდან და მიმდინარე მოვლენების ინფორმაციის წყაროდ ყოფნის მნიშნელობა დაკარგა.

ამავე დროს, სოციალურმა მედიამ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა და ამჟამად გამოკითხულთა 22%-ისთვის ინფორმაციის მეორე მთავარ წყაროს წარმოადგენს. ტრადიციული მედიიდან, რომელიც პოტენციურად მავნე ან ცრუ კონტენტის ფილტრაციის მცველის (gatekeeper) როლს ასრულებდა, გაუფილტრავ და დაუდასტურებელ საინფორმაციო პლატფორმებზე სწრაფი გადასვლა დეზინფორმაციისა და მანიპულაციის მიმართ საზოგადოების მზარდ დაუცველობას უსვამს ხაზს.

ეს ტენდენცია ინფორმაციის მოხმარების გლობალურ ცვლილებებს ასახავს, თუმცა, ამავდროულად, მიუთითებს მედია-წიგნიერების აუცილებლობაზე, რათა



გადაუმოწმებელი ინფორმაციის საზოგადოებაზე ზეგავლენა შემცირდეს. ზემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მიმდინარე მოვლენების შესახებ მეორეხარისხოვანი საინფორმაციო წყაროების ცვლილებას 2009, 2021 და 2024 წლებში. ძირითადი ტენდენციები შემდეგნაირია:

- ტელევიზია, პოპულარობის შემცირების მიუხედავად, ინფორმაციის ერთ-ერთ მთავარ მეორად წყაროდ რჩება, თუმცა, მისი მნიშვნელობა 2009 წლის 37%-იანი მაჩვენებლიდან 2024 წელს 14%-მდე შემცირდა.
- სოციალური მედიის და ინტერნეტის (სოციალური მედიის გამოკლებით) მოხმარება, როგორც ინფორმაციის მეორადი წყარო, მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2024 წელს 14% და შესაბამისად, 12% შეადგინა.
- მეზობლები და ნაცნობები, ასევე ოჯახის წევრები, კარგავენ მეორადი წყაროს ფუნქციას, რაც ინფორმაციის გადაცემაში ტრადიციული ინტერპერსონალური ურთიერთქმედებების შემცირებულ როლზე მიუთითებს.

ინფორმაციის ტრადიციული წყაროების შემცირებასთან ერთად ციფრული მედიის მნიშვნელობის ზრდის აშკარა ტენდენცია შეინიშნება.

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ინფორმაციული პრეფერენციების შესახებ დეტალური მონაცემები ავლენს მნიშვნელოვან განსხვავებებს იმაში, თუ როგორ იღებენ ქართველები ინფორმაციას მათი ასაკის მიხედვით.

- **ასაკობრივი ჯგუფი 18-34:**
  ამ ჯგუფში ქართველი ახალგაზრდები ახალგაზრდები აშკარად ანიჭებენ უპირატესობას სოციალურ მედიას და ინტერნეტს, როგორც ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროებს. ერთად აღებული, ეს წყაროები ინფორმაციული პრეფერენციების 65%-ს შეადგენს, მაშინ როცა გამოკითხულთა მხოლოდ 20% ირჩევს ტელევიზიას. ეს არის მკაფიო ტენდენცია, რომელიც მიუთითებს ციფრული მედიის მზარდ როლზე ახალგაზრდა სეგმენტში.

- **ასაკობრივი ჯგუფი 35-54:**
  საშუალო ასაკის ადამიანებში ტელევიზია ყველაზე პოპულარულ საინფორმაციო საშუალებად რჩება – რესპონდენტების 43% ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ მას ასახელებს. სოციალური მედია (22%) და სხვა ონლაინ წყაროები (24%) ასევე მნიშვნელოვანია და ერთად 46%-ს შეადგენს, რაც ასახავს მათ მზარდ მნიშვნელობას ამ ასაკობრივ ჯგუფში.
- **ასაკობრივი ჯგუფი 55+:**
  55 წელს ზემოთ ასაკის ადამიანებში, რესპოდენტთა 80%-ის მიხედვით, ინფორმაციის მიღების მთავარ წყარო ტელევიზიაა. ეს ასაკობრივი ჯგუფში სოციალურ მედიასა და ინტერნეტს მცირე მნიშვნელობა ანიჭებს, რაც უფროსი თაობის ტრადიციულ მედიასთან მიჯაჭვულობას აჩვენებს.

ინფორმაციული პრეფერენციების ეს განსხვავებები მედია ჩვევებში ასაკთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ცვლილებებზე მიუთითებს. ახალგაზრდა ჯგუფები სულ უფრო მეტად ეყრდნობიან ციფრულ მედიას, რაც დაუდასტურებელ

ინფორმაციაზე წვდომასთან დაკავშირებულ როგორც სარგებელს, ასევე რისკებს მოიცავს. უფროსი თაობისთვის ტრადიციული მედია, როგორიცაა ტელევიზია, კვლავ რჩება ინფორმაციის მიღების დომინანტურ წყაროდ.



ინფორმაციის მიღების მეორე ძირითადი წყაროს ანალიზი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:

- **ასაკობრივი ჯგუფი 18-34:**

  ამ ჯგუფში ინფორმაციის სამი ძირითადი წყარო - ტელევიზია, სოციალური მედია და ინტერნეტი - ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფორმაციის მიწოდების მხრივ. თუმცა, აქ ახალი მნიშვნელოვანი წყაროებიც ჩნდება: მეზობლები და მეგობრები (17%) და ოჯახის წევრები (15%). ეს ხაზს უსვამს იმას, რომ ციფრული მედიის დომინირების მიუხედავად, პირად ურთიერთობებს მაინც გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

- **ასაკობრივი ჯგუფი 35-54:**

საშუალო ასაკის პირებისთვისაც ინფორმაციის ზემოაღნიშნული სამი ძირითადი წყარო ინარჩუნებს დომინანტურ პოზიციას, თუმცა სოციალური მედიისა და ინტერნეტის მნიშვნელობა ოდნავ მცირეა. მეზობლები და მეგობრები (12%) და ოჯახის წევრები (8%) დამატებით მნიშვნელოვან ინფორმაციის წყაროებს წარმოადგენენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პირადი ურთიერთობები კვლავაც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, განსაკუთრებით, უფრო ტრადიციულ საზოგადოებებში.

- **ასაკობრივი ჯგუფი 55+:**

  უფროსი ასაკობრივი ჯგუფისთვის მეზობლები და მეგობრები (22%) მეორადი ინფორმაციის მიღების ყველაზე ხშირად დასახელებული წყაროა. ოჯახის წევრები და სოციალური მედია მეორე ადგილს იკავებენ 18%-ით, რაც ამ ასაკობრივ ჯგუფში ინტერპერსონალურ ურთიერთობებსა და ინფორმაციის ტრადიციულ წყაროებზე უფრო მეტად დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

ძირითადი დასკვნები

- ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი ციფრულ ინფორმაციის წყაროებზე, როგორიცაა სოციალური მედია და ინტერნეტი, თუმცა მათთვის პირადი ურთიერთობები კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს.
- საშუალო ასაკის ადამიანები აბალანსებენ ციფრული მედიის გამოყენებას ინტერაქციის უფრო ტრადიციულ ფორმებთან, როგორიცაა მეზობლები და ოჯახი.
- უფროსი თაობები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი მეზობლებსა და ოჯახზე, როგორც ინფორმაციის მიღების მთავარ არხებზე და ციფრული მედიას მათზე შეზღუდული გავლენა გავლენა აქვს.

ეს განსხვავებები ხაზს უსვამს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის სპეციფიკურ საჭიროებებსა და პრეფერენციებზე მორგებული კომუნიკაციის სტრატეგიების აუცილებლობას. კერძოდ, ასაკოვან ჯგუფებს სჭირდებათ მხარდაჭერა ინფორმაციის მეტად სანდო წყაროებზე წვდომის კუთხით, რათა მათზე დეზინფორმაციის გავლენა შემცირდეს.



ბ) ინტერნეტი

ინტერნეტისა და სოციალური მედიის, როგორც ინფორმაციის მთავარი წყაროს, გამოყენების ზრდა საქართველოში ბოლო წლების ერთ-ერთ მთავარ ტენდენციას წარმოადგენს. „კავკასიის ბარომეტრი 2024“-ის მონაცემებით, Facebook კვლავ რჩება ყველაზე პოპულარულ სოციალურ პლატფორმად, რომელსაც რესპონდენტიების 88% იყენებს. მას მოსდევს YouTube (60%), Instagram (34%) და TikTok (33%), რაც ასახავს გლობალურ ტენდენციას – ვიზუალური პლატფორმების მზარდ

დომინირებას. შედარებით ნაკლებად პოპულარულია Telegram (7%), X (Twitter) (4%), Vkontakte (3%), ასევე, LinkedIn (2%) და Odnoklassniki (2%).

Facebook, როგორც ძირითადი სოციალური მედიის პლატფორმა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფორმაციის გავრცელებასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. მისი პოპულარობა მიუთითებს, რომ უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ეს პლატფორმა იგულისხმება სოციალური მედიიდან ინფორმაციის მიღების მთავარ ან მეორე მთავარ წყაროში.



ძირითადი დასკვნები

- Facebook როგორც დომინანტური წყარო – გამოკითხულთა 88%-ის მიხედვით, Facebook საქართველოში ინფორმაციისა და გასართობის მთავარი პლატფორმაა.
- ვიზუალური პლატფორმების მზარდი მნიშვნელობა – YouTube, Instagram და TikTok სულ უფრო მნიშვნელოვან როლს იძენენ, განსაკუთრებით ახალგაზრდებში.

- ალტერნატიული პლატფორმების ლიმიტირებული გამოყენება – Telegram, X (Twitter), Vkontakte და LinkedIn პოპულარობა მინიმალურია, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ამ სივრცეებში მომხმარებელთა შეზღუდული რაოდენობით ან ამ პლატფორმების კონტენტის სპეციფიკური ბუნებით.

Facebook კვლავ წარმოადგენს საქართველოს მედია ლანდშაფტის ცენტრალურ ელემენტს და მთავარ არხს, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლები ინფორმაციას იღებენ. მისი მნიშვნელობა მიუთითებს იმ საჭიროებაზე, რომ დამონიტორინგდეს და გაანალიზდეს ის, თუ რა ზეგავლენას ახდენს ამ პლატფორმაზე გამოქვეყნებული კონტენტი საზოგადოებრივ აზრზე და დეზინფორმაციის მიმართ პოტენციურ მოწყვლადობაზე.

საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფებს ინტერნეტის ყოველდღიური გამოყენების მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებელი აქვთ, რაც გლობალური ტექნოლოგიების გამოყენების ტენდენციებს შეესაბამება:

- **ასაკობრივი ჯგუფი 18-34**: ამ ასაკის რესპონდენტთა 93% ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს. მათგან 2% ამბობს, რომ კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათად, ან საერთოდ არ იყენებს ინტერნეტს.

- ასაკობრივი ჯგუფი 35-54: ამ ჯგუფში ყოველდღიური ინტერნეტ აქტივობა 89%-ია, რაც მცირედით ჩამოუვარდება ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფს. მიუხედავად ამისა, უმრავლესობა კვლავ ყოველდღიურად აქტიურია ონლაინ.

- **ასაკობრივი ჯგუფი 55+**: ამ ასაკობრივ ჯგუფში ინტერნეტის ყოველდღიური მოხმარება მხოლოდ 47%-ია. გარდა ამისა, რესპონდენტების 35% აცხადებს, რომ საერთოდ არ იყენებს ინტერნეტს. ეს მკაფიოდ მიუთითებს პოტენციურ ტექნოლოგიურ ბარიერებზე ან ინტერნეტზე მოთხოვნის დაბალ მაჩვენებელზე ხანდაზმულ თაობაში.

დასკვნები:

1. **თაობათაშორისი ტექნოლოგიური სხვაობა** – ასაკის მატებასთან ერთად ინტერნეტის მოხმარება მცირდება, რაც „ციფრულ დაყოფას“ ზრდის ახალგაზრდა და ხანდაზმულ თაობებს შორის.
2. **ციფრული იზოლაცია ხანდაზმულებში** – 55+ ასაკის ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი (35%) საერთოდ არ იყენებს ინტერნეტს, რაც მათი ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურულ ინიციატივების საჭიროებას ავლენს.
3. **ახალგაზრდები როგორც ინტერნეტ მოხმარების ბირთვი** – 18–34 წლის რესპონდენტები ყოველდღიური ინტერნეტ-მომხმარებელთა ბირთვს წარმოადგენენ, რაც საქართველოში ციფრული მედიის სტრატეგიებსა და საკომუნიკაციო მიდგომებს განსაზღვრავს.



წყარო: კავკასიის ბარომეტრი 2024

ინტერნეტისა და მობილური კავშირის ფართო ხელმისაწვდომობის წყალობით, საქართველოს სხვადასხვა ტიპის დასახლებებში ინტერნეტის მოხმარების სიხშირეში განსხვავებები შედარებით მცირეა. თუმცა, მონაცემები აჩვენებს მნიშვნელოვან დემოგრაფიულ სხვაობებს, რაც გავლენას ახდენს ინტერნეტის ყოველდღიური გამოყენების დონეზე:

- **დედაქალაქი (თბილისი):** თბილისში მცხოვრები რესპონდენტების 83% ინტერნეტს ყოველდღიურად იყენებს. თბილისი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური და ტექნოლოგიური ცენტრი, მეტ წვდომას უზრუნველყოფს ციფრულ ინფრასტრუქტურასა და სამუშაოებს, რომლებიც ტექნოლოგიური უნარების ქონას მოითხოვს.
- **სხვა ქალაქები:** თბილისს გარეთ, სხვა ურბანულ დასახლებებში, ინტერნეტის ყოველდღიური გამოყენება 77%-ს შეადგენს. აღნიშნული მონაცემი დედაქალაქს ოდნავ ჩამოუვარდება, თუმცა მაღალია სოფლებთან შედარებით.
- **სოფლის ტიპის დასახლებები:** სოფლებში ინტერნეტს ყოველდღიურად რესპონდენტთა 70% იყენებს, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ქვეყანაში. აღნიშნული დაბალი მაჩვენებელი დაკავშირებულია დემოგრაფიულ სტრუქტურასთან - ხანდაზმული მოსახლეობის მაღალი წილი თანამედროვე ტექნოლოგიებს ნაკლებად იცნობს.

დასაქმებისა და განათლების უფრო მაღალი ხელმისაწვდომობის გამო ახალგაზრდების მიგრაცია დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში, სოფლებში სულ უფრო მეტად ხანდაზმული თაობას ტოვებს. ხანდაზმული მოსახლეობა ნაკლებად აქტიურია ონლაინ სივრცეში, რის შედეგადაც სოფლად ინტერნეტის საერთო მოხმარების მაჩვენებელი დაბალია. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს იმაზე, თუ

რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ურბანიზაცია და დემოგრაფია საქართველოში ინტერნეტის მოხმარების ჩვევების ფორმირებაში.

მონაცემები ცხადყოფს, რომ ქართული აუდიტორია დიდად არის დამოკიდებული სოციალურ მედიიდან მიღებულ ინფორმაციაზე. ეს პლატფორმები ფილტრების ნაკლებობით და უმეტეს შემთხვევაში რეგულაციების სიმცირით ხასიათდება, რაც მათ მისინფორმაციისა (misinformation) და დეზინფორმაციის გავრცელების მთავარ ადგილად აქცევს. სოციალური მედიის ალგორითმები ჭორებისა და შეთქმულების თეორიების სწრაფ და მარტივ გავრცელებას უზრუნველყოფს, რადგან ისინი მომხმარებლის გარშემო დახურულ საინფორმაციო ბუშტებს ქმნიან.

მომხმარებელი ძირითადად ხედავს იმ კონტენტს, რომელიც მის ინტერესებს შეესაბამება და პლატფორმაზე მეტ ხანს დარჩენას აიძულებს. ეს მოდელი განაპირობებს იმას, რომ აუდიტორიისთვის საინტერესო და მის შეხედულებებთან თანხვედრაში მყოფი შინაარსის კონტენტი მისთვის უფრო ხელმისაწვდომი ხდება, რაც კოგნიტურ მიკერძოებას (confirmation bias) აძლიერებს.

სოციალური მედიის, როგორც ინფორმაციის ძირითადი წყაროს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ადამიანური ფაქტორია. მომხმარებლები ბუნებრივად ენდობიან იმ ადამიანებს, ვინც მოსწონთ ან ვისთანაც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ. როდესაც ამას ემატება ალგორითმები, რომლებიც ამარტივებს მსგავსი შეხედულებების მქონე ადამიანების მოძებნასა და მათთან დაკავშირებას, სოციალური მედია იდეალურ გარემოდ იქცევა დეზინფორმაციის გასავრცელებლად და მიზანმიმართული მანიპულაციების განსახორციელებლად.

გ) ტელევიზია

ტელევიზია ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ რჩება საქართველოს მოსახლეობის 49 პროცენტზე მეტისთვის. მას ყველაზე ძლიერი გავლენა განსაკუთრებით 55 წლის და უფროსი ასაკის ადამიანებზე აქვს. ქართველების

ტელევიზიის ყურების ჩვევების სრულად გასაგებად, აუცილებელია უფრო დეტალურად განვიხილოთ ყველაზე ხშირად ყურებადი არხები და ის არხები, რომლებსაც აუდიტორია ინფორმაციის სანდო წყაროდ მიიჩნევს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტელევიზია პოპულარული საინფორმაციო საშუალებაა, არხების რეიტინგებზე დეტალური მონაცემების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. ხელმისაწვდომი ინფორმაციის უმეტესობა მომდინარეობს თავად ტელევიზიების მიერ კომერციული მიზნებისთვის ჩატარებული კვლევებიდან, თუმცა ამ მონაცემების სანდოობა ხშირად ეჭვქვეშ დგება. დამოუკიდებელი და სრულფასოვანი მონაცემების ნაკლებობა ართულებს აუდიტორიის ინტერესების სრულ სურათის დანახვას.

ქართველების ტელევიზიის ყურების ჩვევების უფრო სრულფასოვანი ანალიზისთვის გამოყენებული იქნება ისეთი ავტორიტეტული კვლევების მონაცემები, როგორებიცაა Nielsen, International Republican Institute (IRI) და „კავკასიის ბარომეტრი 2024“. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა 2023 წლის მარტში ჩატარებული კვლევის შედეგებს, რაც დამატებით წარმოდგენას იძლევა ყურებადობის სტრუქტურასა და საინფორმაციო პრეფერენციებზე.



IRI-ის მიერ 2023 წლის თებერვალ-მარტში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში ყველაზე სანდო ტელეარხებად სახელდება მთავრობის მხარდამჭერი „იმედი“ (35%) და ოპოზიციური „მთავარი არხი“ (23%). „იმედი“, როგორც ხელისუფლების მხარდამჭერი არხი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. „მთავარი არხი“, როგორც მთავარი ოპოზიციური მედია, ხელისუფლების ნარატივის საწინააღმდეგო ძალად განიხილება და ეს მას მეორე ყველაზე სანდო საინფორმაციო წყაროდ ხდის.

პრორუსული და ანტიდასავლური არხები: აღსანიშნავია, რომ მიუხედავად დაბალი ყურებადობისა, პრორუსული და ანტიდასავლური არხებისადმი გარკვეული ნდობის დონე არსებობს. „ობიექტივი“, რომელიც „პატრიოტთა ალიანსთან“ არის დაკავშირებული, 2%-ით ფიგურირებს კვლევაში. ანალოგიურად, რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების მიერ დაფუძნებულ „ალტ-ინფოს“ ასევე 2% აქვს. ორივე არხის შეზღუდული აუდიტორიის მიუხედავად, ისინი ღიად არიან დაკავშრებული

პრორუსულ პოლიტიკურ ძალებთან და ავრცელებს ნარატივებს, რომლებიც საქართველოს პრო-დასავლურ კურსს ეწინააღმდეგება.

ზემოაღნიშნული მონაცემები ცხადყოფს მკაფიო განსხვავებას ქართული საზოგადოების საინფორმაციო პრეფერენციებში: მოსახლეობის დიდი ნაწილი ირჩევს არხებს - პროსამთავრობოს ან ოპოზიციურს, რომლებიც მთავარ პოლიტიკურ მიმდინარეობას წარმოადგენენ. მეორე მხრივ, კი, არსებობს უფრო მცირე, მაგრამ თვალსაჩინო ინტერესიც რადიკალური, პრორუსული და ანტიდასავლური მედიის მიმართ. ეს შედეგები შეიძლება მიუთითებდეს საზოგადოებაში არსებულ იდეოლოგიურ განხეთქილებებზე და საინფორმაციო წყაროების არჩევისას პოლიტიკისა და იდეოლოგიის მნიშვნელოვან გავლენაზე.

2024 წელმა, რომელიც საქართველოში საპარლამენტო არჩევნების წელი იყო, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიატანა ტელეარხების მიმართ ნდობასა და მათ რეიტინგებში. „კავკასიის ბარომეტრი 2024“-ის მაისში ჩატარებული კვლევის მიხედვით, პოლიტიკური პოლარიზაცია და ინტენსიური საარჩევნო კამპანია საგრძნობლად აისახა საზოგადოების საინფორმაციო პრეფერენციებზე.

მთავარი მონაცემები:

- **„იმედი“** კვლავ ყველაზე სანდო ტელეარხია საქართველოში 22 პროცენტიანი ნდობით, თუმცა, ეს მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია.
- **„მთავარი არხი“** და **„რუსთავი 2“** მეორე ადგილს იკავებენ – თითოეულს 8 პროცენტიანი ნდობა აქვს. „რუსთავი 2“-მა, რომელიც ზომიერად პროსამთავრობო და ანტიოპოზიციურ პოზიციას იკავებს, საარჩევნო პერიოდში პოზიციები გაიმყარა.
- აშკარად პრორუსულმა არხებმა, როგორიცაა **„ალტ-ინფო“** და **„ობიექტივი“**, იმდენად მცირე მხარდაჭერა მოიპოვეს, რომ ისინი ოფიციალურ ნდობის რეიტინგში ვერც კი მოხვდნენ.

როგორც პროსამთავრობო, ისე ოპოზიციური არხები საქართველოში მკაფიოდ ჩართულნი არიან პოლიტიკურ ნარატივების გავრცელებაში, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს საზოგადოებრივ პოლარიზაციას. საპარლამენტო არჩევნებმა ეს დინამიკა კიდევ უფრო გამოამჟღავნა – „იმედი“ და „რუსთავი 2“ აძლიერებდნენ პროსამთავრობო გზავნილებს, ხოლო „მთავარი არხი“ ოპოზიციის მთავარ საყრდენად დარჩა.

2024 წელმა მკაფიოდ აჩვენა მედიისადმი ნდობის კლების ტენდენცია საქართველოში: „იმედი“ კვლავ ლიდერებს, თუმცა დასუსტებული პოზიციით. ამავდროულად, ნდობის რეიტინგებში პრორუსული არხების მარგინალინალური პოზიციები საზოგადოებაში მათი ნარატივებზე შეზღუდულ მხარდაჭერაზე მიუთითებს. მედიის პოლარიზაცია კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართველების საინფორმაციო პრეფერენციების ჩამოყალიბებაში.



„კავკასიის ბარომეტრი 2024“-ის შედეგები საშუალებას იძლევა უფრო ღრმად გაანალიზდეს ინფორმაციის მოხმარების პრეფერენციები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პასუხები, რომლებიც

ახალგაზრდებში ტელევიზიისადმი ნდობის ნაკლებობაზე და ტრადიციული მედიის პოპულარობის კლებაზე მიუთითებს.

ასაკობრივი ჯგუფი 18-34:

- რესპონდენტების ყველაზე დიდი წილი (27%) პასუხობს: „არ ვენდობი ტელევიზიას“ და „ტელევიზიას საერთოდ არ ვუყურებ“.
- ყველაზე პოპულარული სამი არხის („იმედი“, „მთავარი არხი“ და „რუსთავი 2“) ყურებადობა თითოეულისთვის დაახლოებით 10%-ს შეადგენს.
- ეს მონაცემები მიუთითებს ამ ასაკობრივ ჯგუფში ტელევიზიის მზარდ მარგინალიზაციაზე და ალტერნატიული საინფორმაციო წყაროების მნიშვნელობის ზრდაზე.

ასაკობრივი ჯგუფი 35-54:

- ყველაზე ხშირად გაცემული პასუხია „არ ვენდობი ტელევიზიას“ (30%).
- „იმედი“ მეორე ადგილზეა 21%-ით.
- 17% ამბობს, რომ საერთოდ არ უყურებს ტელევიზიას.

შედეგები აჩვენებს, რომ მიუხედავად ტრადიციული მედიისადმი გარკვეული ინტერესისა, ნდობის ნაკლებობა ამ ჯგუფშიც დომინანტური ტენდენციაა.

ასაკობრივი ჯგუფი 55+:

- ყველაზე სანდო არხია „იმედი“ (32%).
- მეორე ადგილზეა გაცემული პასუხი „არ ვენდობი ტელევიზიას“ (17%). ახალგაზრდებთან შედარებით უნდობლობის დაბალი მაჩვენებლის მიუხედევად, უნდობლობა აქაც ჩანს.
- „მთავარი არხი“ მესამე ადგილზეა 11%-ით.
- ამ ასაკობრივ ჯგუფში ტელევიზია კვლავ დომინანტურ საინფორმაციო წყაროდ რჩება.

ადგილ-მდებარეობის გავლენა

- დედაქალაქთან ახლოს მდებარე რეგიონებში ტელევიზიისადმი უნდობლობა უფრო მაღალია.
- თუმცა, ქვეყნის მასშტაბით სტაბილურია იმ ადამიანების პროცენტი, რომლებიც აცხადებენ, რომ საერთოდ არ უყურებენ ტელევიზიას, რაც შესაძლოა მყარ საინფორმაციო ჩვევებზე მიუთითებდეს.

კვლევის შედეგები მკაფიო განსხვავებებს ცხადყოფს ასაკობრივ ჯგუფებს შორის ტელევიზიისადმი ნდობასა და მისი ყურებადობაში. ახალგაზრდები სულ უფრო მეტად აბობენ უარს ტელევიზიაზე, როგორც ინფორმაციის წყაროზე, ხოლო ხანდაზმული თაობა კვლავ მჭიდროდ არის დაკავშირებული ტრადიციულ არხებთან, როგორიცაა „იმედი“. თუმცა, ტელევიზიისადმი უნდობლობა საერთო მახასიათებელია ყველა ასაკობრივ ჯგუფში, რაც მედიის წინაშე არსებულ სერიოზულ გამოწვევას უსვამს ხაზს.

ტელეარხების მიმართ ნდობის ანალიზი რესპონდენტთა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით საინტერესო ტენდენციებს ავლენს:

- ეთნიკურ ქართველებს შორის ყველაზე დიდი ჯგუფი (27%) ტელეარხების მიმართ ნდობის ნაკლებობას მიუთითებს, ხოლო 24% „იმედს“ ყველაზე სანდო არხად ასახელებს.
- ეთნიკურ აზერბაიჯანელ უმცირესობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 45% საერთოდ არ უყურებს ტელევიზიას.
- ეთნიკურ სომეხ უმცირესობაში მკაფიოა კონკრეტული არხების პრეფერენცია: Formula TV მაღალი პოპულარობით სარგებლობს (27%), ხოლო „რუსთავი 2“ მეორე ადგილზეა (17%).

ეს შედეგები, საქართველოს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში, განსხვავებულ ჩვევებსა და ნდობის დონეებს აჩვენებს, რაც მნიშვნელოვან როლს შეიძლება

თამაშობდეს როგორც მედია-პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, ისე კონკრეტულ ჯგუფებზე მორგებული სოციალური კომუნიკაციის სტრატეგიების დაგეგმვაში.

IRI და „კავკასიის ბარომეტრი“ ნდობის მაჩვენებლებს ფარავენ, ხოლო Nielsen-ის ყურებადობის მონაცემები არხების პოპულარობას გვაუწყებს, ნდობის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. Nielsen-ის კვირეული რეიტინგები ტელეინდუსტრიაში ახალი მოთამაშეების გაჩენას ცხადყოფს.

მნიშვნელოვანი მონაცემები:

1. „იმედი“ ლიდერობს როგორც ნდობის, ისევე ყურებადობის მხრივ.
2. ოპოზიციური „მთავარი არხი“ მეორე ადგილზეა, რაც მის დიდ გავლენაზე მიუთითებს.
3. პროსამთავრობო „რუსთავი 2“ კვლავ მაღალი ყურებადობით სარგებლობს.
4. ოპოზიციურად განწყობილი „ტვ პირველი“, მეოთხე ადგილს იკავებს.
5. საზოგადოებრივი მაუწყებელი მეხუთე ადგილზეა. არხის დეკლარირებული მიუკერძოებლობის მიუხედავად, მის კონტენტში პროსამთავრობო ნარატივი შეინიშნება.
6. პროოპოზიციური არხი Formula TV მეექვსე ადგილზეა.
7. უკიდურესად პროსამთავრობო და ანტიოპოზიციური არხი PostTV მეშვიდე ადგილზეა და შეზღუდული აუდიტორია ჰყავს.

Nielsen ასევე მიუთითებს ისეთი გასართობი არხების მზარდ პოპულარობაზე, როგორიცაა GDS, TVC და „კომედი არხი“. ისინი ძირითადად ფილმებსა და გასართობ გადაცემებზე არიან ორიენტირებულნი და მაყურებელს საინფორმაციო ან პოლიტიკურ პროგრამებს არ თავაზობენ. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოების ნაწილი უფრო მეტად ირჩევს გასართობ მედიას, ვიდრე პოლიტიკურ და საინფორმაციო გადაცემებს.

არხების ყურებადობის დონეები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი ნდობის მაჩვენებლებისგან. ქართული საზოგადოება ხშირად უყურებს იმ არხებს, რომელთა

მიმართაც ნდობა შეზღუდულია. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა პროსამთავრობო „იმედის“ შემთხვევაში, რომელიც ყურებადობის მაჩვენებლით დომინირებს, თუმცა ნდობის მაჩვენებლები გაცილებით დაბალი აქვს.

Nielsen-ის მონაცემები ავლენს მედია-პრეფერენციების რთულ დინამიკას საქართველოში - პოპულარობა ყოველთვის არ ნიშნავს ნდობას. გასართობი არხების გაჩენა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ყოველდღიურ ცხოვრებაში არაპოლიტიკური კონტენტის მზარდ როლს. ეს დასკვნები შეიძლება ღირებული რესურსი იყოს მედია პოლიტიკის შემქმნელებისა და კომუნიკაციის სტრატეგებისთვის, რათა უკეთ გაიგონ ქართული აუდიტორიის საჭიროებები და პრეფერენციები.

სოფლის ტიპის და უმცირესობების დასახლებები საქართველოში

მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად ზოგადი მსგავსებისა, სოფლის ტიპის და უმცირესობების დასახლებები ერთიან ჯგუფად არ უნდა განიხილებოდეს. მათ განსხვავებული საინფორმაციო ჩვევები და ტელევიზიისადმი ნდობის დონე აქვთ, რაც ცალკეულ გამოწვევებს ქმნის.

სოფლები ტელევიზიის გამოყენების მაღალი დონით და ნდობით ხასიათდება. ეს დადებით ასპექტად შეიძლება შევაფასოთ, რადგან ტელევიზია მოსახლეობას ახალ ამბებზე წვდომას აძლევს. თუმცა, მედია-სივრცის ლიმიტირებული მრავალფეროვნება გამოწვევად რჩება. მონაცემები მიუთითებს, პრორუსული არხების მაყურებლების მცირე, მაგრამ შესამჩნევი ნაწილი კონცენტრირებულია სოფლად, რაც ამ ჯგუფებს დეზინფორმაციის მიმართ უფრო მოწყვლადს ხდის.

უმცირესობების დასახლებებში მედია-მრავალფეროვნების სერიოზული დეფიციტი და ტრადიციული მედიისადმი დაბალი ნდობა შეინიშნება. აღნიშნული ფაქტორები ამ ჯგუფებს, სხვებთან შედარებით, გამოკვეთილად დაუცველს ხდის დეზინფორმაციისა და მანიპულაციის მიმართ. ინფორმაციის ალტერნატიული და

სანდო წყაროების არარსებობამ შესაძლოა გარე გავლენისადმი მათი მოწყვლადობის ზრდა გამოიწვიოს.

ზემოაღნიშნული განსხვავებები აჩვენებს, რომ დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიები ამ სხვადასხვა ჯგუფების სპეციფიკურ მახასიათებლებზე უნდა იყოს მორგებული და მათი უნიკალურ საჭიროებებსა და გამოწვევებს უნდა ითვალისწინებდეს.

როგორც სოფლები, ისე უმცირესობების დასახლებები საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას მედია-პოლიტიკისა და ინფორმაციული მედიაწიგნიერების განათლების კუთხით. სოფლებისთვის საჭიროა მედია-წყაროების მრავალფეროვნების ხელშეწყობა, რათა ტელევიზიაზე, განსაკუთრებით კი პრორუსულ არხებზე, დამოკიდებულება შემცირდეს. ეთნიკური უმცირესობებისთვის აუცილებელია სანდო და მრავალფეროვან წყაროებზე წვდომის გაზრდა, რაც შეამცირებს მათ მოწყვლადობას დეზინფორმაციის მიმართ.



ტელევიზია წლების განმავლობაში მედიის საყრდენად და ყოველდღიური ინფორმაციის მიმწოდებლად ითვლება, თუმცა საქართველოში არსებული ვითარება მკვეთრად განსხვავდება ამ სტანდარტისგან. მონაცემები აჩვენებს, რომ მოსახლეობის 25% საერთოდ არ ენდობა არც ერთ სატელევიზიო არხს. ამის მთავარი მიზეზია პოლიტიკური პოლარიზაციის მაღალი დონე, რომელიც ქართულ ტელემედიაში სუფევს. საჯარო დისკუსიებში ტელეარხები, როგორც წესი, ან პროსამთავრობო, ან პროოპოზიციურ პლატფორმებად განიხილება, რაც გავლენას ახდენს არა მხოლოდ მათ პროგრამულ ბადეზე, არამედ მათ მიერ გავრცელებულ ნარატივებზეც.

ტელევიზიის მიკერძოებულობა მაყურებლში განცდას იწვევს, რომ არხების კონტენტი კონკრეტული პოლიტიკური დღის წესრიგის გასავრცელებლად იქმნება. შედეგად, ინფორმაციის მიუკერძოებლობაში რწმენა ქრება. ასეთმა პოლარიზაციამ დაასუსტა ტელევიზიის, როგორც სანდო საინფორმაციო წყაროს, როლი და კიდევ უფრო გააღრმავა მედიისადმი სკეპტიციზმი. ტელევიზიისადმი ნდობის ნაკლებობა საქართველოში არა მხოლოდ ამცირებს მის, როგორც ტრადიციული მედიის, მნიშვნელობას, არამედ ხაზს უსვამს საინფორმაციო კონტენტის წარმოებასა და გავრცელებისადმი ახალი მიდგომის საჭიროებას. მედია პლურალიზმისა და რედაქციული დამოუკიდებლობის გაძლიერება შესაძლოა დაეხმაროს საზოგადოებრივი ნდობის აღდგენას.

2024 წლის გაზაფხულზე მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნება“ კვლავ დააინიცირა და შემდეგ მიიღო „უცხოური აგენტების შესახებ“ სადავო კანონპროექტი, რომელსაც ქართულმა სამოქალაქო საზოგადოებამ „რუსული კანონი“ უწოდა. კანონი ავალდებულებს სამოქალაქო ორგანიზაციებსა და მედიას, რომლებიც დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებენ, დარეგისტრირდნენ „უცხოეთის აგენტებად“. ასეთ წყაროებად მოიაზრება:

- საელჩოები

- საერთაშორისო ორგანიზაციები
- საერთაშორისო ფონდები
- სხვა იურიდიული პირები, რომლებიც უცხოური სახელმწიფოების მიერ ფინანსდებიან ან არიან დარეგისტრირებულნი.

ზემოაღნიშნულმა კანონმა, რომელიც ანტიდასავლურად აღიქმება, ფართო დაპირისპირება გამოიწვია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე, მედიის თავისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებლობისთვის მომტანი ნეგატიური შედეგების გამო.

კანონის შემოღებამ ძლიერი რეაქცია გამოიწვია ქართულ სამოქალაქო საზოგადოებაში, პოლიტიკურ პარტიებსა და მედიაში. კანონმა განსაკუთრებული დარტყმა მიაყენა კრიტიკულ მედიას, რომელიც ძირითადად საერთაშორისო გრანტებზეა დამოკიდებული არსებულ რთულ მედიაგარემოში. მისი მიღება სერიოზული დაძაბულობის მიზეზი გახდა საქართველოს ხელისუფლებასა და დასავლელ პარტნიორებს შორის, რომლებმაც ეს ნაბიჯი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის უკუსვლად შეაფასეს. „ქართული ოცნების“ პოლიტიკა საერთაშორისო აქტორების ღია კრიტიკის საგნად იქცა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობები საქართველოსა და დასავლეთს შორის.

აღნიშნულმა პოლიტიკური დაძაბულობის სერიამ და საარჩევნო კამპანიის პერიოდში „ქართული ოცნების“ რიტორიკამ საზოგადოებაში მის პრორუსულობის იმიჯი განამტკიცა. პოლიტიკური ოპოზიციის და ზოგიერთი დასავლელი ანალიტიკოსის მიხედვით, მმართველი პარტიის კამპანია ანტიდასავლურ, არადემოკრატიულ გზავნილებსა და შეთქმულებებს ეფუძნებოდა, რომლებიც ხშირად ემთხვეოდა ან პირდაპირ იმეორებდა რუსული პროპაგანდის ნარატივებს.

ამ კანონმა და მისმა შედეგებმა კიდევ უფრო თვალსაჩინოდ წარმოაჩინა ქვეყანაშია რსებული პოლიტიკური პოლარიზაცია და დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო ორგანიზაციების წინაშე არსებული სირთულეები. დასავლეთთან

პოლიტიკური დაძაბულობა და ურთიერთობების გამწვავება შესაძლოა უარყოფითად აისახოს საქართველოს საერთაშორისო იმიჯსა და დემოკრატიულ განვითარებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში.

მმართველმა „ქართულმა ოცნებამ“ თავის რიტორიკაში ახალი ტერმინი დაამკვიდრა — „გლობალური ომის პარტია“, რაც რუსული ტერმინის „კოლექტიური დასავლეთის“ ქართულ ვერსიას წარმოადგენს. ხელისუფლება დასავლეთს ადანაშაულებს იმაში, რომ თითქოს იგი ცდილობს საქართველოს რუსეთთან ომში ჩათრევას და „აიძულებს მეორე ფრონტის გახსნას“. „ქართული ოცნების“ ლიდერებმა არაერთხელ დაადანაშაულეს დასავლეთი, და არა რუსეთი, უკრაინაში ომის დაწყებაში. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ უკრაინის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ომის თავიდან აცილება და ავრცელებდნენ ნარატივს, თითქოს რუსეთი დაუმარცხებელია და უკრაინა დასავლეთის მიერ „შეწირული მსხვერპლია“.

მმართველი პარტიის წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად წარმოაჩენენ დასავლეთს, როგორც საფრთხეს ქართული კულტურისა და რელიგიური იდენტობისთვის. მათი რიტორიკა შემდეგ ნარატივებს მოიცავს:

- თითქოს დასავლეთი ავრცელებს „ლგბტ პროპაგანდას“
- თითქოს დასავლეთი ცდილობს ქართული რელიგიის, კულტურისა და ეთნიკური იდენტობის განადგურებას
- თითქმოს დასავლურ საზოგადოებაში „ზნეობის“ და „ოჯახური ღირებულებების“ დეფიციტია.

ქართული ოცნების რიტორიკა მიზნად ისახავს პრო-რუსული ელექტორატის გაძლიერებას და დასავლურ ინსტიტუტებში, როგორიცაა ნატო და ევროკავშირი, საქართველოს ინტეგრაციის შესუსტებას. აღნიშნული ნარატივები არა მხოლოდ რუსულ პროპაგანდას ემთხვევა, არამედ მიზნად ისახავს ქართული საზოგადოების პოლარიზაციასა და პოლიტიკური ოპოზიციის დასუსტებას.

ანტიდასავლური ნარატივები გრძელვადიან პერსპექტივაში საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ასუსტებს ქვეყნის პროდასავლურ კურსს და ქვეყანას კიდევ უფრო იზოლირებულს ხდის საერთაშორისო ასპარეზზე. საჯარო დისკურსში ანტიდასავლური რიტორიკის ინტეგრირება ასევე საზოგადოებაში განხეთქილებას ამძაფრებს, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მედიის თავისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებლობის შეზღუდვის მიზნით.

„ქართული ოცნების“ მიერ პროპაგანდირებული ანტიდასავლური რიტორიკა უკვე აისახა ქართული ტელეარხების, განსაკუთრებით პროსამთავრობოების, პროგრამულ ბადეზე. შედეგად, მათი გზავნილები სრულად შეიცვალა — ტრადიციული საინფორმაციო გაშუქებიდან ისინი ანტიდასავლური დეზინფორმაციისა და შეთქმულების თეორიების გავრცელებაზე გადავიდნენ. 2024 წლამდე მსგავსი გზავნილები ძირითადად მხოლოდ „ობიექტივისა“ და „ალტ-ინფოს“ ეთერში ისმოდა, რომელთა პოპულარობაც, ერთად აღებული, 4%-ს შეადგენდა. თუმცა 2024 წელს იგივე ნარატივები უკვე მთავარ პროსამთავრობო არხებზეც გამოჩნდა, რამაც გავლენა იქონია როგორც მათ კონტენტზე, ისე საზოგადოების მიერ მათ აღქმაზე. ამ ტელევიზიების პროგრამებში რადიკალური ანტიდასავლური რიტორიკის დანერგვამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამ არხების ყურებადობაზე, შეცვალა აუდიტორიის ნდობა და ჩართულობა.

- 2023 წელს „ობიექტივისა“ და „ალტ-ინფოს“ მაყურებელთა წილი 4% იყო, თუმცა 2024 წლისთვის მათი პოპულარობა იმდენად დაეცა, რომ კვლევებში ცალკე კატეგორიებად აღარ ფიქსირდებოდნენ.
- Alt-Info-მ, რომელიც დაფინანსების ნაკლებობასა და აუდიტორიის დაბალ რაოდენობას განიცდიდა, 2024 წლის 28 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებიდან სულ რაღაც ორ დღეში არხის დახურვის შესახებ განაცხადა.

პროსამთავრობო არხების პროგრამებში რადიკალური ანტიდასავლური ნარატივების ჩართვა იმაზე მიუთითებს, რომ „ქართული ოცნების“ მიზანია თავის ელექტორატის გამყარება პროდასავლური ხმების მარგინალიზაციის ხარჯზე.

ძლიერი პოლიტიკური პოლარიზაცია, მმართველი პარტიის ღია ანტიდასავლური რიტორიკა და პროსამთავრობო ტელევიზიების პოპულარობა ნიშნავს, რომ ქართული საზოგადოება ძალიან მაღალი დოზით იღებს ანტიდასავლურ შინაარსს. ეს გზავნილები რეგულარულად ვრცელდება წამყვანი პოლიტიკოსების, საჯარო ფიგურებისა და სხვადასხვა პროსამთავრობო ექსპერტების მიერ, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათ გავლენას საზოგადოებაზე.

ეს ვითარება დამოუკიდებელი საინფორმაციო წყაროების მხარდაჭერის, მედია პლურალიზმის გაძლიერებისა და საზოგადოების განათლების აუცილებლობას წარმოაჩენს, რათა მათ დეზინფორმაციისა და პროპაგანდის ამოცნობა შეძლონ.

დ) ზეპირსიტყვიერად გავრცელებული ინფორმაცია

ტრადიციული და ახალი მედიისადმი დიდი ინტერესის მიუხედავად, ინფორმაციის წყაროებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის კვლევები რამდენიმე მოულოდნელ შედეგს ავლენს. ტელევიზიისა და ინტერნეტის შემდეგ, მთავარი არხები, რომლის მეშვეობითაც ქართველები მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციას იღებენ, არიან ოჯახის წევრები, მეზობლები, მეგობრები და კოლეგები. ეს იმას ნიშნავს, რომ რესპონდენტთა უახლოესი სოციალური წრე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფორმაციის გავრცელებაში.

თუ შევადარებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროს რესპონდენტთა ეთნიკურ წარმომავლობასთან, ვნახავთ, რომ პასუხები „ოჯახის წევრები“ და „მეზობლები და მეგობრები“ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ეთნიკურ უმცირესობებში. კერძოდ, აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობისთვის ეს არის ყველაზე სანდო (რესპონდენტის 30%)

საინფორმაციო წყარო. ამას ემატება მეზობლები და კოლეგები როგორც წყარო და ჯამში ეთნიკურ აზერბაიჯანელთა დაახლოებით 48% ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ არაფორმალური წყაროებიდან იღებს. სომხური ეთნიკური უმცირესობა უპირატესობას ანიჭებს ტელევიზიას (38%), თუმცა მეორე ყველაზე პოპულარული წყარო (29%) არის მეზობლები და მეგობრები. საერთო ჯამში, ეთნიკური სომხების 31% აცხადებს, რომ ინფორმაციას ძირითადად არაფორმალური წყაროებიდან იღებს. ეს ტენდენცია იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში სოციალური კომუნიკაციის სტრატეგიებმა უნდა გაითვალისწინონ არა მხოლოდ ტრადიციული და ციფრული მედია, არამედ სოციალური გადაცემის არხებიც. აუცილებელია ადგილობრივ თემებში, განსაკუთრებით უმცირესობებში, დეზინფორმაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება, რათა შემცირდეს დაუდასტურებელი ინფორმაციის გავლენა, რომელიც ვრცელდება უახლოეს სოციალურ წრეებში. ეს ტენდენცია მიუთითებს, რომ საქართველოში სოციალური კომუნიკაციის სტრატეგიები უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ ტრადიციულ და ციფრულ მედიას, არამედ ინფორმაციის გადაცემის სოციალურ არხებსაც. საჭიროა დეზინფორმაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ თემებში, განსაკუთრებით უმცირესობათა ჯგუფებში, რათა შემცირდეს დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელება დახურულ სოციალურ ჯგუფებში.

ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა ასახავს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროებს ეთნიკური ჯგუფების მიხედვით.



წყარო: კავკასიის ბარომეტრი

საინფორმაციო წყაროების ანალიზი რესპონდენტთა სასაუბრო ენის მიხედვით საინტერესო სურათს გვაძლევს, განსაკუთრებით არაფორმალური და გაუფილტრავი არხების გამოყენების მხრივ.

სომხურად მოსაუბრე რესპონდენტები:

- რესპონდენტთა 51% ამბობს, რომ მეზობლები და მეგობრები არიან მათი მთავარი საინფორმაციო წყარო საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რაც ამ ჯგუფში უახლოესი სოციალური წრის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.
- მთლიანობაში, სომხურად მოსაუბრე რესპონდენტების 54% ინფორმაციას არაფორმალური და გაუფილტრავი წყაროებიდან იღებს.

ეს შედეგები მიუთითებს ტრადიციულ მედიაზე შეზღუდულ წვდომასა და ადგილობრივ სოციალურ არხებზე აშკარა დამოკიდებულებაზე.

აზერბაიჯანულად მოსაუბრე რესპონდენტები:

- აზერბაიჯანურად მოსაუბრე რესპონდენტებში ინფორმაციის მთავარ წყაროდ ოჯახის წევრები სახელდება (32%).
- მეზობლებსა და მეგობრებს 16% ასახელებს, კოლეგებს კი — 12%.
- მთლიანობაში, გამოკითხულთა 59% ინფორმაციას დაუდასტურებელი, არაფორმალური წყაროებიდან იღებს.

რესპონდენტები: როგორც სომხურად, ისე აზერბაიჯანურად მოსაუბრე რესპონდენტები დიდწილად არაფორმალურ და გაუფილტრავ არხებს ეყრდნობიან, რაც ამ ჯგუფებში ტრადიციული მედიის შეზღუდულ გავრცელებაზე მიუთითებს.

- სომხურ ენაზე მოსაუბრეები უფრო მეტად მეზობლებსა და მეგობრებს ენდობიან, რაც შეიძლება მათი ჯგუფის ძლიერი სოციალური კავშირებით იყოს განპირობებული.
- აზერბაიჯანულ ენაზე მოსაუბრეები ოჯახს ანიჭებენ უპირატესობას, რაც უფრო დახურული და ოჯახზე ორიენტირებული საინფორმაციო ქსელის არსებობაზე მიანიშნებს.

უმცირესობების ენებზე მაუწყებელ მედიაზე შეზღუდულ წვდომას შეუძლია კიდევ უფრო გაზარდოს არაფორმალურ წყაროებზე დამოკიდებულება და დეზინფორმაციისადმი მოწყვლადობა.

ეს მნიშვნელოვანი ინფორმაციაა საქართველოს საინფორმაციო გარემოს შესახებ. ზემოაღნიშნული მონაცემები წარმოაჩენს მთავარ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება იმას, თუ როგორ უნდა უზრუნველვყოთ უმცირესობებისთვის სანდო და ობიექტურ ინფორმაციაზე წვდომა. არაფორმალური წყაროების დომინაცია, როგორიცაა ოჯახი, მეზობლები და მეგობრები, ზრდის დაუდასტურებელი და მანიპულირებული ინფორმაციის გავრცელების რისკს.

სოციალურ წრეებში გადაცემული ინფორმაცია მნიშვნელოვნად იფილტრება პირადი შეხედულებებისა და გაგების მიხედვით. ეს უფრო მეტად ხდის მომხმარებლებს იმ დეზინფორმაციისადმი მოწყვლადს, რომელიც მათ მიკერძოებებს ემთხვევა ან არსებულ შეხედულებებს აძლიერებს. სოციალური ქსელები, სადაც ინფორმაცია „სიტყვიერად“ (word of mouth) ვრცელდება, შეიძლება ადვილად გახდეს პროპაგანდისა და ჭორების გავრცელების იდეალური ინსტრუმენტი. ასეთი გარემო ხელს უწყობს ანტიდასავლური და პრორუსული ნარატივების გაძლიერებას.

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ უმცირესობების დასახლებები განსაკუთრებით მოწყვლადია დეზინფორმაციის შედეგების მიმართ. უმცირესობების სასაუბრო ენებზე ინფორმაციის მრავალფეროვან და დამოუკიდებელ წყაროებზე შეზღუდული წვდომა ზრდის ალბათობას, რომ პრორუსული და ანტიდასავლური ნარატივები ეფექტურად გაიდგამს ფესვებს ამ თემებში.

საქართველოს საინფორმაციო გარემო, განსაკუთრებით უმცირესობების დასახლებებში, ობიექტურ ინფორმაციაზე წვდომის თვალსაზრისით სერიოზული გამოწვევების შინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ქსელები ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ, ისინი ასევე ხელს უწყობენ პროპაგანდის და დეზინფორმაცის გავრცელებასა და გაძლიერებას. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კოორდინირებული ძალისხმევის საჭიროებას კომუნიკაციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და საზოგადოებაში ცნობიერების ასამაღლებლად.

დ) რელიგიური ინსტიტუტები – რელიგიური ნარატივების გავლენა და კავშირები საქართველოში

რუსეთი აქტიურად წარმოაჩენს საკუთარ თავს როგორც ქრისტიანული ღირებულებებისა და ეთიკის დამცველს, ხოლო დასავლეთს - როგორც კორუფციისა და გარყვნილების წყაროს. ამისთვის კრემლი დასავლეთის დისკრედიტაციის კამპანიებს ახორციელებს, რომლებიც აგებულია ისეთი თემების ირგვლივ, როგორიცაა ჰომოსექსუალობა, პედოფილია, ანტიქრისტიანობა, ანტიკაპიტალიზმი და დასავლეთის დადანაშაულება ეროვნული ღირებულებების განადგურებაში.

საქართველოსა და რუსეთს შორის საერთო მართლმადიდებლურ ღირებულებებსა და ქრისტიანულ რწმენაზე ხაზის გასმით, აღნიშნული ნარატივებს აქტიურად ავრცელებენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები. ეს კავშირები გაძლიერებულია რუსული და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიების ფიზიკური და ინსტიტუციური ურთიერთობებით, რაც ქართულ საზოგადოებაში ნარატივებს უფრო ეფექტურსა და გავლენიანს ხდის.

ეს ქმედებები ხაზს უსვამს რელიგიის, როგორც რბილი ძალის ინსტრუმენტის, მთავარ როლს რუსეთის მეზობელ ქვეყნებზე გავლენის მოხდენისა და რეგიონში პრორუსული ნარატივების გაძლიერების სტრატეგიაში.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ყურადღების ქვეშაა დოკუმენტების გაჟონვის შემდეგ

2021 წლის 12 სექტემბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყურადღების ქვეშ მოექცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან დოკუმენტების გაჟონვის შემდეგ. გავრცელებულ მასალებში მოხვდა სასულიერო პირების პირადი მონაცემები და შესაძლო კავშირები რუსეთისთან. სხვა კვლევები,

რომლებიც ამ მოვლენებს უსწრებდა, ასევე ვარაუდობდა, რომ ეკლესია რუსეთის გავლენის შესაძლო ინსტრუმენტი იყო. ზოგიერთი მღვდელმთავარი, მათ შორის წმინდა სინოდის მაღალი იერარქიის წევრები, გამოვლენილ იქნენ როგორც პრორუსული განწყობებისა და ნარატივების გამავრცელებლები.

გაჟონილი დოკუმენტები მიუთითებდა ქართულ სასულიერო პირებსა და რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის მჭიდრო ურთიერთობებსა და ზოგიერთი მღვდელმსახურის შესაძლო რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე. ყველაზე სკანდალური შემთხვევა მიტროპოლიტ ნიკოლოზ ფაჩუაშვილს უკავშირდება, რომელსაც ბრალად წაუყენეს 30,000 დოლარის სანაცვლოდ რუსეთისთვის ინფორმაციის გადაცემა. მიუხედავად იმისა, რომ მიტროპოლიტმა ეს ბრალდებები უარყო, მან რუსეთის მოქალაქესთან კონტაქტი დაადასტურა, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა ეჭვები რუსეთის გავლენის მასშტაბებზე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში.

ზოგიერთი სასულიერო პირის აზრით, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მემკვიდრის — შიო მუჯირის — არჩევა შესაძლოა რუსეთის ზეწოლის ქვეშ მოხდა. ეს ბრალდებები ასევე მოიცავს კავშირს მუჯირსა და რუს ბიზნესმენ ლევან ვასაძეს შორის. რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელმა კატეგორიულად უარყო გაჟონილი დოკუმენტების შინაარსი და ეკლესიის ავტონომიას გაუსვა ხაზი.

რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციაზე გამოჩნდა ისეთ საკვანძო საკითხებში, როგორიცაა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება.

რუსეთისა და რუსი პოლიტიკოსების მიმართ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების შეხედულებებისა და ურთიერთობების საილუსტრაციოდ, ქვემოთ მოყვანილია წმინდა სინოდის მაღალი რანგის წევრების მიერ გამოხატული დამოკიდებულებები:

მიტროპოლიტი სერაფიმე: ტიტულარული მიტროპოლიტი სერაფიმე ჯოჯუა, წმინდა სინოდის წევრი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან სავარაუდოდ გამოჟონილი დოკუმენტების თანამხად მიიჩნევდა, რომ რუსული მართლმადიდებელი ეკლესია უფრო მეტ სულიერებას ავლენს, ვიდრე ქართული.

მიტროპოლიტი იოანე: ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი იოანე ცნობილია თავისი პრორუსული სენტიმენტებით. საკუთარ პუბლიკაციებში მან არაერთხელ ასახა ევროპა როგორც ბოროტების წყარო, ხოლო რუსეთი — როგორც სიკეთის. 2014 წელს გაზეთ „სამ საუნჯეში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „საქართველოს გზა“ მან დაასკვნა, რომ საქართველოსა და რუსეთის თანაცხოვრების პერიოდს დადებითი მხარეები ჰქონდა.

არქიეპისკოპოსი სპირიდონი: სხალთელი არქიეპისკოპოსი სპირიდონი, ისევე როგორც მიტროპოლიტი იოანე, აქტიურად აღვივებს ანტიდასავლურ განწყობებს. ის ამტკიცებს, რომ ვლადიმერ პუტინის პოლიტიკა საქართველოს მიმართ „ღმერთისგანაა განწესებული“. მისივე თქმით, პუტინის განცხადებები „ჩვენი ცოდვების შედეგია“. ერთ-ერთ ინტერვიუში არქიეპისკოპოსმა სპირიდონმა აღნიშნა, რომ საქართველო ღვთისმშობლის მიწაა, ხოლო რუსეთი — მისი სახლი, რაც ორივე ქვეყანას ავალდებულებს ერთმანეთის დახმარებას.

მიტროპოლიტი გერასიმე: ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე პრორუსული განწყობების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში. 2014 წლის 18 ივლისს, მალაიზიის ავიახაზების თვითმფრინავის პრორუსი სეპარატისტების მიერ ჩამოგდების მეორე დღეს, ის ვლადიმერ პუტინთან შეხვედრაში მონაწილეობდა. თავის განცხადებებში მიტროპოლიტი გერასიმე ხშირად მიუთითებს საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაზე. მისი თქმით: „ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი - რუსეთი - გვემუქრება და გვაღიზიანებს: „რუსეთი ამას და იმას გაგიკეთებთ“. ქვეყანა, რომელმაც წარსულში ბევრი ზიანი მიაყენა ჩვენს ერს, მომავალში კიდევ უფრო

გაგვამწარებს და იტყვის, რომ რუსეთმა ეს და ის გაგიკეთათ. რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობის ისტორია, რომელიც სულ მცირე ორ საუკუნეს მოიცავს, აქვს. ადრე ეს ურთიერთობები ეპიზოდური იყო.“

მიტროპოლიტი გერასიმე რეგულარულად მართავს შეხვედრებს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი იერარქიის მღვდელმთავრებთან, მათ შორის ეკლესიის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელ ილარიონ ალფეევთან.

ზემოთ წარმოდგენილი დამოკიდებულებები ცხადყოფს, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის ზოგიერთი მაღალი იერარქიის წარმომადგენელი პრორუსული სიმპათიებით გამოირჩევა. რუსეთისთან ურთიერთობები, როგორც პოლიტიკურ, ასევე საეკლესიო დონეზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკურ კონტექსტში და მას მრავალი იმპლიკაცია ახლავს თან. ეს მიუთითებს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენაზე საქართველოს რელიგიურ პოლიტიკასა და ნარატივებზე.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მნიშვნელოვან როლს ასრულებს რუსეთისთან ურთიერთობებში, როგორც ერთგვარი ხიდი ორ ქვეყანას შორის. რუსეთთან მისი ურთიერთობა არაოფიციალური ინფორმაციის გაცვლის და საერთო რელიგიური და პოლიტიკური ნარატივების გავრცელების შესაძლებლობას იძლევა. საერთო რელიგიური თემებისა და მართლმადიდებლურ მსოფლმხედველობაზე მორგებული ანტიდასავლური გზავნილების მეშვეობით, ქართველი სასულიერო პირები ეფექტურად იქცევიან საქართველოში პრორუსული ნარატივების გამტარებად. მათი გზავნილები სანდოდ აღიქმება საზოგადოებაში, რაც ეკლესიას რეგიონში რუსეთის გავლენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად აქცევს.

რუსეთის ინტერესი, შეინარჩუნოს ძლიერი გავლენა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ასევე გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ეკლესია

მაღალი ნდობით სარგებლობს ქართულ საზოგადოებაში. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაიყო ერთ-ერთი ყველაზე სანდო ინსტიტუტია ქვეყანაში და მას მხოლოდ ქართული ჯარი უტოლდება ნდობის მაჩვენებლით. ქართული საზოგადოების მაღალი ნდობა, რუსეთისთან მჭიდრო კავშირები და პრორუსული ნარატივების გავრცელების უნარი ეკლესიას რუსეთის „რბილი ძალის“ სტრატეგიის მთავარ ელემენტად აქცევს რეგიონში.



რელიგიური ინსტიტუტებისადმი ნდობის ანალიზი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ნათელ და პროგნოზირებად სურათს აჩვენებს: ხანდაზმულ თაობებში ნდობა უფრო ძლიერია, ხოლო ახალგაზრდებში – უფრო მეტია სკეპტიციზმი.

ნდობა ასაკობრივი ჯგუფი 18-34 წელი:

- რელიგიური ინსტიტუტებისადმი უნდობლობა ყველაზე მაღალია ამ ასაკობრივ ჯგუფში.

- მიუხედავად ამისა, ნდობის საერთო მაჩვენებელი („ნაწილობრივ ვენდობი“ და „სრულად ვენდობი“) 64%-ს შეადგენს, რაც შედარებით მაღალია სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან შედარებით.

ასაკობრივი ჯგუფი 34-53 წელი:

- ნდობის მაჩვენებელი („ნაწილობრივ ვენდობი“ და „სრულად ვენდობი“) 76%-ს შეადგენს.
- უნდობლობა უფრო დაბალია, ვიდრე ახალგაზრდებში, ხოლო ნდობის დონე უფრო ახლოს დგას ხანდაზმულთა ნდობის დონის მაჩვენებელთან.

ასაკობრივი ჯგუფი 55+ წელი:

- ნდობა რელიგიური ინსტიტუტებისადმი ყველაზე ძლიერია ამ ასაკობრივ ჯგუფში.
- 79% აცხადებს, რომ „ნაწილობრივ“ ან „სრულად“ ენდობა, რაც ეკლესიის სანდოობას ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.



რელიგიური ინსტიტუტებისადმი ნდობის ანალიზი დასახლებების მიხედვით

კვლევამ, რომელიც საქართველოში რელიგიური ინსტიტუტებისადმი ნდობას ადგილის მიხედვით (დედაქალაქი, ქალაქები, სოფლები) შეისწავლის, გამოავლინა უჩვეულო სურათი, რომელიც ტრადიციული წარმოდგენებისგან განსხვავდება.

ყველაზე დიდი უნდობლობა დედაქალაქში: თბილისში რელიგიური ინსტიტუტებისადმი ნდობა ყველაზე სუსტია, ხოლო უნდობლობა — ყველაზე მაღალი. მხოლოდ 66%-მა აღნიშნა, რომ „ნაწილობრივ“ ან „სრულად ენდობა“ რელიგიურ ინსტიტუტებს, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია რეგიონებთან შედარებით.

ყველაზე ძლიერი ნდობა ქალაქებში: მოლოდინის საწინააღმდეგოდ, რელიგიური ინსტიტუტებისადმი ყველაზე მაღალი ნდობა დედაქალაქის გარეთ არსებულ ქალაქებში დაფიქსირდა. რესპონდენტთა 84%-მა ამ ადგილებში გამოხატა ნდობა რელიგიური ინსტიტუტების მიმართ.

საშუალო ნდობა სოფლებში: სოფლებში რესპონდენტთა 71% აცხადებს, რომ ენდობა რელიგიურ ინსტიტუტებს. ეს შედეგი უფრო დაბალია, ვიდრე ქალაქებში, რაც განსხვავდება ტრადიციული მოდელისგან, რომელიც, როგორც წესი, სოფლებში ნდობის უფრო მაღალ დონეს პროგნოზირებს.

ეს მონაცემები მიუთითებს, რომ განსხვავებები შეიძლება რელიგიური მრავალფეროვნებითა და სხვადასხვა სარწმუნოებაზე ნდობის დონის ცვალებადობით იყოს განპირობებული.

მუსლიმი უმცირესობები: სუნიტ მუსლიმებს შორის 11%-მა, ხოლო შიიტ მუსლიმებს შორის 8%-მა გამოხატა უნდობლობა საკუთარი რელიგიური აღმსარებლობისადმი. იმის გამო, რომ მუსლიმური თემები ძირითადად სოფლებში

არიან კონცენტრირებულნი, ეს ფაქტორი შესაძლოა ამ რეგიონებში რელიგიური ინსტიტუტებისადმი ნდობის საერთო დონეს ამცირებდეს.

ქალაქები. როგორც რელიგიური მრავალფეროვნების ცენტრები: ქალაქებში რელიგიურ ინსტიტუტებზე ნდობა შესაძლოა უფრო მაღალი იყოს სოციალური მრავალფეროვნების გამო, სადაც ნაკლებია იმ ჯგუფების გავლენა, რომლებსაც ნდობის დაბალი დონე ახასიათებთ. ასეთი მრავალფეროვნება ხელს უწყობს და რელიგიური ინსტიტუტების უფრო დაბალანსებულ აღქმასა და მიმღებლობას.

ანალიზი ცხადყოფს, რომ რელიგიურ ინსტიტუტებზე ნდობა მხოლოდ დასახლების ტიპზე არ არის დამოკიდებული, არამედ ასევე მოსახლეობის რელიგიურ შემადგენლობაზე. ქალაქებში მაღალი ნდობა შესაძლოა მართლმადიდებლობის დომინაციით აიხსნას, ხოლო სოფლებში მუსლიმური თემების არსებობა, სადაც ნდობა შედარებით დაბალია, საერთო მაჩვენებელს ამცირებს. დედაქალაქში კი უფრო ძლიერი სეკულარიზაცია და რელიგიისადმი კრიტიკული დამოკიდებულებაა, რაც იქ უნდობლობის მაღალ დონეს ხსნის.



საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის მიმართს ასეთი მაღალი ნდობა მას მიმზიდველ სამიზნედ აქცევს იმ პოლიტიკური აქტორებისთვის, რომლებიც ეკლესიის გზავნილების კონტროლს ცდილობენ. მიუხედავად ამისა, ეკლესიისა და განსაკუთრებით პატრიარქის პოპულარობა ეკლესიას საშუალებას აძლევს პოლიტიკურ არენაზე დამოუკიდებელი მოთამაშის სტატუსი შეინარჩუნოს.

ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იყო „ქართული ოცნების" მიერ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანიის დროს გადადგმული ნაბიჯი, როცა მმართველმა პარტიამ შემოიტანა ინიციატივა, რომ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებულიყო. ანალიტიკოსებისა და ეკლესიის წარმომადგენლების შეფასებით, აღნიშნული ინიციატივა ეკლესიის სახელმწიფოსადმი დაქვემდებარების მცდელობას წარმოადგენდა. ამ შეთავაზების უარყოფით, ეკლესიამ მკაფიოდ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია და შეინარჩუნა ავტონომია.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ანტიდასავლურ და ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართულ ნარატივების უჭერს მხარს. ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე დომინანტური და საკამათო თემა, განსაკუთრებით გააქტიურებუილი ზოგიერთი დასავლური ქვეყნის მიერ ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის გადაწყვეტილების შემდეგ, არის ლგბტქ+ უფლებები.

მრევლს შორის ინფორმაციის გაცვლის მნიშვნელოვანი ნაწილი რელიგიური ცერემონიების დროს ხორციელდება. ამ შეკრებების დროს სასულიერო პირები ხშირად აჟღერებენ პირად მოსაზრებებსა და მითითებებს, რაც მნიშვნელოვნად აისახება მორწმუნეთა დამოკიდებულებაზე. არსებობს ცნობები, რომ მღვდლებს გამოუყენებიათ თავიანთი პლატფორმები და წაუხალისებიათ მრევლი, რომ მათ ხმა მიეცათ ან მხარი დადაეჭირათ კონკრეტული პოლიტიკური პარტისთვის ან ინტერესთა ჯგუფისთვის.

ანტიდასავლური ნარატივების გავრცელება ხელს უშლის ეკლესიას ნეიტრალური და მხოლოდ რელიგიური მისიით მოქმედებაში. რადიკალური ნარატივებისა და ქმედებების მხარდაჭერა ასუსტებს მის, როგორც საზოგადოების გამაერთიანებელი ინსტიტუტის, ავტორიტეტს. რელიგიური მსახურებებისას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში ეკლესიის ეფექტურობა აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის საქართველოს საინფორმაციო სივრცეში.

პოლიტიკური დემონსტრაციები

- **პროევროპულმა ოპოზიციამ** საქართველოს უახლეს პოლიტიკურ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური მიტინგი გამართა და შეძლო მოქალაქეთა მობილიზება საკუთარ ღონისძიებებზე.
- **მმართველმა პარტიამ** წარმოაჩინა საკუთარი ორგანიზაციული და ლოჯისტიკური შესაძლებლობები ათასობით მხარდამჭერის ქალაქებიდან და სოფლებიდან ავტობუსების დიდი კოლონებით ჩამოყვანით.
- **ეკლესიის დემონსტრაციები:** თუმცა, სოციალური ძალის ყველაზე შთამბეჭდავი გამოხატულება იყო 2024 წლის 17 მაისს მართლმადიდებელი სამღვდელოების მიერ გამართული აქცია — „ოჯახის სიწმინდის დღე.“ ამ ღონისძიებაზე ათასობით ქართველი გამოვიდა, მათ შორის როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციის მხარდამჭერები. ამ დღემ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ეკლესიის უნიკალური შესაძლებლობა, გააერთიანოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი საერთო კულტურულ და რელიგიურ ღირებულებების ირგვლივ.

ამ დღის აღნიშვნა ქართულ საზოგადოებაში ეკლესიის სიძლიერისა და როლის შესახებ სიმბოლურად შეხსენებას წარმოადგენდა. ამავდროულად, მათ ხაზი გაუსვეს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უნარს მოებილიზებინათ დიდი სოციალური ჯგუფები მათი პოლიტიკური შეხედულების მიუხედავად. ეკლესიამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ის არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი

ინსტიტუტი საქართველოში, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე და ჩამოაყალიბოს ნარატივები.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (სმეკ) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართულ საზოგადოებაში, სადაც მართლმადიდებლობა დომინანტური რელიგიაა. ეკლესია სარგებლობს უდიდესი ნდობითა და ფართო მხარდაჭერით, რაც გამომდინარეობს როგორც ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში მისი ისტორიული წვლილიდან, ასევე საუკუნეების მანძილზე ქვეყნის რთულ ისტორიაში მისი განსაკუთრებული როლიდან.

პრორუსული სახელმწიფო პოლიტიკისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წახალისებული ნარატივების ურთიერთმხარდაჭერა სულ უფრო თვალსაჩინო გახდა საქართველოს დასავლური პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ ბოლო დროს გამართული დებატებისას. ამ კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკლესიის ერთ-ერთი მაღალი იერარქის, მამა იაკობის განცხადება, რომელიც ქართველ ხალხს მიმართავდა:

> "*ჩვენ თვითონ უნდა განვსაზღვროთ ჩვენი ბედი; არც რუსეთში გვინდა შესვლა და არც სადმე — გეუბნებით, 2 მილიონიდან უმეტესობა ვართ ჯანსაღ აზრზე. ახლა რომ შეიკრიბნენ, მაქსიმუმ 2 000-3000 იყვნენ, იმათაც მივმართავ, მიხვდნენ, ნუ მიჰყვებიან ღალატის გზას!*“

ეს განცხადება ესადაგება პრორუსულ „ნეიტრალიტეტის“ ნარატივს, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს მიერ დაბალანსების პოლიტიკას და როგორც რუსეთისგან, ასევე დასავლეთისგან დამოუკიდებლობას. რეალურად კი, ეს ნარატივი მანიპულაციურად მოქმედებს და ამყარებს არგუმენტებს იმ პოლიტიკის სასარგებლოდ, რომლებიც რუსეთს სტრატეგიულ ინტერესებთანაა თანხვედრაში. მსგავსი განცხადებები, თითქოს აპოლიტიკური, დასავლეთის მიმართ უნდობლობის გაღვივებით ეფექტიანად ასუსტებს საქართველოს პროდასავლურ მისწრაფებებს. გზავნილებმა, რომლებიც „თვითგამორკვევისკენ“ და „ღალატისგან თავის არიდებისკენ“ მოუწოდებს საზოგადოებას, შეიძლება ხელი შეუწყოს სტრატეგიული ნეიტრალიტეტის ჩამოყალიბებას, რომელიც პრაქტიკაში რუსეთის ინტერესებს ემსახურება. მამა იაკობის მსგავსი განცხადებები წარმოაჩენს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლს საზოგადოებრივი აზრის და პოლიტიკური ნარატივების ფორმირებაში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თითქოს დამოუკიდებლობასა და ნეიტრალიტეტს ქადაგებენ, ისინი ხშირად პრორუსულ პოლიტიკას უჭერენ მხარს, რაც სერიოზულ გამოწვევას უქმნის საზოგადოებას თავისი სუვერენიტეტისა და პროდასავლური კურსის დაცვაში.

3) ტრადიციული მედია

i. სახელმწიფო მედია

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი (საზმაუ) არის საქართველოს ეროვნული საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც შეიქმნა საზოგადოებისათვის მრავალფეროვანი ტელევიზიისა და რადიოგადაცემების შესათავაზებლად. მისი

შექმნა რეგულირდება „რადიოსა და ტელევიზიის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც 2004 წელს იქნა მიღებული. ამ კანონის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებელის მთავარი მიზნებია:

> "*საზოგადოებისათვის მრავალფეროვანი, პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან დაცლილი პროგრამების მიწოდება, საზოგადოების ინტერესის შესაბამისად“.*

- **საჯარო სამართლის იურიდიული პირი:** საზმაუ შეიქმნა როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით აწარმოებს მაუწყებლობას.
- **სახელმწიფო საკუთრება:** საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობა სახელმწიფო საკუთრებაზეა დაფუძნებული.
- **საჯარო დაფინანსება:** საზმაუ ფინანსდება საჯარო სახსრებიდან, რაც მის კომერციული და პოლიტიკური ინტერესებისგან დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს.
- **სახელმწიფო სტრუქტურებისადმი დაუქვემდებარებლობა:** თეორიულად საზოგადოებრივი მაუწყებელი დამოუკიდებლად ფუნქციონირებს და არ ექვემდებარება სახელმწიფო უწყებებს ეს მიზნად ისახავს მისი „დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის“ უზრუნველყოფას.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის (საზმაუ) მენეჯმენტი

საზმაუს ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭო, რომელიც შედგება 11 წევრისგან. მათი შერჩევის პროცესი საქართველოს პარლამენტის მიერ დადგენილი წესებით ხდება და მოიცავს შემდეგ ნომინაციებს:

- 2 წევრი — საქართველოს სახალხო დამცველის წარდგინებით არჩეულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

- 3 წევრი — არჩეულია საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციის წარდგინების შედეგად.
- 3 წევრი — არჩეულია საპარლამენტო უმსხვილესი ოპოზიციური ფრაქციის წარდგინების შედეგად.
- 3 წევრი — არჩეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარდგინების შედეგად.

საზმაუს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელიც ღია კონკურსის წესით ირჩევა სამეურვეო საბჭოს მიერ. ამ რეპორტზე მუშაობის დროს, ეს თანამდებობა თინათინ ბერძენიშვილს ეკავა. საზოგადოებრივი მაუწყებელი „აჭარა TV და რადიო“ ასევე სამეურვეო საბჭოს კონტროლის ქვეშაა. დირექტორი, რომელიც იგივენაირად, საბჭოს მიერ ინიშნება, რეპორტის წერის დროს ვლადიმერ ტატიშვილი იყო.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის (საზმაუ) საქმიანობის ფარგლები

საზმაუ წარმართავს სხვადასხვა ტელე და რადიო არხის მუშაობას, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საინფორმაციო, საგანმანათლებლო და გასართობი შინაარსის მიწოდებაში. მაუწყებელი მუდმივად ანახლებს თავის პროექტებს და ადაპტირდება საზოგადოების მოთხოვნებთან.

წლების განმავლობაში, საზმაუმ თავისი არხები ახალი გამოწვევების შესაბამისად განაახლა. მაგალითად, COVID-19 პანდემიის საპასუხოდ პირველი საგანმანათლებლო არხი გაეშვა და 2024 წელს ახალი პირველი სპორტული არხი შეიქმნა. რეგიონული სადგურების არსებობა, როგორიცაა აჭარის ტელევიზია და აჭარის რადიო, ხაზს უსვამს მრავალფეროვანი კონტენტის მიწოდების კუთხით მაუწყებლის მნიშვნელობას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

- **საქართველოს პირველი არხი (1TV):** საზმაუს მთავარი არხი, რომელიც აშუქებს საინფორმაციო, კულტურულ და გასართობ პროგრამებს.

- **პირველი საგანმანათლებლო არხი (2023 წლამდე):** საზმაუს „მეორე არხი“ 2020 წელს, COVID-19 პანდემიის პირობებში, გადაკეთდა საგანმანათლებლო არხად. იგი ტელემაყურებლებს აწვდიდა დისტანციური სწავლებისათვის საჭირო სასწავლო გადაცემებს. არხი 2023 წლის 1 დეკემბერს დაიხურა.
- **პირველი სპორტული არხი (2024 წლიდან):** საზმაუს უახლესი პროექტი, რომელიც გადასცემს სპორტულ ღონისძიებებსა და თემატურ გადაცემებს.



- **ქართული რადიო:** მაუწყებლის მთავარი რადიოსადგური საინფორმაციო, მუსიკალური და კულტურული გადაცემებით.
- **ქართული მუსიკის რადიო:** მუსიკასა და კულტურაზე ორიენტირებული სპეციალიზებული რადიოსადგური.
- **აჭარა TV (საზოგადოებრივი მაუწყებელი):** რეგიონული სატელევიზიო არხი, რომელიც აქცენტს აკეთებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

- **აჭარა რადიო (საზოგადოებრივი მაუწყებელი):** რეგიონული რადიო, რომელიც ადგილობრივ სიახლეებსა და გადაცემებს სთავაზობს აჭარის მოსახლეობას.

ii. კერძო მედია

მედია გაერთიანება ობიექტივი: პროფილი და პოლიტიკური კავშირები

„ობიექტივი“ არის კერძო მედია ორგანიზაცია, რომელიც 2010 წლის 2 აგვისტოს დაფუძნდა და საწყისი პერიოდიდანვე დაკავშირებულია პრორუსულ პოლიტიკურ

წრეებთან. მის დამფუძნებლებს შორის იყო ირმა ინაშვილი, პრორუსული პარტიის „პატრიოტთა ალიანსის“ ყოფილი გენერალური მდივანი. ინაშვილმა, რომელიც მე-9 და მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო, 2014 წელს, პოლიტიკაში ოფიციალური ჩართვის შემდეგ, შეწყვიტა ტელეკომპანიის მენეჯმენტი.

„ობიექტივი“ 11-მა ადამიანმა დააარსა, რომელთ ნაწილი დღესაც „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები ან აქტიური მხარდამჭერები არიან. მაგალითად, გიორგი კორკოტაშვილი, ერთ-ერთი დამფუძნებელი, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო სიის მე-10 ნომრად იყო წარმოდგენილი. „ობიექტივი“ აღიქმება პარტიის მედია ან იდეოლოგიურ განყოფილებად. მისი პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა პოპულარიზაციას ეძღვნება და შინაარსი მთლიანობაში შეესაბამება „პატრიოტთა ალიანსის“ ხედვებსა და ინტერესებს.

მედია გაერთიანება „ობიექტივი“ მკაფიოდ ასრულებს საქართველოში პრორუსულ პოლიტიკის გამტარის როლს და „პატრიოტთა ალიანსის“ ნარატივების გამავრცელებელ პლატფორმას წარმოადგენს. ამ მედია ორგანიზაციის მჭიდრო კავშირები ამ პოლიტიკური პარტიის წევრებთან და აქტივისტებთან მას წარმოაჩენს ინსტრუმენტად, რომელიც პარტიის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება.

„ობიექტივი“ მედია გაერთიანებას მართავს ოთხი წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო, რომელთაგან თითოეული მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზაციის საქმიანობასა და მის პოლიტიკურ კავშირებში.

საბჭოს შემადგენლობა:

- ირაკლი ცილიკიშვილი – საბჭოს თავმჯდომარე და კომპანიის დირექტორი. აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ დებატებში. იყო ერთ-ერთი ხელმომწერი წერილისა, რომელიც 2022 წლის 21 თებერვალს საქართველოში მოქმედმა პრორუსულმა ორგანიზაციებმა ვლადიმერ პუტინს გაუგზავნეს. წერილში საუბარი იყო საქართველოსა და უკრაინის სამხედრო ნეიტრალიტეტის შესახებ, რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე რამდენიმე დღით ადრე. წერილს ასევე ხელს აწერდა „ობიექტივის“ დამფუძნებელი ირმა ინაშვილი.
- ზურაბ გოგიშვილი – საბჭოს წევრი.
- დიმიტრი ფარსმანი – საბჭოს წევრი. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში იგი „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო სიის 71-ე ნომრად იყო წარმოდგენილი, რაც მის მჭიდრო კავშირს ადასტურებს პრორუსულ პოლიტიკურ ჯგუფთან.
- ილია ხაჩიბაია – საბჭოს წევრი.

ორგანიზაციის მთელი სტრუქტურა — დამფუძნებლები, საბჭოს წევრები და ხშირი სტუმრები — პირდაპირ არის დაკავშირებული პრორუსულ და ანტიდასავლურ საქმიანობასთან. როგორც პროგრამები, ისე მენეჯმენტის ქმედებები მკაფიოდ უჭერს მხარს პრორუსულ ნარატივებს, რომლებიც წინააღმდეგობაშია საქართველოს პროევროპულ კურსთან. მსგავსი ინიციატივები, როგორიცაა ზემოხსენებული წერილი ვლადიმერ პუტინისთვის, კიდევ უფრო ხაზს უსვამს ორგანიზაციის იდეოლოგიურ კავშირს რუსეთის ინტერესებთან.

საბჭო, რომელსაც ირაკლი წილიკიშვილი ხელმძღვანელობს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრორუსული ნარატივების გავრცელებაში. მისი მჭიდრო კავშირები „პატრიოტთა ალიანსთან“ და ინიციატივებში მონაწილეობა, რომლებიც რუსულ

პოლიტიკას უჭერს მხარს, „ობიექტივს“ აქცევს ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად საქართველოში ანტიდასავლური გზავნილების გასავრცელებლად.

ობიექტივის არხები:

- TV ობიექტივი
- რადიო ობიექტივი 105.1 FM

ორგანიზაციის წესდების თანახმად, „ობიექტივი“ აცხადებს, რომ მისი მიზნებია:

- გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში განსაზღვრული პრინციპების დაცვა და განხორციელება;
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტიდან გამომდინარე მოთხოვნების დაცვა და განხორციელება;
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტიდან გამომდინარე მოთხოვნების დაცვა და განხორციელება;
- განსაკუთრებული ვალდებულება: სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა, ობიექტურობის უზრუნველყოფა, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ხელშეწყობა ყველა დონეზე საარჩევნო პროცესებში.

თუმცა, ორგანიზაციის საქმიანობა ხშირად ეწინააღმდეგება ამ პრინციპებს. ორგანიზაციის პრორუსული პოზიცია უგულებელყოფს მის წესდებაში გაწერილ ძირითად წესებს.

„ობიექტივის“ ეთერში მოწვეული ექსპერტები არაერთხელ გამხდარან კრიტიკის საგანი უმცირესობების წინააღმდეგ ძალადობის წახალისების, დისკრედიტაციის კამპანიებში მონაწილეობის და დეზინფორმაციის გავრცელების გამო. „ობიექტივის“ მრავალწლიანი დაბალი რეიტინგი შეიცვალა მაშინ, როცა მმართველმა პარტიამ ანტიდასავლური ნარატივები აიტაცა და ეს ტენდენცია მთელ ქართულ მედია გარემოზე აისახა. პარადოქსულად, პოპულარობის ნაცვლად,

„ობიექტივმა“ დაკარგა თავისი აუდიტორიის დიდი ნაწილი და შესაბამისად, მიზნების ეფექტიანად განხორციელების უნარი.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად „ობიექტივი“ პრიორიტეტად აცხადებს ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიულ პროცესებში გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, პრაქტიკაში მისი საქმიანობა ამ ღირებულებებს ხშირად ეწინააღმდეგება.

ალტ-ინფო

შპს ალტ-ინფო კერძო მედია ორგანიზაციაა, რომელიც 2019 წლის 28 იანვარს დააფუძნეს შოთა მარტინენკომ და ციალა მორგოშიამ (50%-50%).

- საწყისი სტრუქტურა (2019): დირექტორად დაინიშნა შოთა მარტინენკო.
- მფლობელობისა და მენეჯმენტის ცვლილება (მარტი, 2022): ციალა მორგოშია გახდა ორგანიზაციის ერთადერთი მფლობელი (100%), დირექტორის თანამდებობა კი თამარ კაჭარავამ დაიკავა.
- შემდგომი ცვლილება (აპრილი, 2022): ალექსანდრე ქარდავამ შეიძინა კომპანიის 50% და იგი დირექტორად დაინიშნა, ხოლო ციალა მორგოშიამ შეინარჩუნა დანარჩენი 50%.

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიდან ორი დღის შემდეგ „ალტ ინფომ“ ფინანსური სირთულეების გამო საქმიანობის შეწყვეტა გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია შედარებით მცირე ხნის განმავლობაში არსებობდა, მას ფლობასა და მენეჯმენტში არაერთი ცვლილება განხორციელდა. 2024 წლის არჩევნების შემდეგ კომპანიის დახურვა ნათლად ასახავს ფინანსურ და ოპერაციულ სირთულეებს, რომელთა წინაშეც ეს მედია კომპანია იდგა საქართველოს დინამიკურ საინფორმაციო გარემოში.

ალტ-ინფოს დაფინანსება და მისი მფლობელების რუსულ ფონდებთან კავშირები

„ალტ-ინფოს“ მფლობელთა ანალიზი ნათელს ჰფენს მისი დაფინანსების შესაძლო წყაროებს, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ორგანიზაციის საქმიანობის გასაგებად, განსაკუთრებით, მის პრორუსულ პოლიტიკურ მოძრაობასთან — „კონსერვატიული მოძრაობა“ — კავშირში.

ციალა მორგოშია, პენსიონერი და 2022 წლიდან „ალტ-ინფოს“ 50%-იანი წილის მფლობელი, ქართული პოლიტიკისა და მედიის სივრცეში ფართოდ ცნობილი ფიგურა არ არის. მისი კავშირი ულტრამემარჯვენე გარემოსთან ოჯახის ხაზითაა — ის კონსტანტინე მორგოშიას დეიდა არის. კონსტანტინე მორგოშია საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი ულტრამემარჯვენე, ანტიდასავლური და პრორუსული აქტივისტია. **2024 წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე, კონსტანტინე მორგოშია რუსეთთან თანამშრომლობისა და რუსული სახსრების მიღების ეჭვის არსებობის გამო აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის სანქციების სიაში მოხვდა.** არსებობს ბრალდებები, რომ კონსტანტინე მორგოშიას მიერ გადარიცხული თანხები ციალა მორგოშიას მეშვეობით „ალტ ინფოს“ დაფინანსებისთვის გამოიყენებოდა.

2022 წელს ციალა მორგოშიამ „ალტ-ინფოში“ ერთ მილიონ ლარზე მეტი (დაახლოებით 350,000 აშშ დოლარი) მიიტანა. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ეს თანხები რეალურად კონსტანტინე მორგოშიას ეკუთვნოდა, რომელმაც სანქციების თავიდან ასაცილებლად ქონება დეიდის სახელზე დაარეგისტრირა. თავად კონსტანტინე მორგოშიამ საჯაროდ განაცხადა, რომ „ალტ-ინფოს“ პირადად აფინანსებდა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვებს, რომ ციალა მორგოშია შუამავლის როლს ასრულებდა. ქონებისა და აქტივების მესამე პირებზე გადაფორმების სტრატეგია საერთაშორისო სანქციების თავის არიდების და ორგანიზაციის (რომელიც აქტიურად ავრცელებს პრორუსულ ნარატივებს) საქმიანობის გაგრძელების მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს.

2021 წელს „ალტ-ინფოს“ ლიდერებმა დააარსეს ულტრანაციონალისტური, ძალადობრივი პოლიტიკური პარტია „კონსერვატიული მოძრაობა“, რომელიც

საქართველოში პრორუსული ნარატივების გასავრცელებელ და და ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის წინააღმდეგ საბრძოლველ ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგიურ იარაღად მალევე გადაიქცა.

2019–2024 წლებში „ალტ-ინფო“ მედია-იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენდა ამ ძალადობრივი და ექსტრემისტული ორგანიზაციისთვის, რომელმაც მოგვიანებით პოლიტიკური პარტიის სახე მიიღო. 2024 წელს „კონსერვატიულმა მოძრაობამ/ალტ-ინფომ“ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა სცადა, თუმცა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ პარტიის რეგისტრაცია პროცედურული დარღვევების საფუძველზე გააუქმა, რის შედეგადაც ორგანიზაციას არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა არ მიეცა.

აკრძალვის შემდეგ, „ალტ-ინფომ“პრორუსულ პოლიტიკურ პარტია „პატრიოტთა ალიანსთან“ დაიწყო თანამშრომლობა. სწორედ მისი მოქმედი რეგისტრაციის გამოყენებით, „ალტ-ინფოს“ ლიდერებმა და მის გარშემო მობილიზებულმა პოლიტიკურმა სტრუქტურებმა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ერთიან საარჩევნო სიაში მიიღეს მონაწილეობა. როგორც ექსტრემისტული ორგანიზაციის მედია-ხმამ, „ალტ-ინფომ“ გადამწყვეტი როლი ითამაშა „კონსერვატიული მოძრაობის“ ინტერესებთან შესაბამისი ნარატივების გავრცელებაში და მისი პოლიტიკური აქტივობების კონსოლიდაციაში.

„ალტ-ინფოს“ არხები:

- Alt-Info TV
- Alt-Info ინტერნეტ ტელევიზია, რომელიც ტელევიზიის პარალელურად ონლაინ სივრცეში საქმიანობდა.

ყურებადობა: „ალტ-ინფოს“ წლების განმავლობაში დაბალი რეიტინგი ჰქონდა, მისი ყურებადობა მაქსიმუმ 2%-იან აუდიტორიულ წილს აღწევდა.

ონლაინ აქტივობა: „ალტ-ინფოს“ ონლაინ სივრცე განსაკუთრებით გამოირჩეოდა სოციალური ქსელების აქტივობით, რაც ხშირად გავლენისა და პოპულარობის ილუზიას ქმნიდა. მათი კოორდინირებული და არაავთენტური ონლაინ ქმედებები დეტალურად შეისწავლეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ექსპერტებმა, რომლებმაც კონკრეტული მანიპულაციური ტექნიკები გამოავლინეს.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლების კონტროლქვეშ მყოფმა მედიამ ანტიდასავლური ნარატივები აიტაცა და ისინი დომინანტურად აქციაა ქართულ საინფორმაციო გარემოში, „ალტ-ინფომ“ და მსგავსმა მედიაორგანიზაციებმა აუდიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგეს. მიუხედავად იმისა, რომ „ალტ-ინფოს“ ტრადიციული ყურებადობა იყო, იგი კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონსერვატიული ღირებულებების ფორმირებასა და გავრცელებაში, განსაკუთრებით კოორდინირებული ონლაინ აქტივობებით.

ტელეკომპანია იმედი

„იმედის“ ტელევიზია საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე პოპულარული ტელევიზიაა, რომელიც ამჟამად კერძო, პროსამთავრობო მედია პლატფორმაა. მისმა ტურბულენტურმა ისტორიამ ამ კომპანიის საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პროპაგანდისტულ ინსტრუმენტად გადაქცევა განაპირობა. იმედი დაარსდა 2003 წლის 15 მარტ და მისი დამფუძნებელი იყო E-Media Holding, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ:

- ტელევიზია „იმედი“
- საგამომცემლო კომპანიები

- რადიოადგურები
- სატელევიზიო პროგრამების საწარმოები

2008 წლამდე „იმედი TV“-ის მფლობელი იყო ქართველი მილიარდერი ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც თბილისში დაიბადა, თუმცა ქონება რუსეთში დააგროვა. რუსეთში ის ფლობდა გამომცემლობა „კომერსანტს“, რომელიც გავლენიან ბიზნესგაზეთს გამოსცემდა. პატარკაციშვილი 2008 წლის თებერვალში ლონდონში გულის უკმარისობით გარდაიცვალა. გამოძიებამ და ტოქსიკოლოგიურმა ექსპერტიზამ მესამე პირის ჩარევის კვალი ვერ დაადასტურა. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა რუს ოლიგარქთან, ბორის ბერეზოვკისთან, რომელიც ასევე ლონდონში დევნილობაში ცხოვრობდა და არაერთი მკვლელობის მცდელობის სამიზნე გამხდარა. ორივე მათგანი 2002 წელს რუსეთის ხელისუფლების მიერ თაღლითობაში იყო ბრალდებული, რის გამოც პატარკაციშვილმა რუსეთი დატოვა. ის ცნობილი იყო, როგორც საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ოპონენტი.

2007 წელს, პატარკაციშვილის გავლენის შესაზღუდად, საქართველოს ხელისუფლებამ „იმედი TV“ დახურა. მალევე არხი ჩამოერთვა „I-Media Group“-ს და გადაეცა News Corp-ს ოპოზიციური ხმების ჩაეხშობის მიზნით. „იმედი TV“ News Corp-ის საკუთრებაში 2012 წლამდე, სანამ საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ არ დაამარცხა სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 2012 წლის ოქტომბერში, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, „იმედი TV“ და მასთან დაკავშირებული რადიო და საგამომცემლო კომპანიები პატარკაციშვილის ოჯახს დაუბრუნდა. ამჟამად იმედი პროსამთავრობო მედია პლატფორმად ფუნქციონირებს.

2012 წლის შემდეგ, იმედის პატარკაციშვილების ოჯახის მფლობელობაში გადასვლამ არხის პოლიტიკური ხასიათი რადიკალურად შეცვალა. წლების განმავლობაში მმართველი პარტიის პროპაგანდის იარაღად გამოყენებული

„იმედი“ სააკაშვილისა და მისი პარტიის მიმართ უკიდურესად კრიტიკულ პოზიციაზე გადავიდა, რაც იმ დროინდელ პოლიტიკურ დაძაბულობებს ასახავდა.

ირაკლი რუხაძის მიერ „იმედის“ შეძენა და მისი გავლენა არხის დამოუკიდებლობაზე

2021 წელს ხელისუფლებასთან კავშირებით ცნობილმა ბიზნესმენმა ირაკლი რუხაძემ, რომელიც საინვესტიციო ჰოლდინგ „Hunnewell Partners“-ს ხელმძღვანელობს, „იმედი TV“-ის აქციები შეიძინა. შედეგად, არხის სარედაქციო პოლიტიკა კიდევ უფრო პროსამტავრობო მიმართულებაზე გადავიდა.

რუხაძე ხშირად ყოფილა თაღლითობის ბრალდებების ობიექტი. „იმედის“ გარდა, ის ფლობს „ლიბერთი ბანკს“, რომელიც სიდიდით მესამე ბანკია საქართველოში. „ლიბერთი ბანკს“ მტაცებლური სესხების მეშვეობით ქართველი პენსიონერების გამოყენებაში ადანაშაულებენ. სასამართლო დავა, რომელიც ამ საკითხზე 2021 წლის თებერვალში დაიწყო, დღემდე შეჩერებულია, რაც საზოგადოებაში აჩენს ეჭვებს, რომ „იმედის“ პროპაგანდისტული მხარდაჭერის სანაცვლოდ, ხელისუფლება ხელს უწყობს რუხაძეს სასურველი სასამართლო შედეგების მისაღებაში.

რუხაძის მიერ არხის შეძენის შემდეგ „იმედი TV“-ის კურსი, რომელიც უკვე პროსამთავრობოიყო, კიდევ უფრო პროსამთვრობო გახდა. აღნიშნული საქართველოში მედიის პლურალიზმისა და დამოუკიდებლობის ნაკლებობაზე კიდევ უფრო აძლიერებს შეშფოთებას.

„იმედის“ როლი ანტიდასავლურ პროპაგანდის გავრცელებაში (2024)

2024 წლის პირველ ნახევარში „იმედი TV“ ხელისუფლების პროპაგანდის გავრცელების მთავარ იარაღად იქცა. განსაკუთრებით მაშინ, როცა მმართველმა პარტიამ გააცოცხლა რუსეთიდან შთაგონებული „უცხოური აგენტების შესახებ“ კანონი და ღიად გააკრიტიკა დასავლეთი.

„იმედმა“ არა მხოლოდ აშუქებს მთავრობის ნარატივებს, არამედ აქტიურად აწარმოებს კონტენტს, რომელიც ანტიდასავლურ დისკურსს აძლიერებს. შედეგად, „იმედი“ — საქართველოს ყველაზე დიდი და პოპულარული ტელეარხი — 2024 წელს ანტიდასავლური პროპაგანდის მთავარ ხმად ჩამოყალიბდა. მისი პოპულარობა და დაფარვა მას მნიშვნელოვან ინსტრუმენტად აქცევს მმართველი პარტიისა და ანტიდასავლური ინტერესების სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში.

იმედის სტრუქტურა:

- **ტელეკომპანია იმედი** - მთავარი პლატფორმა.
- **რადიო იმედი** - ასოცირებული რადიოსადგური.

2024 წელს „იმედმა“ მედიაბაზარზე თავისი დომინანტური პოზიცია გამოიყენა, რათა ერთდროულად ყოფილიყო როგორც ხელისუფლების პროპაგანდის ბურჯი, ისე ანტიდასავლური ნარატივების გამაძლიერებელი პლატფორმა. თუ აქამდე ასეთი დეზინფორმაცია ძირითადად მარგინალურ, რადიკალურ არხებსა და საინფორმაციო გვერდებზე გვხვდებოდა, მისი გამოჩენა „იმედის“ ეთერში გაცილებით სერიოზულ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე.

ანტიდასავლური ნარატივების გავრცელების გაძლიერება

- **უპრეცედენტო დაფარვა:** ანტიდასავლური კონტენტის გაშუქება „იმედი TV“-ის ეთერში — არხზე, რომელიც აღიქმება, როგორც სანდო ინფორმაციის წყარო — ზრდის ამ გზავნილების ხელმისაწვდომობას და გავლენას საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილზე.
- **ნარატივების ნორმალიზება:** პოპულარულ მედიაში ამ ნარატივების ხშირი დაფარვა იწვევს მათ, როგორც საჯარო დისკუსიის ჩვეულებრივი ნაწილის, თანდათანობით მიღებას.
- **დეზინფორმაციის შედეგები:** მიკერძოებულ, დაუდასტურებელ და მიზანმიმართულად მანიპულაციურ ინფორმაციასთან მუდმივი კონტაქტი ზრდის სკეპტიციზმს დასავლური ღირებულებებისა და ინსტიტუტების მიმართ.
- **პროდასავლური მოძრაობის შესუსტება:** „იმედი TV“-ის, როგორც სანდო საინფორმაციო წყაროს იმიჯი, აძლიერებს ანტიდასავლურ გზავნილებს. ეს განგრძობად ზიანს აყენებს საქართველოში პროდასავლურ მოძრაობას და ასუსტებს საზოგადოებრივ მხარდაჭერას დასავლეთთან ინტეგრაციის მიმართ.

„იმედი TV“-ის ეთერში ანტიდასავლური ნარატივების არსებობა არა მხოლოდ ზრდის დეზინფორმაციის გავრცელების მასშტაბს, არამედ ცვლის მის აღქმას საზოგადოებაში, რითაც იგი უფრო მისაღები და სანდო ხდება.

PosTV

PosTV არის სახელმწიფო ხელისუფლებასთან დაკავშირებული კერძო ტელემედია, რომელიც ცნობილია პროპაგანდისა და თანმიმდევრული ანტიდასავლური გზავნილების გავრცელებით. არხი დაარსდა 2017 წელს, როგორც ონლაინ-

სტრიმინგის პლატფორმა, და თავიდანვე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მმართველი პარტიის სტრატეგიაში ანტიდასავლური მესიჯების გაძლიერების მიმართულებით.

დამფუძნებლები და მფლობელობა

შალვა რამიშვილი — მთავრობის ერთ-ერთი წამყვანი პროპაგანდისტი და მმართველი პარტიის ღია მხარდამჭერი. ფლობს „PosTV“-ის 20%-ს. მან საჯაროდ აღიარა, რომ მისი როლია სახელმწიფო პროპაგანდის წარმოება და სიმართლის საკითხს მნიშვნელობას არ ანიჭებს. მისი გადაცემები სისტემატურად ამაგრებენ ხელისუფლების ნარატივებს.

ზაზა შატირიშვილი — პრომთავრობო კომენტატორი და პროპაგანდისტი, რომელიც ასევე ფლობს „PosTV“-ის 20%-ს. მისი საქმიანობა თავიდანვე დაკავშირებული იყო ხელისუფლების სასარგებლო შინაარსის წარმოებასთან და მმართველი პარტიის საკომუნიკაციო სტრატეგიის მხარდაჭერასთან.

PosTV მნიშვნელოვან როლს თამაშობს პრომთავრობო მესიჯების კონსოლიდაციასა და მათ საზოგადოებრივ დისკურსში „მთავარ მოსაზრებად“ წარმოჩენაში. არხის მიერ გავრცელებული ანტიდასავლური ნარატივები მმართველი პარტიის საინფორმაციო სტრატეგიის ცენტრალური ნაწილია და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას პრორუსული და პრომთავრობო პოლიტიკის სასარგებლოდ.

2019 წელს „PosTV“-მ ონლაინ პლატფორმიდან სატელევიზიო არხად გადაინაცვლა და პოპულარობა მოიპოვა. 2022 წლისთვის არხი „ხალხის ძალის“ მოძრაობის მედიასაყრდენად იქცა და ღიად დაუჭირა მხარი მის დღის წესრიგსა და ნარატივებს. „ხალხის ძალა“ შეიქმნა მას შემდეგ, რაც მისმა წევრებმა მმართველი პარტია

„ქართული ოცნება“ დატოვეს, ოფიციალური მიზეზით — პარტიის მიერ დასავლეთის სავარაუდო ჩარევის ღიად გაკრიტიკებისგან თავის შეკავება.

ძირითადი ნარატივები მოიცავს:

- დასავლეთის დისკრედიტაციას, მათ შორის დასავლელი ქვეყნების ელჩების დადანაშაულებას, რომ ისინი ცდილობენ საქართველოს ჩათრევას უკრაინის ომში;
- პრორუსული კონსპირაციული თეორიების გავრცელებას, რომელიც მიზნად ისახავს პრორუსული ელექტორატის მოზიდვას;
- პრომთავრობო მესიჯების მხარდაჭერას, პარალელურად „ქართული ოცნების“ გაკრიტიკებას იმაზე, რომ იგი დასავლეთის წინააღმდეგ შეტევებში საკმარისად ღიად არ მოქმედებს.

ვიქტორ დოლიძე და კონტროლი PosTV-ზე

ვიქტორ დოლიძემ, პარტია „ხალხის ძალის“ მოძრაობის ერთ-ერთმა მთავარმა ფიგურამ, PosTV-ის 52%-იანი წილი შეიძინა, რითაც კიდევ უფრო გაამყარა არხის კავშირი აღნიშნულ პარტიასთან. „PosTV“-სა და „ხალხის ძალას“ შორის თანამშრომლობა მკაფიოდ არის მიმართული საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, მათ შორის მმართველი პარტიისთვის „ბინძური სამუშაოს“ შესრულებაზე — დასავლეთის წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანიების წარმართვაზე და პრორუსული აუდიტორიის მხარდაჭერის კონსოლიდაციაზე.

„PosTV“, „ხალხის ძალასთან“ თანამშრომლობით, საქართველოში პრორუსული ნარატივებისა და ანტიდასავლური პროპაგანდის გავრცელების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად გადაიქცა. არხი, რომლის უდიდეს წილსაც ვიქტორ დოლიძე ფლობს, ფუნქციონირებს როგორც მოძრაობის მედია-ფრთა და ამავდროულად, დასავლეთის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიებში ჩართულობით, მხარს უჭერს ხელისუფლების დღის წესრიგს. აღნიშნულმა საქმიანობამ, საზოგადოებაში

პრორუსული განწყობების გაძლიერებით, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს მედიასა და პოლიტიკურ გარემოზე.

PosTV-ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი არის ანალიტიკური გადაცემა, რომელიც გამოირჩევა ღიად პრომთავრობო და ანტიდასავლური ხასიათით. გადაცემაში სამი დეკლარირებული პროპაგანდისტი მონაწილეობენ:

- **შალვა რამიშვილი** — ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პროპაგანდისტი საქართველოში. ფლობს „PosTV"-ის 20%-ს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მის გავლენას არხის შინაარსობრივ მიმართულებაზე.
- **ბაჩო ოდიშარია** — ცნობილია პრომთავრობო ნარატივების მუდმივი მხარდაჭერით. ის ხშირად აკრიტიკებს დასავლეთს და ავითარებს პრორუსულ კონსპირაციულ თეორიებს.
- **გური სულთანიშვილი** — აქტიურად მხარს უჭერს პრომთავრობო მესიჯებს და აკრიტიკებს დასავლეთს. მისი აქტივობა საქართველოში ანტიდასავლური და პრორუსული ნარატივების გაძლიერებას ემსახურება.

გადაცემის შინაარსი ხშირად ეფუძნება მანიპულაციებს, დაუდასტურებელ ინფორმაციას და გადაჭარბებებს, რაც კიდევ უფრო ამყარებს ანტიდასავლურ დღის წესრიგს. ამ სამი პროპაგანდისტის მონაწილეობით „PosTV"-ის ანალიტიკური პროგრამა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, პრორუსული და ანტიდასავლური ნარატივების გამყარების მიმართულებით, არხის სტრატეგიაში.

„PosTV“, რომელიც ხელისუფლების მოკავშირე, **აქტიურად მონაწილეობს დისკრედიტაციის კამპანიებში, რომლებიც მიმართულია ქართველი ჟურნალისტების, სამოქალაქო ჯგუფებისა და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ.** მისი პროგრამები და აქტივობები მოიცავს ანტიდასავლური რიტორიკის, დეზინფორმაციისა და შიშზე დამყარებული შინაარსის გავრცელებას, განსაკუთრებით კი, ომის კონტექსტში.

„PosTV“ ფუნქციონირებს როგორც ტელევიზია და საინფორმაციო სააგენტო, ამავდროულად, ინარჩუნებს მაღალ აქტიურობას სოციალურ მედიაში, სადაც მართავს პოპულარულ Facebook-გვერდებს:

- PosTVtv Analytics
- PosTVtv News

მიუხედავად იმისა, რომ **„PosTV“-ს არასდროს მიუღწევია სატელევიზიო რეიტინგებში მნიშვნელოვან შედეგებისთვის,** მისი საქმიანობა სოციალურ მედიასა

და მიზანმიმართული კამპანიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

„Alt Info“-ს ლიდერების მიერ დაფუძნებულმა კონსერვატიულმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საქართველოს პოლიტიკურ სცენაზე, პრორუსული კავშირების გამოყენებით ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესასუსტებლად. მოძრაობის ლიდერთა ქმედებები, როგორიცაა ზურაბ მახარაძე და კონსტანტინე მორგოშია, ასახავს მიზანმიმართულ სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავდა პრორუსული განწყობების გაძლიერებას და ქვეყნის დესტაბილიზაციას.

- **ზურაბ მახარაძე** — მოძრაობის დაფუძნებისთანავე დაინიშნა თავმჯდომარედ. იგი ღიად მოუწოდებდა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზაციისკენ. მოძრაობის წევრები ხშირად აორგანიზებდნენ რუსეთში ვიზიტებს, რომელთა მიზანი იყო მაღალი რანგის პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან შეხვედრები, თანამშრომლობის გაღრმავება და პრორუსული ნარატივების გაძლიერება.
- **კონსტანტინე მორგოშია** — კონსერვატიული მოძრაობისა და „Alt Info“-ს ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც ცნობილია რუსეთთან მჭიდრო კავშირებითა და იქ ბიზნესპროექტების წარმართვით. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა როგორც „Alt Info“-ს, ისე კონსერვატიული მოძრაობის დაფინანსებაში, რაც მათი საქმიანობისთვის გადამწყვეტი იყო.

კონსერვატიული მოძრაობა აქტიურად ცდილობდა საქართველოში პროდასავლური განწყობების შესუსტებას პრორუსული იდეებისა და ნარატივების გავრცელების გზის. ისინი რუს პოლიტიკოსებთან და ბიზნესმენებთან კონტაქტებს

პრორუსული განწყობების გასაძლიერებლად იყენებდნენ. რეგულარული ვიზიტები რუსეთში წარმოადგენდა მცდელობას, მოძრაობა წარმოჩენილიყო როგორც „ხიდი“ საქართველოსა და რუსეთს შორის. სწორედ ამ კავშირებით ხდებოდა ფინანსების მოპოვება, რაც შემდგომ პოლიტიკური და პროპაგანდისტული კამპანიებისთვის გამოიყენებოდა.

მოძრაობამ ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში რეგიონული ოფისების გახსნა დაიწყო, რათა მისი გავლენა გაეძლიერებინა დედაქალაქს მიღმა. მიზანი იყო ისეთი რეგიონების მოსახლეობაზე ზემოქმედება, სადაც განსაკუთრებით ძლიერია საბჭოთა წარსულის ნოსტალგია და შესაბამისად, პრორუსული ნარატივების მიმღებლობა. თუმცა, ამ გაფართოებას მკვეთრი საზოგადოებრივი წინააღმდეგობა შეხვდა. ბევრ ქალაქში ადგილობრივებმა ორგანიზებული პროტესტებით გამოხატეს უკმაყოფილება, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში ოფისების დახურვა გამოიწვია. აღნიშნული პროცესები აჩვენებს, რომ მოძრაობის საქმიანობა მკვეთრად საკამათოა და ქართულ საზოგადოებაში ერთსულოვანი მხარდაჭერით არ სარგებლობს.

კონსერვატიული მოძრაობა, რომელიც იდეოლოგიურად ახლოს დგას მმართველ პარტიასთან, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პრორუსული ნარატივების გავრცელებაში და ძალადობრივი ტაქტიკის გამოყენებაში, რითაც ხელისუფლების პოლიტიკას ამყარებდა.

2021 წლის 5 ივლისის „თანასწორობის მარშის“ ძალადობრივმა ჩახშობამ ნათლად აჩვენა, რომ პრორუსული ჯგუფები, როგორიცაა კონსერვატიული მოძრაობა, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ხელისუფლებასთან.

იმ დღეს:

- **ევროკავშირის და რუსეთის მოთხოვნების შედარება:** აღნიშნული ნარატივების მიხედვით, რუსეთი არ აყენებს „ზედმეტ მოთხოვნებს“ დემოკრატიულ რეფორმებსა თუ ადამიანის უფლებებზე და რუსეთთან თანამშრომლობა „პრაგმატიზმზეა“ დაფუძნებული, ხოლო დასავლეთთან - „იდეოლოგიაზე“.
- **სოციალური რეფორმების მოთხოვნის არარსებობა:** რუსეთი წარმოჩნდება როგორც ქვეყანა, რომელიც პარტნიორებისგან ლიბერალურ ღირებულებებს არ ითხოვს.

განვითარების იმედი ყოველგვარი სოციალური თუ პოლიტიკური ფასის გარეშე ასუსტებს დასავლეთის მიერ მოთხოვნილი გრძელვადიანი რეფორმების მხარდაჭერას. საზოგადოება ევროკავშირში ინტეგრაციას აღიქვამს ზედმეტად რთულად და იმ ძალისხმევად, რომელიც არ ღირს.

„სტაბილურ წარსულში დაბრუნება“: პრორუსული ნარატივები აღვივებენ იდეალიზებულ წარსულის სენტიმენტებს, როცა საქართველო იყო საბჭოთა

კავშირის ნაწილი, და ირწმუნებიან, რომ რუსეთისთან ახლო ურთიერთობების აღდგენა მსგავს სარგებელს მოიტანს.

- **საბჭოთა ეპოქის მოგონებები:** რუსეთი აღწერილია როგორც პარტნიორი, რომელთანაც ისტორიულად სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები არსებობდა. ნარატივები მკითხველს ახსენებს „კარგ ძველ დროს“, როცა ქართული პროდუქცია საბჭოთა ბაზარზე გადიოდა.

- **სსრკ-ის „სტაბილურობის“ ნოსტალგია:** ნარატივების მიხედვით, რუსეთთან ურთიერთობები უფრო პროგნოზირებადია, ვიდრე დასავლეთის მიერ მოსალოდნელი რთული რეფორმები.

ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობისა და პროგნოზირებადობის იმედი საზოგადოების ნაწილს პრორუსული ნარატივების მხარდაჭერამდე მიჰყავს და ზრდის მანიპულაციისადმი მგრძნობელობას „იდეალიზებულ წარსულზე“ დაყრდნობით.

იმედი დარწმუნების ეფექტური ინსტრუმენტია, რომელიც საქართველოში გამოიყენება რუსეთის, როგორც პარტნიორის, მიმართ ნდობის აღსადგენად, რომელიც სარგებელს სთავაზობს დასავლეთთან ინტეგრაციასთან დაკავშირებული რისკებისა და ხარჯების გარეშე. ასეთი მიდგომა მობილიზებას უკეთებს კონსერვატიულ ჯგუფებს ტრადიციული ღირებულებებისა და სტაბილურობის დაპირებით, ხოლო პროდასავლურ რეფორმებს, რომლებიც წამრმოჩნდება, როგორც ძვირი, არასაჭირო და გარედან თავსმოხვეული, მხარდაჭერას აკლებს. იმედს, როგორც ზმოქმედების მექანიზმს, შეუძლია გამოიწვიოს დემოკრატიზაციისა და დასავლეთთან ინტეგრაციის შესაძლებლობების დაკარგვა.

რუსეთი წლებია ახორციელებს რთულ გავლენის ოპერაციებს საქართველოში, ფსიქოლოგიური ომის მრავალფეროვანი ტექნიკით, მისი ჰიბრიდული ომის

სტრატეგიის ფარგლებში. ზემოქმედების მეთოდების შეფასება საჭიროებს საშუალოვადიან ანალიზს, რაც მოიცავს წლების განმავლობაში განხორციელებულ სხვადასხვა აქტიური მეთოდებს, რომლებიც ერთობლიობაში დესტაბილიზაციისა და ზეგავლენის კლასიკურ ტექნიკათა ფართო სპექტრს წარმოადგენს.

ტაქტიკები და ტექნიკები

- **ნარატივის კონტროლი:** შიშზე აწყობილი გზავნილები, თითქოს დასავლეთს სურს საქართველოს რუსეთთან ომში ჩათრევა. მაგალითი: უკრაინის ომის ფონზე „მეორე ფრონტის გახსნის“ თეორიების გავრცელება საქართველოში.
- **დასავლეთის „საფრთხედ“ წარმოჩენა:** „ქართული ოცნების“ ლიდერთა განცხადებები, თითქოს ნატო და ევროკავშირი გეგმავენ საქართველოს სამხედრო მიზნებისთვის გამოყენებას. პოლიტიკოსთა, მათ შორის ირაკლი კობახიძის, რიტორიკა „გლობალური ომის პარტიის“ მიერ ქვეყნის დესტაბილიზაციის შესახებ.
- **რელიგიისა და კულტურის გამოყენება:** აღნიშნული ნარატივები უსვამენ ხაზს საქართველოსა და რუსეთის საერთო მართლმადიდებლურ ღირებულებებს, ხოლო დასავლური ლიბერალური ფასეულობები წარმოჩენილია როგორც კულტურისა და ტრადიციის საფრთხე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია - განსაკუთრებით მაღალი იერარქიის წარმომადგენლები - თამაშობენ საკვანძო როლს პრორუსული გზავნილების გავრცელებაში.
- **ადგილობრივი მედიის გამოყენება:** პრო-სამთავრობო მედია პროპაგანდის არხებად ფუნქციონირებენ. „იმედი TV“ და „PosTV“ აქტიურად ავრცელებენ პრორუსულ და ანტიდასავლურ ნარატივებს, დეზინფორმაციასა და კონსპირაციულ თეორიებს. აღნიშნული მედიები ნორმალიზებას უწევენ ანტიდასავლურ ნარატივებს მათ „ობიექტურ ინფორმაციად“ წარმოდგენის გზით. „Alt-Info“-სა და „ობიექტივის“ მსგავსი ნაკლებად პოპულარული

პლატფორმები უფრო რადიკალური შინაარსის გზავნილების გასავრცელებად გამოიყენება.

- **სოციალური მედიის მანიპულაცია და რუსეთის კიბერგავლენის მოდელი:** ალგორითმების გამოყენება „ინფორმაციული ბუშტების“ შესაქმნელად, სადაც მომხმარებლები ერთგვაროვან და ხშირად მანიპულირებულ კონტენტს ხედავენ. საქართველოში მრავალი ვებგვერდი პირდაპირ რუსული წყაროებიდან შემოსული მასალის რეტრანსლაციის არხებად მუშაობს. ამ ტაქტიკის მიზანია პრორუსული გზავნილებისა და ზემოქმედების გავრცელება და ქვეყნის საინფორმაციო სივრცეში ფართოდ მისაწვდომი ეკოსისტემის შექმნა. რუსული „საინფორმაციო“ პორტალები, როგორც პირველადი წყაროები, არის დეზინფორმაციის გავრცელების მთავარი ინსტრუმენტი , რომლის მასალებითაც ამარაგებენ სხვა საიტებს და ძალიან ხშირად, პრო-სამთავრობო ქართულ „მედიასაც“. რუსეთი ფართოდ გამოიყენებს ანონიმური მუქარების მოდელს და პროდასავლურ გარემოზე „ნადირობის ატმოსფეროს“ შექმნას, ბლოგების ქსელის მეშვეობით, სადაც პროდასავლური აქტივობები ცრუ კონტექსტში - „ეროვნული ღალატი“ ან „აგენტობ“ა - არის მოყვანილი.
- **მოწყვლადი თემების მიზანში ამოღება: ეთნიკური უმცირესობები და სოფლად მცხოვრები მოსახლეობა:** ეთნიკური უმცირესობები და სოფლის თემები ხშირად ეყრდნობიან არაფორმალურ წყაროებს - ოჯახს, მეზობლებს - რაც მათ განსაკუთრებით მგრძნობიარედ აქცევს დეზინფორმაციის მიმართ. როდესაც მიზანმიმართული პროპაგანდა სწორედ ამ ჯგუფებს მიეწოდება არაფორმალური არხებით, ის „ზეპირად“ ვრცელდება და პროპაგანდას უფრო სახიფათოს და რთულად დასაპირისპირებლად ხდის.
- **დაშინება და დესტაბილიზაცია: მკვლელობები, მუქარები და ტერორი არის ძალადობის გამოყენების მაგალითები დაშინების მიზნით. რუსეთი აგზავნის სიგნალს, რომ მისი ინტერესების წინააღმდეგ წასვლა მკაცრად დაისჯება. რუსეთის შთაგონებითა და მხარდაჭერით, მათ შორის ფინანსური**

მხარდაჭერით, საქართველოში მოქმედი პრორუსული ჯგუფები უფრო ძლიერდებიან. ამ მოქმედების მოდელმა და ზემოქმედების ტაქტიკამ ოპერაციები ფიზიკურ სივრცეში გადაიტანა: მარშებით, დემონსტრაციებით ან პროდასავლური საზოგადოების პირდაპირი დაშინებითა და ტერორით. აღნიშნული ხშირად ქართული უსაფრთხოების სტრუქტურების მფარველობით ან ჩუმი თანხმობით ხორციელდება. 2021 წლის „ღირსების მარშზე" ძალადობა ნათლად აჩვენებს, როგორ მანიპულირებენ პრორუსული ჯგუფები საზოგადოებრივ განწყობებით და როგორ ამყარებენ ანტიდასავლურ ნარატივებს.

- პოლარიზაციის გაღრმავება: საქართველოს მედია-გარემო, ისევე როგორც საზოგადოება მთლიანობაში, პოლარიზებულია და პოლიტიკური ინტერესებზე არის გადაჯაჭვული. აღნიშნული ასუსტებს საზოგადოებრივ ნდობას და ზრდის მანიპულაციისადმი მოწყვლადობას. პოლარიზაციის შენარჩუნება საშუალებას აძლევს რუსულ პროპაგანდას გამოიყენოს საინფორმაციო სივრცის სეგმენტაციის ტაქტიკა მცირე სამიზნე ჯგუფებზე, რაც იძლევა სპეციფიკურ სენსიტივობებზე მორგებული გზავნილების გავრცელების ან ზემოქმედების სტრატეგიების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

3. დასავლეთის წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო კამპანიები

საქართველოში პრორუსული პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკოსები, ულტრამემარჯვენე ჯგუფები, სამღვდელოება, მედია და სხვა აქტორები სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით აქტიურად ავრცელებენ ანტიდასავლურ პროპაგანდას. ამ ქმედებათა მიზანია ქართული საზოგადოების დეზინფორმირება და შეცდომაში შეყვანა, პანიკის გამოწვევა და ქაოსის დათესვა. დეზინფორმაციული კამპანიები

მიზნად ისახავს დასავლეთის იმიჯის განადგურებას, მისი ღირებულებების დისკრედიტაციას და საქართველოს წინააღმდეგად წარმოჩენას.

წლების განმავლობაში საქართველოში მრავალი პროპაგანდისტული ნარატივი ვრცელდებოდა. ნაწილი მიზნად საქართველოსა და მის მეზობლებს შორის განხეთქილების და უნდობლობის გაღვივებას ისახავდა, სხვები, კი - საქართველოს ურთიერთობების მის შესუსტებას მთავარ მოკავშირეებთან. თუმცა რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ, 2022 წლის თებერვალში, საქართველოში საინფორმაციო გარემო რადიკალურად შეიცვალა - საქართველოს მთავრობა ქვეყანაში დეზინფორმაციის მთავარ წყაროდ იქცა. განსხვავებით წლების წინანდელი პერიოდისგან, როცა ანტიდასავლურ ნარატივებს ძირითადად მარგინალური მედია ავრცელებდა, ახლა მთელი პროპაგანდისტული აპარატი და მთავრობის უსაფრთხოების სტრუქტურები გახდა ამ გზავნილების ძირითადი მატარებელი. მსგავსი ქმედებები მეტისმეტად ზრდის ანტიდასავლური ნარატივების დაფარვისა და გავლენის მასშტაბს, რაც კიდევ უფრო ამწვავებს როგორც შიდა მდგომარეობას, ისე საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებს.

ბოლო წლებში მმართველმა „ქართული ოცნებამ“ ანტიდასავლური პროპაგანდის გავრცელებაში სულ უფრო აქტიური როლი ითამაშა. პარტიის წარმომადგნელებმა და მასთან დაკავშირებული აქტორები რეგულარულად ახმოვანებენ ანტიდასავლურ ნარატივებს და საჯარო დისკურსში ნორმად აქცევენ მათ. რუსულ და ადგილობრივ გზავნილთა შედარებითმა ანალიზმა შინაარსისა და ტონის თვალსაზრისით მკაფიო მსგავსებები გამოავლინა.

შედეგად, მმართველ პარტიას საჯარო შეფასებებით „დააჯილდოვა“ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა, ასევე რუსმა მაღალჩინოსნებმა და წამყვანმა პროპაგანდისტებმა.[1] ეს ვითარება აშკარად ეწინააღმდეგება იმ მოლოდინს, რომ

[1] https://tass.ru/politika/22526139

საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტები აქტიურად უნდა ებრძოდნენ ანტიდასავლურ ნარატივებს და საზოგადოებისთვის მაგალითი უნდა იყვნენ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მხარდაჭერის საქმეში. მის ნაცვლად, ქართული ინსტიტუტები თავადვე იქცნენ პროპაგანდისტული მანქანის ნაწილად, დეზინფორმაციის გამტარად და ანტიდასავლური განწყობების გამაძლიერებლად.

„ქართული ოცნების“ პოლიტიკოსები არასდროს აცხადებენ ღიად პრორუსულ მიდრეკილებებს, რაც ბუნდოვანების ატმოსფეროს ქმნის. ეს პოზიცია შეცდომაში შეჰყავს საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც კვლავაც თვლის, რომ პარტია მხარს უჭერს საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციას და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მისწრაფებას. შედეგად, პარტიის რიტორიკა ეფექტურად ძირს უთხრის დასავლური ღირებულებებისადმი ნდობას და ამავდროულად აძლიერებს პრორუსულ გავლენას ქვეყანაში.

ა) ნარატივი: დასავლეთს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა სურს

რუსეთის უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ საქართველოში ანტიდასავლური ნარატივების ახალი ტალღა გაჩნდა. მმართველი პარტიის პოლიტიკური ლიდერები, სატელიტური პარტიები, მედიასაშუალებები, ექსპერტები და სამღვდელოება აქტიურად აშინებდნენ საზოგადოებას ომის პერსპექტივით. ეს ნარატივი გამყარდა უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს მდივნის, ოლექსი დანილოვის, და უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩევლის, ოლექსი არესტოვიჩის განცხადებებით, რომლებიც მიუთითებდა, თითქოს ქართველებს უნდა „დაებრუნებინათ“ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები. მმართველმა პარტიამ ეს განცხადებები გამოიყენა და ანტიდასავლურ ნარატივად გარდაქმნა, ამტკიცებდა რა, რომ დასავლეთს სურს საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნა.

ამ რიტორიკის ფარგლებში მმართველი კოალიციის პოლიტიკურმა ლიდერებმა შემოიტანეს ტერმინი „გლობალური ომის პარტია“, რომელიც კონსპირაციულ თეორიად იქცა და მიზნად ისახავდა „ქართული ოცნების“ პოზიციის გამყარებას, ასევე საზოგადოებაში დაბნეულობისა და უნდობლობის დათესვას. საყურადღებოა, რომ პოლიტიკოსები თავს არიდებენ „ომის პარტიის“ კონკრეტული წევრების დასახელებას, თუმცა მასვე მიაწერენ საქართველოს ომში ჩათრევის განზრახვას. პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „გლობალური ომის პარტია“ ასე აღწერა: „ევროკავშირი მისი ერთ-ერთი მთავარი მსხვერპლია, მაგრამ ამ პარტიას გადამწყვეტი, კრიტიკული გავლენა აქვს როგორც აშშ-ის, ასევე ევროკავშირის ოფიციალურ სტრუქტურებზე.“

საკვირველი არ არის, რომ მმართველი პარტიის ბევრ წარმომადგენელს მსგავსი გზავნილები ხშირად გაუმეორებია. მაგალითად, 2023 წელს, წლიური ანგარიშის პრეზენტაციისას, პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა: „დესტრუქციული ‘ომის პარტიის’ ერთ-ერთი მთავარი მიზანი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა იყო.“ პარალელურად, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ლიდერმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა, თითქოს ათზე მეტმა ევროპარლამენტარმა ისურვა საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა.

ეს ნარატივი ინტენსიურად ვრცელდება მმართველ პარტიასთან დაკავშირებული მედიასაშუალებებით, როგორიცაა „იმედი“ და „PosTV“, რომლებიც ეთერს უთმობენ ძირითადად „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსებს, ექსპერტებს, სამღვდელოებას და პარტიასთან დაკავშირებულ სხვა პირებს. მათ განცხადებებში „მეორე ფრონტის“ თემა რეგულარულად მატულობს, ბრალს დებენ უკრაინასა და დასავლეთს, მაშინ როცა მთავრობა „მშვიდობის ადვოკატად“ წარმოაჩენენ. ასეთი გზავნილები უფრო ფართო დეზინფორმაციული კამპანიის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ურთიერთობების დასუსტებას დასავლეთთან და ქვეყნის პრორუსული გავლენის ზრდას.

ტელეკომპანია „იმედი“ აქტიურად ამყარებს ანტიდასავლურ ნარატივს იმით, რომ ციტირებას აკეთებს ნაკლებად ცნობილ დასავლელი ფიგურების განცხადებებიდან, რათა გზავნილს სარწმუნოება მიანიჭოს. ამის მაგალითია პოლიტოლოგ გლენ დიზენის ციტირება: „დასავლეთმა ზუსტად იცის, რა უნდა. ამ ეტაპზე საქართველოში მეორე ფრონტი ყველაზე მეტად სჭირდებათ. დასავლეთი თვლის, რომ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა რუსეთის ფედერაციას დაასუსტებს.“

ანტიდასავლური ნარატივების ასეთი სისტემური გავრცელება ნათლად მიუთითებს მმართველ პარტიასა და დეზინფორმაციულ კამპანიებს შორის კავშირზე. ეს ქმედებები მხოლოდ საქართველოს დასავლელ მოკავშირეებთან ურთიერთობებს არ აზიანებს, არამედ საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ გზასაც, ასუსტებს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესაძლებლობას და აძლიერებს პრორუსულ გავლენებს საზოგადოებაში.

რიტორიკის კიდევ უფრო გასამყარებლად მმართველმა პარტიამ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა შეუკვეთა კომპანია GORBI-ს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული „ქართულ ოცნებასთან“. ამ კვლევის შედეგები „იმედი TV“-მ 2022 წლის 13 ივნისს გამოაქვეყნა. გამოკითხვაში იყო მანიპულაციური კითხვა: „ეთანხმებით თუ არა ‘ქართული ოცნების’ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც, საქართველო არ უნდა ჩაერიოს რუსეთსა და უკრაინას შორის ომში?“ ასეთი ფორმულირება ერთმნიშვნელოვან პასუხს გვაწვდის და, ბუნებრივია, შედეგებზე გავლენას ახდენს. გამოქვეყნებული მონაცემებით, რესპონდენტების 77%-მა მხარდაჭერა გამოხატა მმართველი პარტიის პოლიტიკისადმი.

ასეთი ქმედებები იმ მცდელობაზე მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი აზრი ისე ფორმირდეს, რომ მმართველი პარტიის ინტერესებს შეესაბამებოდეს, პარალელურად კი მოხდეს გზავნილების მანიპულირება მისი პოლიტიკის ლეგიტიმაციისა და ანტიდასავლური ნარატივების გასამყარებლად. ამ გამოკითხვის მეშვეობით „ქართულმა ოცნებამ“ სცადა დაემტკიცებინა, რომ

როგორც ქვეყნის შიგნით, ისე დასავლელ პარტნიორებთან მიმართებით, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მის პოლიტიკას უჭერს მხარს.

მნიშვნელოვანია ხაზი აღინიშნოს, რომ „ქართული ოცნება“ ეყრდნობა მხოლოდ GORBI-ს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს, ხოლო უნდობლობას გამოხატავს NDI-ის (National Democratic Institute) ან სხვა საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტების კვლევების მიმართ. მონაცემთა წყაროების ასეთი სელექცია მიუთითებს ნარატივზე კონტროლის შეინარჩუნების მხდელობაზე და **საკუთარი პოლიტიკის შიდა და საერთაშორისო ასპარეზზე ლეგიტიმურად წარმოაჩენაზე.**



წყარო: იმედი TV

ზემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე ნაჩვენებია გამოკითხვის შედეგები კითხვაზე: „ეთანხმებით თუ არა ‘ქართული ოცნების’ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც საქართველო არ უნდა ჩაერიოს რუსეთსა და უკრაინას შორის ომში?“:

- **რესპონდენტების 77.6% ეთანხმება „ქართული ოცნების“ პოლიტიკას.**
- **20.8% არ ეთანხმება.**
- **1.6%-მა პასუხად მიუთითა „არ ვიცი“.**

პროპაგანდისტული არხი „Post TV“ აქტიურად ამყარებს ანტიდასავლურ ნარატივებს სოციალურ მედიაში, იყენებს როგორც მმართველი პარტიის ოფიციალური პირების, ისე ნაკლებად ცნობილი მოქალაქეების განცხადებებს. მაგალითად, სასტუმრო-კომპლექს „Chateau Chikovani“-ს დამფუძნებელი უჩა ჩიქოვანი თავის საჯარო გამოსვლებში განიხილავდა საქართველოს ომში ჩათრევის პერსპექტივას, აფასებდა მის შესაძლო დადებით და უარყოფით მხარეებს. ჩიქოვანმა ასევე საჯაროდ მოიწონა და აღფრთოვანება გამოხატა „ქართული ოცნების“ დამფუძნებლისა და საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებების მიმართ. ასეთი ქმედებები მიუთითებს თანმიმდევრულ პროპაგანდისტულ გზავნილზე, რომელიც „Post TV“-ს მსგავს პლატფორმებზე გადის, ფართო აუდიტორიას აღწევს და მმართველი პარტიის იმიჯს ისე აყალიბებს, თითქოს მხოლოდ ის არის ძალა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ქვეყნის სტაბილურობა და მშვიდობა.

როგორც უკვე აღინიშნა, რუსულ და ადგილობრივ ანტიდასავლურ ნარატივებს თითქმის იდენტური შინაარსი აქვთ, რაც რუსი ოფიციალური პირების მხრიდან „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსების მიმართ მოწონებითაც დასტურდება. 2023 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა განაცხადა: „კიევს, ვაშინგტონის წაქეზებით, ეზმანება რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნა და სურს ომის გაჩაღება კავკასიასა და დნესტრისპირეთში.“ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმაც პირდაპირ გაიმეორა „ქართული ოცნების“ გზავნილი, რომ დასავლეთი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას ცდილობს.

იგივე პოზიცია გამოხატეს ოკუპირებული ტერიტორიების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის თვითგამოცხადებულმა ხელისუფლებებმაც: „აშშ-სა და ევროპას სურთ ქართული მთავრობის დამხობა და ‘მეორე ფრონტის’ გახსნა.“ ამ თეზისს აგრესიულად ამყარებდნენ განცხადებები, თითქოს „დასავლელი ზედამხედველები აიძულებენ საქართველოს მეორე ფრონტის გახსნას, რასაც მისი მოსახლეობისთვის კატასტროფული შედეგები მოჰყვება.“

„ქართული ოცნების“, რუსული ნარატივებისა და ოკუპირებული ტერიტორიების თვითგამოცხადებული ხელისუფლებების შეხედულებათა თანხვედრა ცხადყოფს, როგორ გამოიყენა ქართულმა ხელისუფლებამ ომის თემა საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამგვარმა რიტორიკამ საზოგადოებაში შიში დათესა და დაბნეულობა გააღრმავა. შედეგად, საზოგადოების ნაწილში გაჩნდა მადლიერების განცდა მთავრობისადმი იმის გამო, რომ „ქვეყანა საბრძოლო ველად არ გადაიქცა“.

ამავდროულად, ამ ნარატივმა კიდევ უფრო გააღრმავა პოლარიზაცია და გაყოფა ქართულ საზოგადოებაში. დასავლურმა სტრუქტურებმა მკაცრად უარყვეს აღნიშნული ბრალდებები. ევროკავშირმა „ქართული ოცნების“ განცხადებები საქართველოსთვის მეორე ფრონტის გახსნის შესახებ შეაფასა როგორც უსაფუძვლო და დეზინფორმაცია. უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეფ ბორელმა განაცხადა: „‘მეორე ფრონტის’ იდეა ხმაური, პროპაგანდა და დეზინფორმაციაა. აბსურდულია ფიქრი, თითქოს ევროკავშირში ვინმეს სურს ომი საქართველოში, ასეთ სისულელეს ნუ მოუსმენთ.“

მსგავსი პოზიცია დააფიქსირა აშშ-ის ყოფილმა ელჩმა კელი დეგნანმაც, რომელმაც მრავალჯერ აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს არ სურს საქართველოს ომში ჩათრევა და ასეთი ბრალდებები სრულიად მცდარია.

„ქართულმა ოცნებამ“ „მეორე ფრონტის“ ნარატივის ინტენსიური გამოყენება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე პერიოდშიც გააგრძელა. მრავალ საჯარო გამოსვლაში პარტიის საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ გაიმეორა, თითქოს დასავლეთს სურს საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნა. ამ კამპანიის განსაკუთრებით მანიშვნელოვანი მომენტი იყო ივანიშვილის ინტერვიუ, რომელიც არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე გადაიცა პრო-სამთავრობო არხ „იმედზე“. ინტერვიუში საპატიო თავმჯდომარემ დაადასტურა პარტიის ნარატივები და განაცხადა:

„მაღალჩინოსანმა დასავლელმა წარმომადგენელმა ირაკლი ღარიბაშვილს შესთავაზეს, რომ 'გრილ ან დაღლილ ტყეებში უნდა გაგრძელდეს პარტიზანული ომი'."

არჩევნების „ომსა და მშვიდობას შორის არჩევანად" წარმოჩენამ - რაც დეზინფორმაციაა - საზოგადოების გარკვეულ ნაწილში რეზონანსი გამოიწვია. ამ ნარატივის კიდევ უფრო გასაძლიერებლად „ქართულმა ოცნებამ" საარჩევნო კამპანია დაიწყო შიშისა ეფექტურ ვიზუალიზაციებზე დაყრდნობით.

საქართველოში განათავსეს პლაკატები სლოგანით: *„არა - ომს, აირჩიე მშვიდობა!"*

ამ პროპაგანდისტულ მასალებში გვერდიგვერდ იყო დაყენებული ორი ანტითეზური გამოსახულება: უკრაინის დანგრეული ქალაქები — ეკლესიებით, სკოლებით და სხვა შენობებით — და საქართველოს იდილიური ხედვა — მოყვავილებული ქალაქებითა და კარგად მოვლილი ტაძრებით. ასეთი კამპანიის მიზანი იყო შიშის დანერგვა და ქართველი ამომრჩევლის დარწმუნება, რომ სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტი მხოლოდ „ქართული ოცნებაა".

ემოციებსა და შიშზე დაფუძნებული ეს ქმედებები ცხადყოფს, რა მასშტაბით იყენებს მმართველი პარტია დეზინფორმაციასა და მანიპულაციას საზოგადოების ზემოქმედებისთვის და საარჩევნო შედეგების ჩამოსაყალიბებლად.

ბ) ნარატივი: ჰომოფობიის და ლგბტქ+ საკითხების იარაღად გამოყენება

საქართველო, როგორც ღრმად კონსერვატიულ ტრადიციებზე დაფუძნებული ქვეყანა, ახალ იდეებთან შეგუებასა და გლობალურ ცვლილებებთან ადაპტაციაში სირთულეებს განიცდის. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ხანდაზმულ თაობებსა და იმ ჯგუფებში, რომლებიც მჭიდროდ არიან

დაკავშირებულნი მართლმადიდებლობასთან. შედეგად, ეს ჯგუფები უფრო მეტად მოწყვლადები არიან ზეგავლენის მიმართ და ადვილად იღებენ ჰომოფობიურ ნარატივებს. ეს რიტორიკა, რომელსაც კრემლის პროპაგანდისტული მანქანა აქტიურად იყენებს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საქართველოში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.

„ქართული იდენტობის“, რელიგიური ფასეულობებისა და ტრადიციული ოჯახის ნორმების დაცვის საბაბით, მმართველი პარტია ფრთხილად, მაგრამ მიზანმიმართულად აძლიერებდა ლგბტქ+ თემის წინააღმდეგ მიმარულ გზავნილებს. ამავდროულად, ის აკრიტიკებდა დასავლეთს „გადაგვარებული უცხო იდეოლოგიების“ თავსმოხვევის გამო. „ქართულ ფასეულობებში“ შეფუთული რიტორიკა რეგულარულად გამოიყენებოდა დასავლეთის დისკრედიტაციის მიზნით — თითქოს დასავლეთის ქვეყნები ქრისტიანულ პრინციპებსა და ეროვნულ ტრადიციებს ემუქრებოდნენ.

ასეთი ქმედებები არა მხოლოდ თაობათაშორის ბზარს აძლიერებდა — კონსერვატიულ ნორმებზე დამყარებულ უფროს თაობასა და ცვლილებებისთვის უფრო გახსნილ ახალგაზრდობას შორის — არამედ, ამძაფრებდა დაპირისპირებას ლიბერალურ და კონსერვატიულ სოციალურ ჯგუფებს შორისაც.

ამგვარი პროცესები ცხადყოფს, თუ როგორ იქცა დასავლურ ლიბერალიზმთან დაკავშირებული საკითხები საზოგადოების მანიპულაციის, კონსერვატიული ეროვნული იდენტობის განმტკიცებისა და სოციალური დაყოფის გასაღრმავებელ იარაღად. ამ თემის გამოყენებით, მმართველი პარტია ცდილობს ერთის მხრივ კონსერვატიულ ჯგუფებში საკუთარი მხარდაჭერის კონსოლიდაციას, ხოლო მეორეს მხრივ, დასავლეთის ტრადიციული ღირებულებების მტრად წარმოჩენით, საქართველოს პროდასავლური მისწრაფებების შესუსტებას.

თავისუფლების შეზღუდვა და ძალადობის ესკალაცია ლგბტქ+ თემის მიმართ

შემდგომ წლებში, საქართველოში ლგბტქ+ თემის წარმომადგენლებმა განიცადეს მეტისმეტად მზარდი შეზღუდვები სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე. ისინი რეგულარულად კლასიფიცირდებოდნენ „მაღალი რისკის ჯგუფად“, რაც პრაქტიკაში მათ სტიგმატიზაციასა და მარგინალიზაციას იწვევდა. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 17 მაისი — ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე — გამოაცხადა ოჯახის სიწმინდისა და სიმტკიცის დღედ და მას ეროვნული დღესასწაულის სტატუსი მიანიჭა. ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო გააღრმავა საზოგადოებრივი განხეთქილება და გაამწვავა დაპირისპირება.

ძალადობის პიკი — ღირსების მარში, 2021 წლის 5 ივლისი

მდგომარეობამ პიკს 2021 წლის 5 ივლისს მიაღწია, როდესაც თბილისის პრაიდის მიერ ორგანიზებული ღირსების მარში სასტიკად დაიშალა. აგრესიულმა ჯგუფებმა იერიში მიიტანეს მარშის მონაწილეებზე, ჟურნალისტებsa და ლგბტქ+ თემის მხარდამჭერებზე, ასევე, დაარბიეს თბილისის პრაიდისა და მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისები. პოლიციამ, რომელიც მმართველი პარტიის კონტროლის ქვეშ მოქმედებდა, ვერ უზრუნველყო მონაწილეთა უსაფრთხოება, რამაც პრაქტიკაში ძალადობის ესკალაციას შეუწყო ხელი.

ეკლესიის ორაზროვანი პოზიცია და მისი როლი ძალადობის წაქეზებაში

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ამ მოვლენების მიმართ ორაზროვანი პოზიცია დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიამ ოფიციალურად დაგმო აგრესიის ფაქტები, პასუხისმგებლობა მარშის ორგანიზატორებს დააკისრა, თითქოს მათ თავად მოახდინეს კონფლიქტის პროვოცირება. მარშამდე მღვდელმთავართა და ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებმა კიდევ უფრო წაახალისა სიძულვილი ლგბტქ+ თემის მიმართ.

საპატრიარქომ საზოგადოება 5 ივლისს "ღირსების მარშის" "მშვიდობიანად გასაპროტესტებლად" მიიწვია. ამავდროულად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მარშის ორგანიზატორებს საჯარო სივრცეში ღონისძიების გაუქმება შესთავაზა, რაც უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პოლიტიკური ნების არარსებობაზე ნათლად მიანიშნებდა.

ძალადობის წაქეზება და კონტრაქციების ორგანიზება

მარშის წინა დღეს, 2021 წლის 4 ივლისს, საპატრიარქოსთან არსებული ორგანიზაცია „ჩოხოსანთა საზოგადოებამ“ გამოაქვეყნა ვიდეო მოწოდებით „ყველანი რუსთაველზე 5 ივლისს!“, სადაც საზოგადოებას მარშის წინააღმდეგ პროტესტისკენ მოუწოდებდა. ღონისძიების მოწინააღმდეგეებს შორის იყვნენ „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ წევრები და პარტია „ქართული იდეის“ ახალგაზრდული ფრთა. საზოგადოების წარმომადგენელმა, გურამ ფალავანდიშვილმა, ღიად განაცხადა, რომ ისინი მარშს ჩატარების საშუალებას „არც ერთი შემთხვევაში არ მისცემდნენ.“

ამ ქმედებებს აძლიერებდა ბიზნესმენი ლევან ვასაძე, რომელიც ცნობილია თავისი ჰომოფობიური განცხადებებით. მან მთავრობას მოუწოდა, აეკრძალა მარში და მიეღო კანონები „ამორალური პროპაგანდის“ წინააღმდეგ. ძალადობის ორგანიზებაში ჩართული იყვნენ ჯგუფი „ალტ-ინფოს“ ლიდერებიც, განსაკუთრებით, ზურაბ მახარაძე, რომელმაც საჯაროდ გამოაცხადა ძალადობრივი ქმედებების გეგმები და აქტიურად აღვივებდა სიძულვილს.

ძალადობის წახალისება სამღვდელოების მხრიდან

საპატრიარქოს როლი ძალადობის წახალისებაში ნათელია. განსაკუთრებულად შემზარავი მაგალითი იყო მღვდელმთავარ სპირიდონ ცქიფურიშვილის განცხადება:

„არა მხოლოდ ძალადობისგან თავის შეკავება — ვალდებული ხარ გამოიყენო ძალა სამშობლოსთვის, ღმერთისთვის და სიწმინდისთვის.“

2021 წლის 5 ივლისის მოვლენები და პრაიდის მარშთან დაკავშირებული ნარატივები ნათლად წარმოაჩენს საქართველოში არსებულ ღრმა სოციალურ ბზარს, რომლის შენარჩუნებასა და გაღრმავებაში ეკლესია, პოლიტიკური პარტიები და რადიკალური ჯგუფები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების არაეფექტიანობა და ლგბტქ+ თემის სტიგმატიზაცია ჩრდილს აყენებს ქვეყნის დემოკრატიულ მისწრაფებებს და საფრთხეს უქმნის მის სოციალურ განვითარებას.

წყარო: რადიო თავისუფლება.

წყარო: ინტერპრესნიუსი.

2021 წლის 5 ივლისის მოვლენების ანალიზი ცხადყოფს, რომ ძალადობაში ლგბტქ+ თემის წევრთა წინააღმდეგ მონაწილეობდნენ როგორც სამღვდელოების წარმომადგენლები, ისე კონსერვატიული და პრორუსული ჯგუფების ლიდერები. ისინი განსაკუთრებული სისასტიკით იქცეოდნენ ჟურნალისტების მიმართ, ბრალს სდებდნენ მათ საქართველოში „ლგბტქ+ პროპაგანდის“ გავრცელებაში.

ხელისუფლების რეაგირება: პასუხისმგებლობის არარსებობა და გადატანილი ბრალეულობა

ორი წლის შემდეგ, 2023 წელს, მაშინდელმა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ „მომხდარ ძალადობრივ მოვლენებს სამართლებრივი ორგანიზატორი არ ჰყოლიათ და ისინი სპონტანურად გაიმართა.“

ასეთი განცხადება ამცირებს ძალადობის მასშტაბს და თავიდან იცილებს პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ ჯგუფებსა და ლიდერებზე, რომლებმაც აქტიურად აღვივეს სიძულვილი და პირდაპირი მოწოდება გააკეთეს ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე.

მთავრობის პროპაგანდა და მედიაკამპანიები

ამავდროულად, ხელისუფლებასთან დაკავშირებულმა მედიასაშუალებებმა, მათ შორის ტელეკომპანია „იმედმა“, სოციალურ ქსელებში ფართომასშტაბიანი პროპაგანდისტული კამპანია წამოიწყეს, რომელიც ქართულ საზოგადოებაზე „ლგბტქ+ პროპაგანდის“ მავნე გავლენაზე ამახვილებდა ყურადღებას.

მაგალითად, „იმედმა“ გამოაქვეყნა კვლევის შედეგები „Gallup“-ის მონაცემებზე დაყრდნობით, სადაც ხაზი გაუსვა იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოზარდთა 7.2% საკუთარ თავს ლგბტქ+ იდენტობის მქონედ მიიჩნევს და ეს მაჩვენებელი ბოლო ათწლეულში ორჯერ გაიზარდა.

ამგვარი ნარატივების გავრცელება მიზანმიმართულად მოხდა იმისთვის, რომ ქართულ საზოგადოებაში შიში ჩაენერგათ და ლგბტქ+ თემის წინააღმდეგ გადადგმული ქმედებები გაემართლებინათ იმის საფუძველზე, რომ თითქოს ეს ჯგუფი ტრადიციულ ფასეულობებს უქმნის საფრთხეს.

ამ კამპანიებმა კიდევ უფრო გააღრმავა არსებული სოციალური დაყოფა და გააძლიერა სიძულვილი სექსუალური უმცირესობებისა და მათი უფლებების მხარდამჭერი ადამიანების მიმართ.



მმართველი პარტიის სატელიტურმა პოლიტიკურმა ფრთამ „ხალხის ძალამ“ ზემოხსენებულ მოვლენებზე მყისიერი რეაგირება მოახდინა. აღნიშნული პარტია ამტკიცებდა, რომ ლგბტქ+ თემი ქართველი ახალგაზრდობის წინააღმდეგ მიზანმიმართულ შეტევას ახორციელებდა. ფრაქციამ სახელმწიფოს მოუწოდა, დაენერგა მკაცრი ზომები ლგბტქ+ „პროპაგანდის“ შესაზღუდად და „ტრადიციული ფასეულობების“ დასაცავად.

მანიპულაციები ევროპარლამენტის გამოფენასთან დაკავშირებით

პროპაგანდისტული კამპანიის ფარგლებში, ტელეკომპანია „იმედმა“ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ე.წ. „საინფორმაციო ბარათი“, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ევროპარლამენტში გამართულიყო გამოფენა სახელწოდებით „სექსუალური გეი იესო“ (Sexual Gay Jesus).

რეალურად კი, ეს იყო შვედი ფოტოგრაფის, ელიზაბეთ ოლსონის ნამუშევრების გამოფენა, რომელიც ბიბლიურ თემებს მრავალფეროვნებისა და თანასწორობის კონტექსტში წარმოაჩენდა. პროპაგანდისტულმა არხმა „პოსტ ტვ“-მ იგივე ფოტო სოციალურ ქსელებში გაავრცელა წარწერით:

„მემარცხენეები ევროპარლამენტში აწყობენ გამოფენას ‘სექსუალური გეი იესო’.“

ეს იყო მორიგი მცდელობა, დაერწმუნებინათ ქართული საზოგადოება, თითქოს დასავლეთი ტრადიციულ ფასეულობებს უთხრის ძირს და აქტიურად უწყობს ხელს ლგბტქ+ „პროპაგანდის“ გავრცელებას.

წყარო: PosTV ანალიტიკა.

NEWS

სებ-ის კურსი

მსოფლიო

imedi / 11 ივნისი 2023, 17:54 / სანდო წყარო

ჯო ბაიდენი: მინდა გავუგზავნო მესიჯი ლგბტქი+ საზოგადოებას, განსაკუთრებით ტრანსგენდერ ბავშვებს - თქვენ უყვარხართ. თქვენი ესმით. თქვენ გიგებენ

ჯო ბაიდენი

ფოტო: Twitter

2024 წლის 17 სექტემბერს მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ ინტენსიური ჰომოფობიური ნარატივებისა და მასთან დაკავშირებული მედია-კამპანიების გამოყენებით საფუძველი ჩაუყარა სადავო საკანონმდებლო პაკეტის მიღებას. ამ პაკეტის მთავარი ელემენტი იყო კანონი სახელწოდებით „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა დებულებებს შემდეგ საკითხებზე:

- ქორწინება
- შვილად აყვანა და მეურვეობა
- სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო პროცედურები
- სქესის მითითება სახელმწიფო დოკუმენტებში
- საჯარო შეკრებებისა და დემონსტრაციების ორგანიზების შეზღუდვა.

საერთაშორისო რეაქცია

კანონის მიღებას საქართველოს დასავლელი პარტნიორების მხრიდან მწვავე კრიტიკა მოჰყვა. ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა რეკომენდაციები, რომლებშიც მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, შეეჩერებინა ამ კანონზე მუშაობა, ხაზი გაუსვა რა, რომ მისი შინაარსი შესაძლოა არღვევდეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პრესსპიკერმა, პიტერ სტანომ, კანონ მკაცრად გააკრიტიკა და აღნიშნა: „ეს პაკეტი ძირს უთხრის საქართველოს მოქალაქეთა ფუნდამენტურ უფლებებს და ზრდის საზოგადოების ნაწილის სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის რისკს.“

საერთაშორისო კრიტიკის მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ“ განაგრძო ამ კანონთან დაკავშირებული ნარატივების პროპაგაცია და პოლიტიკური იარაღად გამოიყენა 2024 წლის წინასაარჩევნო პერიოდში.

ჰომოფობიური ნარატივის პოლიტიკური გამოყენება

ეს ნარატივი წარმოადგენდა არა მხოლოდ ანტიდასავლური რიტორიკის ნაწილს, არამედ, პროდასავლური ოპოზიციის წინააღმდეგ იარაღად იქცა. „ქართულმა ოცნებამ“ სხვადასხვა ქალაქში გამართა დისკუსიების სერია, სადაც მიღებული კანონი წარმოაჩინა, როგორც საქართველოს ტრადიციული ღირებულებების დაცვის მექანიზმი.

ამავე დროს, მასობრივი საპროტესტო აქციები, რომლებიც მას შემდეგ დაიწყო, რაც მმართველმა პარტიამ ევროკავშირში გაწევრების პროცესის შეჩერება გამოაცხადა, პრორუსულ და პრო-სამთავრობო მედიაში წარმოდგენილი იყო, როგორც ლგბტქ+ თემის შეკრებები.

ეს იყო კიდევ ერთი პროპაგანდისტული ტაქტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ამ აქციების დისკრედიტაციას და მონაწილეთა მარგინალიზაციას სტიგმატიზაციის გზით.

ჰომოფობიური საკანონმდებლო პაკეტის მიღება და მისი გამოყენება „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ნარატივში ნათლად წარმოაჩენს ქვეყნის შიდა პოლიტიკაში არსებულ ღრმა სისტემურ პრობლემებს. მსგავსი ქმედებები საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებს, ასუსტებს საქართველოს დემოკრატიულ მისწრაფებებს და აზიანებს ურთიერთობებს დასავლელ პარტნიორებთან.

ჰომოფობიური ნარატივების გააქტიურება და მათი ინსტრუმენტალიზაცია პოლიტიკურ ბრძოლაში კიდევ უფრო აძლიერებს საზოგადოებრივ პოლარიზაციას და ამავდროულად, ამცირებს ქვეყნის უნარს ერთიანად გადადგას ნაბიჯები დემოკრატიული მომავლისკენ.

გ) ნარატივი: დასავლური დაფინანსება, გავლენის აგენტები და საქართველოს კანდიდატის სტატუსი

კიდევ ერთი ფართოდ გავრცელებული ანტიდასავლური ნარატივი ეხება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის დაფინანსებას, რომელიც, „ქართული ოცნების“ მტკიცებით, თითქოს ხელს უწყობს საქართველოში აგენტების ქსელის შექმნას და რევოლუციური სცენარისთვის ნიადაგის მომზადებას.

ამ ნარატივის მიხედვით, აგენტურულ ქსელში შედიან ოპოზიციური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც თითქოს გადატრიალებას გეგმავენ.

შედეგად, „ქართულმა ოცნებამ“ გააძლიერა დასავლელი პარტნიორების კრიტიკა. საქართველოს საინფორმაციო სივრცე აივსო სიძულვილის ენით სავსე შეტევებით,

რომლებსაც აშშ, ევროკავშირი, ოპოზიციური პარტიები და არასამთავრობო სექტორი ჰყავდა სამიზნეში ამოღებული.

საჯარო პროცესების გასაგებად მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ 2012 წელს „ქართულმა ოცნება“ ამომრჩეველს დაჰპირდა თავისუფალი, დემოკრატიული და ევროპული საქართველოს აშენებას და ამით მრავალი მოქალაქის ნდობა მოიპოვა. უფრო მეტიც, სწორედ მმართველმა პარტიამ დაიწყო საქართველოს კონსტიტუციაში 78-ე მუხლის დამატების ინიციატივა, რომელიც ამბობს:

„საკონსტიტუციო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიიღებენ ყველა ზომას საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში სრულფასოვანი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.“

თუმცა ბოლო 12 წლის განმავლობაში „ქართული ოცნება“ თანდათან დაშორდა ამ პროდასავლურ გზას, დაიწყო დასავლელი პარტნიორებისგან დისტანცირება და მათი ღია კრიტიკა. 2022 წლიდან პარტიის რიტორიკა განსაკუთრებით აგრესიული გახდა: გახშირდა თავდასხმები ევროპარლამენტარებზე, აშშ-ს სენატორებსა და ევროკავშირის დიპლომატებზე.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი ღარიბაშვილმა ზოგი ევროპარლამენტარი დაადანაშაულა ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლობირებაში და მასთან მჭიდრო კავშირების შენარჩუნებაში. ერთ-ერთ განცხადებაში მან ისინი „მაძღარ ევროპარლამენტარებად“ მოიხსენია და განაცხადა, რომ მათი განცხადებები ყოველთვის ემთხვევა „ნაცმოძრაობის“ ხაზს.

ეს ქმედებები და ნარატივები ნათლად აჩვენებს „ქართული ოცნების“ მკვეთრ გადახვევას ადრინდელი პროდასავლური განცხადებებიდან დასავლეთისადმი კრიტიკულ პოლიტიკაზე. მსგავსი რიტორიკა არა მხოლოდ ასუსტებს საქართველოს ურთიერთობებს დასავლელ პარტნიორებთან, არამედ აძლიერებს

ანტიდასავლურ განწყობებს საზოგადოებაში, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ და ევროპულ მომავალს.

ანტიდასავლურმა რიტორიკამ პიკს მიაღწია 2022 წლის ივნისში, როდესაც საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭა. ევროკავშირმა ქვეყანას სანაცვლოდ წარუდგინა რეკომენდაციების სია, რასაც მმართველი პარტიის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ „ევროკავშირმა საქართველო დასაჯა."

„ქართული ოცნების" წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ საქართველომ კანდიდატის სტატუსის მისაღებად უკრაინასა და მოლდოვაზე მეტი გააკეთა, თუმცა მაინც უსამართლოდ არ მიიღო აღიარება. ამავდროულად, მმართველმა პარტიამ ოპოზიცია დაადანაშაულა იმაში, რომ ისინი ევროკავშირში საქართველოს კანდიდატურას ლობირებას უშლიდნენ.

ამ კონტექსტში, „ქართული ოცნების" მხარდამჭერმა ტელეარხმა „პოსტ ტვ"-მ აქტიურად დაუჭირა მხარი ხელისუფლების ნარატივს და ცდილობდა, კანდიდატის სტატუსის მიცემაზე უარის პასუხისმგებლობა ოპოზიციაზე გადაეტანა. სოციალურ ქსელში არხმა გამოაქვეყნა ვიდეო სათაურით „მეხუთე კოლონის წარმომადგენლები კანდიდატის სტატუსს ეწინააღმდეგებიან", სადაც ოპოზიციის წევრები ამ ვითარების მთავარ დამნაშავეებად იყვნენ წარმოჩენილნი.

ეს ქმედებები წარმოადგენს მცდელობას, საზოგადოების ყურადღება ევროკავშირის უარის რეალური მიზეზებიდან ოპოზიციისკენ გადაეტანათ. ამავდროულად, მსგავსი ნარატივები კიდევ უფრო ამყარებს ანტიდასავლურ განწყობებს, ასუსტებს ნდობას ევროკავშირის მიმართ და ეჭვქვეშ აყენებს დასავლეთის კეთილგანწყობას საქართველოსადმი.



წყარო: PostTV ანალიტიკა.

ტელეკომპანია „პოსტ ტვ“-მ და „ქართული ოცნებისთან“ დაკავშირებულმა სხვა მედიასაშუალებებმა გამოაქვეყნეს შედარებითი გრაფიკები, რომლებიც, მათი განცხადებით, მიზნად ისახავდა უკრაინისა და მოლდოვის „მრავალი ნაკლის“ წარმოჩენას.

ამ მასალებში ხაზგასმული იყო ორივე ქვეყნის სავარაუდო სისუსტეები სხვადასხვა მიმართულებით — პოლიტიკურ სტაბილურობაში, კორუფციის დონეში და ეკონომიკურ მდგომარეობაში — რასაც, ნარატივის თანახმად, მაინც არ შეუშლია ხელი მათთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებაში.

გრაფიკები საქართველოს წარმოაჩენდა, როგორც ქვეყანას, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნებს ბევრად უფრო სრულად აკმაყოფილებს, თუმცა თითქოსდა უსამართლოდ იქნა უგულებელყოფილი.

ასეთი შედარებები მიზნად ისახავდა ნარატივის გამყარებას ევროკავშირის „უსამართლო გადაწყვეტილების“ შესახებ და საზოგადოების მობილიზებას დასავლეთის წინააღმდეგ გზავნილით, თითქოს საქართველო დაიჩაგრა სხვა ქვეყნების სასარგებლოდ.

ამ ქმედებებმა არა მხოლოდ გააღრმავა ანტიდასავლური განწყობები, არამედ გაამძაფრა პოლარიზაციაც — საზოგადოებაში გაჩნდა აგრესია როგორც ოპოზიციის, ისე დასავლელი პარტნიორების მიმართ. მსგავსი მანიპულაციური გზავნილები გამოყენებული იყო პროპაგანდის იარაღად, რათა ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების პროცესში მთავრობის რეალური ხარვეზებიდან ყურადღება გადაეტანათ.

საბოლოოდ, 2023 წლის 14 დეკემბერს, ევროკავშირმა საქართველოს მიანიჭა კანდიდატის სტატუსი, თუმცა მისი შენარჩუნება ცხრა ვალდებულების შესრულებას დაუკავშირა.

ამის მიუხედავად, არსებული პოლიტიკური ვითარება ნათლად აჩვენებს, რომ მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ ამ ვალდებულებების შესრულებისადმი საჭირო პოლიტიკური ნებას არ ავლენს და ევროკავშირთან ურთიერთობას კვლავ წნეხისა და ულტიმატუმების ტონში აგრძელებს.

პარტიის ნარატივის ნაწილად იქცა სლოგანი „მოქმედება შანტაჟის ნაცვლად“, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნებთან მიმართებით მის უტეხ პოზიციას უსვამს ხაზს.

გარდა ამისა, 2024 წლის 28 ნოემბერს, „ქართულმა ოცნებამ“ დამატებით გაამწვავა მდგომარეობა, როცა გამოაცხადა, რომ „ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხი 2028 წლის ბოლომდე არ დადგება დღის წესრიგში.“

ამ განცხადებამ საქართველოში მასობრივი პროტესტები გამოიწვია - თბილისსა და სხვა ქალაქებში ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. დემონსტრანტები, სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები, ურყევად იცავდნენ საქართველოს ევროპულ მომავალს და მკაცრად აპროტესტებდნენ მმართველი ხელისუფლების გადაწყვეტილებას.

მიმდინარე აქციები ნათლად აჩვენებს, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ეთანხმება პრორუსულ პოლიტიკურ კურსს და მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირთან.

ეს მოვლენები ხაზს უსვამს ქვეყნის მზარდ პოლარიზაციას და მოქალაქეთა მისწრაფებებსა და მმართველი პარტიის პოლიტიკას შორის უფსკრულის გაღრმავებას.

საქართველოს მოქალაქეების მტკიცე ნება - დაიცვან ევროპული ღირებულებები და განვითარების კურსი - დასავლეთისთვის მკაფიო სიგნალია: ქართული საზოგადოება არ აპირებს თავისი პროდასავლური მომავლის უარყოფას.

დ) შეერთებული შტატების, როგორც სტრატეგიული პარტნიორის, კრიტიკა ქართული ოცნების მიერ

მმართველმა „ქართულმა ოცნებამ“ არ დაიშურა კრიტიკა საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორის - ამერიკის შეერთებული შტატების - მიმართ. ეს კრიტიკა განსაკუთრებით გაძლიერდა აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის, მოღვაწეობის პერიოდში. მმართველი პარტიის რიტორიკა აღიქმებოდა როგორც ამერიკისკენ მიმართული გზავნილი: „არ ჩაერიოთ საქართველოს შიდა საქმეებში“.

მოგვიანებით, დეგნანის ელჩობის ვადის ამოწურვასთან ერთად, „ქართულმა ოცნებამ“ დამატებით მიანიშნა სავარაუდო ახალი ელჩის მიმართ, რომ თბილისი აპირებს ორმხრივ ურთიერთობებში მკაფიოდ გამოხატოს თავისი პოზიცია.

პარტიის მიერ გაჟღერებული კრიტიკა განსაკუთრებით გამძაფრდა მას შემდეგ, რაც ელჩმა დეგნანმა, სოჭიდან შემოსული საკრუიზო გემის წინააღმდეგ გამართულ აქციებთან დაკავშირებით, განაცხადა: „ქართველმა ხალხმა მკაფიოდ აჩვენა, რომ მათგან არავინ უნდა ელოდოს გულღია მიღებას იმ ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომელიც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტს იკავებს.“

ამ კომენტარს მყისიერი და მკაცრი რეაქცია მოჰყვა „ქართული ოცნების“ მხრიდან. პარტიის მაშინდელმა თავმჯდომარემ ირაკლი ღარიბაშვილმა პროტესტი „ნაციონალური მოძრაობის მიერ ორგანიზებულ აქციად“ შეაფასა და დაამატა, რომ „ქართული საზოგადოება რუსეთის მოქალაქეების ქვეყანაში შემოსვლას არ ეწინააღმდეგება“ და საკითხი, ძირითადად, ფინანსურ სარგებელთან იყო დაკავშირებული.

საკამათო „უცხოელი აგენტების შესახებ“ კანონი: ელჩი დეგნანი მკაფიოდ აკრიტიკებდა ე.წ. „უცხოელი აგენტების შესახებ“ კანონპროექტს, ხაზს უსვამდა, რომ მისი მიღება შეზღუდავდა სიტყვის თავისუფლებას, განსაკუთრებით 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ.

პასუხად, პარლამენტის უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ელჩი დეგნანი „ჰისტერიული კამპანიის“ წარმოებაში დაადანაშაულა და მისი ქცევა „გლობალური ომის პარტიის“ წარმომადგენელთა ქცევას შეადარა.

ჩიხში შესული საქართველო–აშშ-ის ურთიერთობები: „ქართული ოცნების“ ნეგატიურმა რიტორიკამ და ქმედებებმა 32-წლიან სტრატეგიულ პარტნიორობა სერიოზულ ჩიხში შეიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ კვლავ რჩება საქართველოს მთავარ სტრატეგიულ მოკავშირედ, ქვეყანამ 95 მილიონ დოლარზე მეტი დახმარება შეაჩერა, მიზეზად კი დემოკრატიის უკუსვლა, ადამიანის უფლებათა დარღვევები, კორუფციული სასამართლო სისტემა და სხვა საკითხები დაასახელა.

სტრატეგიული პარტნიორობის შეწყვეტა: კრიზისმა პიკს 2024 წლის 30 ნოემბერს მიაღწია, როცა აშშ-მა გამოაცხადა სტრატეგიული პარტნიორობის სრულად შეწყვეტა საქართველოსთან. პასუხად, „ქართულმა ოცნებამ“ იმედი გამოთქვა, რომ ურთიერთობები გაუმჯობესდებოდა დონალდ ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ, და აღნიშნა, რომ დაძაბულობის მიზეზი ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა იყო. პარტიის თანახმად, სწორედ ბაიდენის ადმინისტრაცია ცდილობდა საქართველოს „მეორე ფრონტის გახსნაში“ ჩათრევას, რასაც „ქართული ოცნება“ მუდმივად წარმოაჩენდა ქვეყნის სტაბილურობისთვის საფრთხედ.

ეს ვითარება ასახავს საქართველოსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების დრამატულ გაუარესებას და ამავე დროს ხაზს უსვამს ღრმა უფსრკულს ქვეყნის მოსახლეობის პროდასავლურ მისწრაფებებსა და მმართველი პარტიის პოლიტიკას შორის.

ე) თავდასხმები არასამთავრობო სექტორზე

მმართველმა პარტიამ რიტორიკა მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგაც, რომლებსაც პრო-სამთავრობო მედია, მათ შორის „იმედი“, მოიხსენიებდა როგორც „მდიდარ არასამთავრობო კლანს“.

„ქართულმა ოცნებამ“ არასამთავრობო სექტორი დაადანაშაულა აგენტურული ქსელების შექმნაში და „რევოლუციური სცენარის“ მოსამზადებლად ნიადაგის მომზადებაში.

სამოქალაქო საზოგადოების დასასუსტებლად, პარტიის სატელიტურმა ფრთამ, „ხალხის ძალამ“, 2022 წელს წარადგინა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი, რომელსაც „ქართული ოცნების“ წევრებიც უჭერდნენ მხარს.

კანონპროექტის წარდგენამ მასობრივი პროტესტი გამოიწვია. მოქალაქეები და ორგანიზაციები ამტკიცებდნენ, რომ მისი მიღება ჩაახშობდა სამოქალაქო საზოგადოების ხმას და შექმნიდა საინფორმაციო ვაკუუმს, რაც რუსულ მოდელს დაემსგავსებოდა.

საზოგადოებრივი ზეწოლის ფონზე, „ქართულმა ოცნებამ“ მაშინ კანონპროექტი ოფიციალურად გააუქმა და განაცხადა, რომ მის ხელახლა შემოტანას არ შეეცდებოდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც 2023 წელს საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა, კანონპროექტი კვლავ დააბრუნეს და საბოლოოდ მიიღეს.

პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა: „ჩვენ გვჭირდება გამჭვირვალობა, რომ გავიგოთ პოლიტიკური მოტივაციები. მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, ეს ფული მოლოტოვის კოქტეილისთვის იხარჯება თუ სხვა რამისთვის.“

კანონპროექტის შეცვლილ ვერსიაში ტერმინი „უცხოელი აგენტი“ შეიცვალა ფრაზით „უცხოური ძალების ინტერესების გამტარი ორგანიზაცია“, თუმცა ეს კოსმეტიკური ცვლილება ვერ ამცირებდა პროტესტს.

დასავლელმა ანალიტიკოსებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კანონის მიღება საქართველოს უფრო მეტად აკავშირებს რუსეთის ავტორიტარულ მოდელთან.

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა კანონი მკაცრად გააკრიტიკა და განაცხადა: „ეს კანონი რუსულია, და არანაირი არგუმენტი, არც 'ზუსტად რა არის რუსული ამ კანონში?' ვერ შეცვლის ამ ფაქტს. ეს კანონი რუსულია."

კანონის გარშემო წარმოქმნილი სკანდალები და საზოგადოების, ასევე საერთაშორისო პარტნიორების რეაქცია, მიუთითებს საქართველოს დემოკრატიული კრიზისის გაღრმავებაზე და მზარდ დაძაბულობაზე ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის, ასევე, „ქართულ ოცნებასა" და დასავლეთს შორის.

ვ) საკამათო კანონის მხარდასაჭერი პროპაგანდისტული კამპანია

მმართველმა პარტიამ, თავის სატელიტ პარტიებთან და მასთან დაკავშირებულ მედიასთან ერთად, დაიწყო მასშტაბური პროპაგანდისტული კამპანია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის დასაცავად.

სოციალურ ქსელებში, განსაკუთრებით „პოსტ ტვ"-ის არხებზე, გამოჩნდა პოსტები, რომლებიც კანონის გამართლებას ემსახურებოდა და მას დემოკრატიულ ქვეყნებში არსებულ რეგულაციებთან ადარებდა. მაგალითად:

- „კანადაში მოქმედებს მსგავსი კანონი, რომელსაც ჩვენი რადიკალური ოპოზიცია რუსულს ეძახის."
- „საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც აძლიერებს ბრძოლას უცხოური ჩარევის წინააღმდეგ."

ასეთი შინაარსის პოსტები მიზნად ისახავდა კანონის სკანდალური ასპექტების დაკნინებას და მის როგორც დემოკრატიულ პრაქტიკასთან თანხვედრილ ნაბიჯად წარმოჩენას, შესაბამისად, კი საზოგადოების ყურადღების გადატანას საშინაო ვითრებიდან და საერთაშორისო კრიტიკაზე.

გარდა ამისა, იმავე მედიამ ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ჟოზეფ ბორელის განცხადება დამახინჯებული ფორმით გაავრცელა. ერთ-ერთ პოსტში ციტირებულია შემდეგი ფრაზა:

საქართველოში 'უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ' კანონთან დაკავშირებულ მოვლენებზე, „ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ მიიჩნია, რომ ეს [გამჭვირვალობის ქართული კანონი] არც თუ ისე მნიშვნელოვანია, არც თუ ისე სამწუხაროა". ასეთი ფორმულირება მიზნად ისახავდა საზოგადოების დარწმუნებას, თითქოს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ეს საკითხი სერიოზულად არც აღუქვამთ. აღნიშნული ქმედება საერთაშორისო კრიტიკის ქვეყნის შიდა აღქმაზე გავლენის შემცირების მცდელობას წამორადგენდა.

წყარო: POSTV ანალიტიკა.

ზ) „ქართული ოცნების“ ძირითადი ნარატივები

ზემოთ აღწერილი ნარატივები წარმოადგენდა მმართველი პარტიის პოლიტიკური ხაზის ფუნდამენტურ საყრდენს ამ ანგარიშის მომზადების პერიოდში.

სატელიტური პარტიებისა და მათთან დაკავშირებული მედიასაშუალებების მეშვეობით, „ქართული ოცნება“ არამხოლოდ აგრძელებს საკამათო კანონის პროპაგანდას, არამედ სისტემატურად უწყობს ხელს ანტიდასავლური რიტორიკის გაძლიერებას.

ამ ქმედებებმა კიდევ უფრო გააღრმავა საზოგადოებრივი დაყოფა, გააძლიერა უნდობლობა დასავლელი პარტნიორების მიმართ და შიშის განცდა, განსაკუთრებით ომისა და მშვიდობის თემების მანიპულაციის გზით.

ეს სტრატეგია საშუალებას აძლევს მმართველ პარტიას, აკონტროლოს საჯარო ნარატივი და ამავდროულად დაასუსტოს სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ინსტიტუტების კრიტიკული ხმები.

ირაკლი კობახიძის მიერ 28 ნოემბერს გამოცხადებული გადაწყვეტილება - საქართველოს ევროკავშირში გაწევრებაზე მოლაპარაკებების შეჩერება 2028 წლამდე - გახდა მასობრივი უკმაყოფილებისა და საპროტესტო ტალღის მიზეზი მთელ ქვეყანაში. საზოგადოებრივი პროტესტის ზრდასთან ერთად „ქართული ოცნების“ ნარატივები და რიტორიკა უფრო მწვავე ხდებოდა.

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებული კრიზისი: ამ პროცესში კრიტიკის ქვეშ მოექცა საზოგადოებრივი მაუწყებელიც, რომელსაც საზოგადოება და ოპოზიცია სიზუსტისა და მიუკერძოებლობის ნაკლებობასა და მმართველი პარტიის ნარატივების ღია მხარდაჭერაში ადანაშაულებდნენ. მაუწყებელთან გამართული პროტესტების ფონზე, მისი ადმინისტრაციის საჯარო განცხადებები, რომლებიც აშკარად ემთხვეოდა ხელისუფლების რიტორიკას, კიდევ უფრო ამძაფრებდა დაძაბულობას და იწვევდა ფართო საზოგადოების კრიტიკას.

„ქართული ოცნების“ მესიჯების ინტენსიურობის ზრდა: 28 ნოემბრის შემდეგ, მმართველი პარტიის მესიჯები თემატურად უცვლელი დარჩა, მაგრამ ტონი — უფრო მკვეთრი, პირდაპირი და გამყოფი გახდა. პარტიის ნარატივები მიმართულია დასავლელი პარტნიორებისადმი გამოწვევის, ანტიდასავლური განწყობების გაღრმავებისა და ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის დემონიზაციისკენ.

მოლაპარაკებების შეჩერება ხელისუფლებამ ახსნა, როგორც „საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად“ გადადგმული ნაბიჯი, თუმცა ბევრი დამკვირვებელი მას ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციასთან მიზანმიმართულ დაშორებად მიიჩნევს.

ეს პოლიტიკა არა მხოლოდ შიდა კრიტიკით, არამედ საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობების დაძაბვითაც დასრულდა, რამაც კიდევ უფრო შეარყია ნდობა მმართველი პარტიის მიმართ.

მიმდინარე მოვლენები ნათლად აჩვენებს მზარდ დაძაბულობას ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის და უფსკრულს მოქალაქეთა მისწრაფებებსა და მმართველი ძალის პოლიტიკას შორის.

შედეგად, საქართველოში იზრდება პოლიტიკური და სოციალური დესტაბილიზაციის რისკი, რაც შესაძლოა ქვეყნის დემოკრატიულ და ევროპულ მომავალზე გრძელვადიანი გავლენის მქონე საფრთხედ იქცეს.

4. პოლონეთის წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო ოპერაციები

ანალიზის შედეგები, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ, ასახავს საქართველოს საინფორმაციო გარემოს მედია-მონიტორინგის მონაცემებს. მონიტორინგი მოიცავდა 2024 წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს.

დაფიქსირდა, რომ FIMI (Foreing Information Manipulation and Interference - უცხოური ინფორმაციის მანიპულაცია და ჩარევა) ოპერაციებთან დაკავშირებული პროპაგანდის უმეტესი ნაწილი ემყარება უკვე არსებული მასალების გადანაწილებას ისეთ ვებგვერდებზე, რომლებიც ღიად უკავშირდება რუსულ პროპაგანდას და არ ქმნის ორიგინალურ კონტენტს.

სტატიათა უმეტესობა წარმოადგენს რუსული სახელმწიფო მედიების — РИА Новости, ТАСС, Комсомольская правда — ან პრორუსული ტელეგრამ-არხების მასალების თარგმანს და გადამუშავებულ ვერსიას.

სტატიების ენა ხშირად გაბნეულია, სავსეა გრამატიკული და სტილისტური შეცდომებით, რაც მიუთითებს ავტომატიზებული თარგმნის ინსტრუმენტების, მაგალითად Google Translate-ის, გამოყენებაზე.

ასევე იდენტიფიცირდა მასალები, რომლებიც მომდინარეობს რუსეთის მიერ მართული სააგენტოების ქართული ვერსიებიდან — Sputnik საქართველო და News Front.

80-ზე მეტი სტატიის ანალიზმა, რომლებიც ეხებოდა პოლონეთსა და პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობებს, აჩვენა, რომ აღნიშნულ პროპაგანდისტულ პლატფორმას არ გააჩნია მიზნობრივი პოლიტიკა ან სტრატეგია პოლონეთის მიმართ. ის ფუნქციონირებს როგორც პრორუსული კონტენტის აგრეგატორი, რომელიც ემსახურება რუსეთის შიდა და გარე საინფორმაციო მიზნებს.

განსაკუთრებით ხშირად ქვეყნდება ერთსა და იმავე თემაზე სხვადასხვა პრორუსული ტელეგრამ-არხების მოსაზრებები, რაც კიდევ უფრო ამყარებს მის როგორც აგრეგატორისა და არა დამოუკიდებელი მედიასაშუალების როლს,.

ინფორმაცია პოლონეთსა და პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ორ ძირითად თემად იყოფა:

ა) საპარლამენტო არჩევნები საქართველოში

პოლონეთის მიმართ პროპაგანდის ინტენსივობა მკვეთრად გაიზარდა არჩევნებიდან ორი დღის შემდეგ, როცა ქვეყანაში მაღალი ემოციური ფონი და ხმების გაყალბების შესახებ ინფორმაცია გაჩნდა.

ამ პერიოდში გამოქვეყნებულმა პირველმა სტატიებმა არასწორად წარმოადგინა პოლონეთის პრეზიდენტის ანდჟეი დუდას ინტერვიუ Radio Zet-ზე - თითქოს მან ეჭვი შეიტანა არჩევნების ჩარევის შესახებ ოპოზიციის ბრალდებებში. რეალურად, დუდა მხოლოდ იხსენებდა საუბარს საქართველოს პრეზიდენტთან სალომე ზურაბიშვილთან.

ეს ნარატივი, რომელიც აღებულია RIA.ru-სა და სხვა კრემლთან დაკავშირებული ტელეგრამ-არხებიდან, უფრო მეტად ემსახურებოდა რუსეთის ჩარევის უარყოფას, ვიდრე პოლონეთის პირდაპირ დისკრედიტაციას. თუმცა მსგავსი მანიპულაციები მაინც ახდენს გავლენას პოლონეთის აღქმაზე, განსაკუთრებით საქართველოს პროდასავლურ ოპოზიციურ წრეებში.

მნიშვნელოვანი იყო ასევე ევროპელი დელეგაციის ვიზიტის გაშუქება, რომლის დროსაც პოლონელმა სენატორმა მიხალ კამინსკიმ მოითხოვა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება. სააკაშვილი დღეს ერთ-ერთი ყველაზე მაპოლარიზებელი ფიგურაა ქართულ პოლიტიკაში, ხოლო მისი გათავისუფლების მოთხოვნა ადვილად შეიძლება გამოყენებულიყო ოპოზიციის შესუსტებისა და პროტესტის მარგინალიზაციისთვის. პრორუსულმა და პრო-სამთავრობო მედიამ ეს ინიციატივა წარმოაჩინა როგორც დასავლეთის მოთხოვნა და გამოიყენა ოპოზიციის დისკრედიტაციის და პროტესტების „სააკაშვილის მხარდამჭერ აქციებად“ წარმოსაჩენად.

სტატიები იშვიათად გამოყოფდნენ პოლონეთს ცალკე აქტორად — უფრო ხშირად მას დასავლეთის ან ევროკავშირის ერთობლივ პოლიტიკურ ხაზთან აიგივებდნენ.

რაოდენობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ პოლონეთთან დაკავშირებული თემების უმეტესობა ფოკუსირებულია საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე. 50-ზე მეტი სტატია ეხება პოლონეთის პოზიციას არჩევნების შეფასებისა და ქუჩის პროტესტების მხარდაჭერის საკითხზე. ამ მასალებში ფაქტების დამახინჯება იშვიათია, თუმცა ისინი განთავსებულია ანტიდასავლურ ტონალობაში და ხშირად ამცირებენ პოლონეთის სუვერენულ როლს, წარმოაჩენენ მას როგორც დასავლეთის საერთო პოზიციის შემადგენელს.

ბ) ომი უკრაინაში

მეორე ძირითადი თემა პოლონეთთან დაკავშირებით არის რუსეთ-უკრაინის ომი. ამ თემას ორი ქვეპუნქტი აქვს:

1. პოლონელი მებრძოლები უკრაინაში. რუსეთის გავლენის ქსელი ავრცელებს მასალებს რუსული ან პრორუსული არხებიდან საქართველოს საინფორმაციო სივრცეში, სადაც ყურადღებას ამახვილებენ უკრაინის საერთაშორისო ლეგიონში მებრძოლებზე. პროპაგანდაში ხაზგასმულია, რომ მებრძლების ყველაზე დიდი რაოდენობა პოლონეთიდან, საქართველოდან და აშშ-დან მოდის.

თუმცა, საქართველოში უკრაინაში მებრძოლი ჯარისკაცებისადმი პატივისცემისა და მათი სამხედრო პატივით დაკრძალვის ფაქტის გათვალისწინებით, მსგავსი ნარატივი ადგილობრივ მოსახლეობაში უარყოფით რეაქციას ნაკლებად იწვევს, რაც მიუთითებს, რომ ასეთი მასალები საქართველოში არ რეზონირებს.

2. პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობები. რუსული პროპაგანდა ცდილობს პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობების გაუარესების წარმოჩენას, მათ შორის იარაღის მიწოდების, მარცვლეულით ვაჭრობისა და ისტორიული საკითხების (მაგ. ვოლინი) თემების მეშვეობით.

„გრუზინსკაია პრავდა“ ავრცელებს ამ ნარატივებს საქართველოში, რითაც ხელს უწყობს პრორუსული გზავნილების გავრცელებას. შედეგად, ქართულ აუდიტორიაში შეიძლება ჩამოყალიბდეს პოლონეთის როგორც „ძალადობრივი და არასანდო პარტნიორის“ აღქმა.

საერთო ჯამში, მედია-მონიტორინგმა აჩვენა, რომ რუსეთი საქართველოში იყენებს საინფორმაციო ჩარევის ციკლურ მოდელს — ვებსაიტების მეშვეობით, რომლებიც ძირითადად პრორუსული პროპაგანდის პლატფორმებად ფუნქციონირებენ და არ ფლობენ პოლონეთის მიმართ მიზანმიმართულ სტრატეგიას. ამ მოქმედებების მოკლევადიანი მიზნებია:

- რუსეთის საქართველოს არჩევნებში ჩარევის უარყოფა;
- დასავლეთის ერთობის შერყევა;
- პოლონეთის, უკრაინისა და საქართველოს შორის დაყოფების გაღრმავება.

მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის მიმართ პირდაპირი თავდასხმები იშვიათია, მიკერძოებული ნარატივებისა და სელექციური ჩარჩოების გამოყენება მაინც ახდენს გავლენას საზოგადოებრივ აზრზე, განსაკუთრებით პოლარიზებულ აუდიტორიებში.

ქართული და რუსული თანამშრომლობა პროპაგანდაში

მონიტორინგისას გამოიკვეთა კიდევ ერთი მედიასაშუალება - გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ და მისი ვებსაიტი www.geworld.ge, რომელიც ცნობილია ანტიდასავლური და პრორუსული ტონით. გამომცემელი კომპანია „ისტორიული მემკვიდრეობა“ 2009 წლის 28 იანვარს დარეგისტრირდა და იმავე წლიდან გამოქვეყნდა გამოცემა. მისი მფლობელი თავიდანვე იყო ტარას გაგნიძე.

კვლევის („Russian Influence on Georgian NGOs and Media“, Damoukidebloba.com) თანახმად, ამ ორგანიზაციის შექმნის ინიციატივას პირადად მიესალმა რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი.

პროექტის თანადამფუძნებელია პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც 2008 წლის ივლისში მედვედევმა დააჯილდოვა „რუსეთთან მეგობრობისა და თანამშრომლობისთვის შეტანილი წვლილის გამო“. „ისტორიული მემკვიდრეობა“ ასევე პარტნიორობს პრორუსულ არასამთავრობო ორგანიზაცია ევრაზიუს ინსტიტუტთან.

ანტიპოლონური დეზინფორმაცია: „პოლონეთს არ სურს მშვიდობა უკრაინაში“

ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს Geworld.ge-ს პუბლიკაცია, რომლის პოლიტიკური ტონი მკვეთრად ანტიპოლონური და ანტიდასავლურია. ტექსტი აღწერს პოლონეთს, როგორც რეგიონში არასტაბილურობის გამომწვევ ძალას, რომელსაც თითქოს აქვს „ექსპანსიონისტური მისწრაფებები უკრაინის მიმართ“.

სტატიაში ციტირებულია სერგეი ნარიშკინი, რომელიც პოლონეთის ქცევას ხსნის „ეროვნულ-ნაციონალისტური იდეოლოგიით“, რაც ხელს უშლის უკრაინასთან მშვიდობის მიღწევას. სტატიაში პოლონეთი ეგოისტურ სახელმწიფოდაა წარმოდგენილი, რომელიც საფრთხეს უქმნის უკრაინის სუვერენიტეტს და „აღვივებს ხალხის ტანჯვას“.

პოლონეთი, როგორც ამერიკის ინსტრუმენტი

Geworld.ge-ზე 2023 წელს გამოქვეყნებული სტატია სათაურით „პოლონეთი მოქმედებს შეერთებული შტატების დავალებით“ კვლავაც რეგულარულად ციტირდება ანტიპოლონური გზავნილების გამყარების მიზნით. სტატიის ძირითადი იდეაა, რომ პოლონეთი ისტორიული წყენებისა და ნაციონალისტური ემოციების გამოყენებით ცდილობს საკუთარი პოზიციის გამყარებას ევროპულ პოლიტიკაში. ნარატივი თანხვედრაშია რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის დეზინფორმაციულ გზავნილებთან და ნარიშკინის განცხადებებთან.

ტექსტში ხაზგასმულია, რომ პოლონეთის მჭიდრო კავშირი აშშ-სთან თითქოს აზიანებს ევროპის ერთობას, განსაკუთრებით გერმანიასთან ურთიერთობებს, და პოლონეთს „გაურკვეველ მდგომარეობაში“ აქცევს, კერძოდ, ვითარებაში, სადაც მას მოუწევს მრავალი როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო ფრონტის გახსნა. ამგვარი პუბლიკაციები აშკარად ანტიპოლონურია და წარმოაჩენს პოლონეთს როგორც აგრესიულ მოთამაშეს ევროპულ პოლიტიკაში, რომელიც უკრაინის ხარჯზე საკუთარ ინტერესებს ემსახურება.

პროპაგანდის ძირითადი თემები და ნარატივები

პოლონეთის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა საქართველოში კონცენტრირდება რამდენიმე მთავარ მიმართულებაზე:

1. პოლონეთის ჩარევა სხვა ქვეყნების უსაფრთხოებაში:

- უკრაინის გაყოფა - თითქოს პოლონეთი გეგმავს უკრაინის გაყოფას და პროქსი-სახელმწიფოების შექმნას.
- საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა - პოლონეთი თითქოს უჭერს მხარს სანქციებს „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ.

2. პოლონეთის საგარეო პოლიტიკის კრიტიკა:

- რუსოფობია და ანტირუსული პოლიტიკა - პოლონეთი წარმოდგენილია, როგორც სახელმწიფო, რომლის „რუსოფობია“ ეკონომიკურ კრიზისს იწვევს.
- „პოლონეთის უკრაინიზაცია“ - თითქოს უკრაინელი მიგრანტების მატება ზრდის დანაშაულს და ავრცელებს „ბანდერას იდეოლოგიას“.
- უკრაინის მხარდაჭერა - პოლონეთი თითქოს პირდაპირ მონაწილეობს ომში, მებრძოლების გაგზავნით და იარაღის მიწოდებით.
- ურთიერთობა ნატოსთან და აშშ-სთან - პოლონეთი ნაჩვენებია, როგორც აშშ-ის ინსტრუმენტი რეგიონში.

3. ისტორიული დეზინფორმაცია:

- განცხადებები „ნაცისტურ პოლონეთზე“ - თითქოს პოლონეთი თანამშრომლობდა ჰიტლერის გერმანიასთან.
- სოციალურ-კრიმინალური თემები - უკრაინელთა დანაშაულის შემთხვევები პოლონეთში, რომლითაც იქმნება ამ ჯგუფის ნეგატიური იმიჯი.

4. პროპაგანდის მიზნები:

- პოლონეთის წარმოდგენა აგრესიულ და ჩარევის მოყვარულ სახელმწიფოდ;
- პოლონელი პოლიტიკოსებისა და ინსტიტუტების სტიგმატიზაცია (ანდჟეი დუდა, რადოსლავ სიკორსკი);
- პოლონეთ-აშშ-ნატოს ურთიერთობების სუვერენიტეტისთვის საფრთხედ წარმოჩენა;
- ევროკავშირის სუსტისა და „გაყოფილის“ იმიჯის გაძლიერება პოლონეთის მაგალითზე.

მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ პოლონეთის წინააღმდეგ მიმართულ დეზინფორმაციულ კამპანიებს საქართველოში მიზნად აქვთ დასავლეთის დისკრედიტაცია, ევროკავშირის ერთიანობის შერყევა და საქართველოს მოსახლეობის ნაწილში ანტიდასავლური განწყობების გაღრმავება.

დასკვნა:

პოლონეთის მიმართ მავნე საინფორმაციო აქტივობები საქართველოში წარმოადგენს რუსეთის ჰიბრიდული გავლენის ნაწილს. მისი მიზანია პოლონეთის, როგორც სტაბილური და პასუხისმგებელი პარტნიორის, იმიჯის შერყევა და საქართველოს საზოგადოებაში დასავლეთისადმი უნდობლობის გაღრმავება. ამ საფრთხის შესამცირებლად აუცილებელია:

- საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება,

- დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერა,
- საერთაშორისო კოალიციების გაძლიერება,
- და საკუთარი აქტიური ნარატივების წარმოება.

მხოლოდ კოორდინირებული და მრავალმხრივი მიდგომით შეძლებს პოლონეთი (და საქართველო) ეფექტურად გაუმკლავდეს პროპაგანდას და დაიცვას საკუთარი სუვერენიტეტი და საერთაშორისო იმიჯი.

5. Case Study – პოლონეთის წინააღმდეგ მიმართულ ნარატივთა ანალიზი DISARM მოდელის საფუძველზე

DISARM RED ჩარჩოს ისტორია

DISARM RED (DISinformation Analysis & Risk Management RED) არის ანალიტიკური მოდელი, რომელიც საინფორმაციო სივრცეში შემტევ მოქმედებებს აღწერს. მათი ანალიზის თანმხლები ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მნიშვნელოვანი კონცეპტუალური ჰეტეროგენულობაა: ამ სფეროში საფრთხეების კვლევასა და წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული სუბიექტები იყენებენ განსხვავებულ ლექსიკონსა და სემანტიკას ასეთი აქტივობების აღწერისთვის. 2010-იანი წლების შუახანებიდან მრავალგანზომილებიანი საინფორმაციო ოპერაციების, მათ შორის ზემოქმედებით კამპანიათა, ინტენსივობის მუდმივმა ზრდამ წარმოშვა საჭიროება, რომ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ ტიპის საფრთხეების იდენტიფიკაციასა და წინააღმდეგობაში არიან ჩართული, ჰქონოდათ სანდო ინფორმაციის გაცვლის საერთო ენა. სწორედ ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად შეიქმნა DISARM RED - დეზინფორმაციისა და საინფორმაციო რისკების აღწერის, ანალიზის და მართვის საერთო ჩარჩო.

2017–2018 წლების მიჯნაზე სარა-ჯეინ „SJ“ ტერპმა, კიბერუსაფრთხოების სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად, დაიწყო უკვე არსებულ ინსტრუმენტთა ადაპტაცია ჰიბრიდული ოპერაციების რეალობაზე, რაც მიზნად ისახავდა ისეთი მეთოდოლოგიების შემუშავებას, რომლებიც ეფექტიანად გაუმკლავდებოდა კიბერ, საინფორმაციო და გავლენის აქტივობათა მზარდ სირთულეს[2]. მალევე გაჩნდა DISARM-ის პროტოტიპი — AMITT (Adversarial Misinformation Influence Tactics & Techniques) — და ის გამოიყენეს ნატომ, ევროკავშირმა, ჯანმო-მ და გაერომ. DISARM RED-ის ამჟამინდელი ვერსია არის AMITT-ის შერწყმა MITRE Corporation-ის მიერ შექმნილ SP!CE მოდელთან, რომელიც კლასიკურ კიბერუსაფრთხოების ჩარჩოს MITRE ATT&CK-ს ეყრდნობა (შეტევით კიბეროპერაციებში გამოყენებული ტაქტიკებისა და ტექნიკების ასახსნელად)[3].

DISARM სრულად ღია წყაროა, რომელსაც DISARM Foundation მართავს; თავსებადია STIX ენასთან და MISP პლატფორმასთან და რეგულარულად ახლდება, რათა უკეთ აღწეროს დინამიკური საინფორმაციო გარემო და გაზარდოს თავსებადობა სხვა მოდელებთან.

DISARM RED ჩარჩოს ძირითადი მახასიათებლები

DISARM RED რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი, იერარქიულად — phases/ფაზები („P“ კოდით), tactics/ტაქტიკები („TA“) და techniques/ტექნიკები („T“).

„P“ თეგებით აღწერილია საინფორმაციო ოპერაციების ოთხი მთავარი ფაზა: დაგეგმვა, მზადება, შესრულება და შეფასება. თითოეულ ფაზას ახლავს „TA“ ტაქტიკები — მიზნები, რომელთა მიღწევაც ხდება სხვადასხვა ინსტრუმენტის, ანუ „T“ ტექნიკების გამოყენებით. ფაზების, ტაქტიკებისა და ტექნიკების დეტალური

[2] https://github.com/DISARMFoundation/DISARMframeworks?tab=readme-ov-file#whos-responsible-for-disarm-and-a-little-history
[3] https://www.disarm.foundation/brief-history-of-disarm

აღწერა საჯაროდ არის ხელმისაწვდომი პროექტის ვებსაიტზე.

DISARM RED-ის გამოყენების მაგალითები

DISARM RED განსაკუთრებით გამოსადეგია ინციდენტებზე ინფორმაციის გაზიარებისთვის: იგი იძლევა შენიშნული რეალობის სტანდარტულად, მკაფიოდ აღწერის საშუალებას და ამცირებს გაურკვევლობას. ჩარჩო განსაკუთრებით ეფექტიანია საწყის დაზვერვაში (reconnaissance) - საინფორმაციო სივრცეში მოქმედებების იდენტიფიკაციისას - ასევე ატრიბუციის ანალიზში, სადაც ის იძლევა განმასხვავებელ და განმეორებად ტექნიკათა აღწერის საშუალებას. მისი ძლიერი მხარეა STIX სინტაქსთან თავსებადობა, რაც შესაძლებელს ხდის Open CTI-ს ტიპის პლატფორმებზე გამოყენებას.

მაგალითი: ანალიტიკოსმა სოციალურ პლატფორმაზე აღმოაჩინა არაავთენტური ანგარიშების ქსელი, რომელიც ერთსა და იმავე meme-ს ავრცელებს, რათა ლეგიტიმაცია მიანიჭოს იმ ნარატივს, რომელიც მანამდე სხვა მედიაში (ვებგვერდზე) გაჩნდა. DISARM-ის მეშვეობით ანალიტიკოსი ზუსტად განსაზღვრავს, დაარქმევს და დააკლასიფიცირებს გამოყენებულ ტექნიკებს, დაუკავშირებს შესაბამის ტაქტიკებს და ამ ინფორმაციას გაუზიარებს სხვა ანალიტიკოსს, რომელიც დაზვერვის ციკლის ფარგლებში გაამდიდრებს პროდუქტს.

DISARM RED ჩარჩოს შეზღუდვები

DISARM RED ზუსტი და სასარგებლო ინსტრუმენტია, თუმცა მნიშვნელოვანია მისი ლიმიტების ცოდნა. ის შესანიშნავად მუშაობს ინდივიდუალური ინციდენტების აღწერისა და ანგარიშგებისთვის, ასევე, ღია წყაროების კვლევებში შეგროვებული ციფრული მტკიცებულებების კლასიფიკაციისას, მაგრამ ის ნაკლებად მოიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც უფრო დეტალურად აღწერს კონკრეტული აქტივობის ფსიქოლოგიურ შედეგებს. ის კვლავაც ზედმეტად დაშორებულია

ფსიქოლოგიური ოპერაციების შეფასების ანალიტიკურ მოდელებს.

DISARM RED ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას უმეტესად პირველ ფაზაში - დაგეგმვაში - რამდენიმე ტექნიკით აღწერს. ჩარჩო მათ ტაქტიკური მიზნის მისაღწევ გზებად მიიჩნევს, როცა რეალურად ეს ტექნიკები ერთდროულად არის როგორც ინსტრუმენტი, ასევე, თვითმიზანიც, ფართო ფსიქოლოგიური ზემოქმედების სპექტრის ნაწილი, რომელსაც გავლენის ოპერაციებში შემტევი აქტორები იყენებენ.

რუსული გავლენის ოპერაცია საქართველოს საინფორმაციო სივრცეში: პოლონეთისა და დასავლეთის აგრესორებად წარმოჩენა, თითქოს ისინი უკრაინის ტერიტორიების ანექსიას ცდილობენ, DISARM RED v1.6-ის მიხედვით

2014 წელს უკრაინაში რუსეთის შემოჭრის დასაწყისიდან კრემლი დეზინფორმაციას, როგორც აგრესიული პოლიტიკის „ლეგიტიმაციის“ ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს, იყენებს.

რუსული პროპაგანდა, განსაკუთრებით უკრაინის ომის კონტექსტში, დაფუძნებულია ფრთხილად აგებულ ნარატიულ სტრუქტურაზე, რომელიც აუდიტორიის მანიპულირებას ახდენს ფაქტებისა და ფიქციის აღრევით, ემოციურ აპელირებებითა და ყალბი ისტორიული ფონის შექმნით.

ანალიზი ავლენს ამ კონკრეტულ საინფორმაციო სფეროში გამოყენებულ დეზინფორმაციულ ტექნიკებსა და ნარატიულ მექანიზმებს. ერთ-ერთი უახლესი მაგალითია ფართოდ გავრცელებული ნარატივი დასავლეთის მიერ უკრაინის შესაძლო გაყოფის შესახებ.

რუსული პროპაგანდისტული მანქანა აგრძელებს დეზინფორმაციულ ოპერაციას, რომლის საყრდენი ნარატივებია პოლონეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მიერ დასავლეთ უკრაინის ანექსიის გეგმების შესახებ ბრალდებები.

საქართველოს საინფორმაციო სივრცის მონიტორინგმა გამოავლინა ფართომასშტაბიანი, ხანგრძლივი რუსული გავლენის ოპერაციის ელემენტები, რომელიც მიზნად ისახავს პოლონეთის დისკრედიტაციას და მის წარმოჩენას, როგორც ქვეყანას, რომელიც თითქოსდა ცდილობს მეორე რესპუბლიკის საზღვრების აღდგენას. ამ ნარატივის მიხედვით, პოლონეთი თითქოს მიისწრაფვის უკრაინის ნაწილების, განსაკუთრებით ვოლინის მსგავსი დასავლეთ რეგიონების, ხელში ჩაგდებისკენ.

TACTICS AND TECHNIQUES USED ACCORDING TO DISARM v1.6

Phase	Tactic	Technique	Description
P01 - Plan	**TA02 - Plan Objectives**	**T0066 - Degrade Adversary**	Russia uses narratives that portray Poland in a negative light, aiming to destroy its reputation and credibility.
		T0079 - Divide	An attempt to evoke negative emotions toward Poland by portraying it as a country that wants to “restore its lost empire.”
		T0138 - Motivate to act	
		T0135 - Undermine	An attempt to create the impression that Poland is an insincere and untrustworthy ally of Ukraine, secretly seeking to take over part of its territory.
P02 - Prepare	**TA07 - Select Channels and Affordances**	**T0152.004 - Website Asset**	Websites with Russian or pro-Russian affiliation (such as Sputnik Georgia, Tabula.ge)

			sputnik-georgia.ru/20231219/285070597.html, sputnik-georgia.ru/20231031/politolog-polsha-gotovitsya-ne-tolko-k-voyne-s-rossiey-no-i-k-stolkoveniyu-s-ukrainoy-283813116.html, tabula.ge/ge/news/704450-putini-ircmuneba-rom-polonets-ukrainis-okupatsia
		T0151.004 - Chat Platform	The Telegram messaging platform
		T0151.001 - Social Media Platform	Social media platforms such as Facebook and Instagram
		T0151.008 - Microblogging Platform	X (former Twitter)
	TA14 - Develop Narratives	**T0003 - Leverage Existing Narratives**	An attempt to prove that Poland wants to take over the western territories of Ukraine.
		T0022 - Leverage Conspiracy Theory Narratives	Suggesting that Poland has imperial ambitions and is a false ally of Ukraine. Attempting to insinuate that Poland owes something to Russia and that its attempts at territorial expansion ended with World War II.
	TA06 - Develop Content	**T0023 - Distort Facts**	Publishing fake articles on websites, and to a much lesser extent, on social media platforms.

		T0085 - Develop Text-Based Content	
	TA15 - Establish Assets	**T0095 - Develop Owned Media Assets**	Utilizing Russian propaganda platforms.
	TA16 - Establish Legitimacy	**T0097.102 - Journalist Persona**	Citing “experts,” “analysts,” and Russian “political technologists” in order to create a conviction in Georgian society about Poland’s bad intentions. Citing representatives of the Russian Federation government, in particular Vladimir Putin.
		T0097.108 - Expert Persona	
		T0097.111 - Government Official Persona	
		T0097.202 News Outlet Persona	
P03 - Execute	**TA09 - Deliver Content**	**T0115 - Post Content**	Dissemination of false narratives in the form of articles on websites.

შეჯამება

ამ კამპანიის მიმდინარე ეტაპი ამტკიცებს, რომ პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი და სხვა დასავლეთის ქვეყნებიც უკვე „გეგმავენ“ უკრაინის გაყოფას კონკრეტულ ტერიტორიებად. ამ პროპაგანდის მიზანია უკრაინისთვის დასავლური მხარდაჭერის დისკრედიტაცია და ამ ბრალდებების ჩასმა უფრო ფართო დეზინფორმაციულ კონტექსტში - ნატო-ს თითქოსდა შემტევ გეგმებთან

დაკავშირებით.

ეს გზავნილები ერთდროულად გამოიყენება იმგვარ პროპაგანდაში, რომელიც რუსეთს თავდაცვის რეჟიმში მყოფ სახელმწიფოდ წარმოაჩენს და არა აგრესორად, რომელიც უკრაინაზე შეიარაღებულ შეტევას ახორციელებს (გადაბრუნებული ლოგიკის სტრატეგია).

რუსეთი მუდმივად იყენებს რიტორიკას, რომელიც უკრაინასა და დასავლეთს ნაციზმთან აკავშირებს. ასეთი პარალელების მიზანია ემოციური რეაქციის პროვოცირება და რუსეთის მიერ აგრესიის „დენაციფიკაციის“ ოპერაციად კანონიზება, ან ფართოდ, დასავლეთის წინააღმდეგ თავდაცვით ოპერაციად წარმოჩენა, სადაც დასავლეთის ქმედებები როგორც პროვოკაციული და შემტევი, ისე კონფლიქტისკენ მიმყვანი მოჩანს.

ამ მექანიზმების ცოდნა არა მხოლოდ პროპაგანდის უკეთ გაანალიზებას, არამედ მის მიმართ უფრო ეფექტიან თავდაცვასაც უზრუნველყოფს.

6. Case Study – პროტესტი საქართველოში

„უცხოური აგენტების შესახებ“ კანონპროექტის წინააღმდეგ პროტესტების ფორმირება საქართველოს მთავარი ტელემედიების მიერ

პროექტ MUGA-ს საჭიროებებისთვის განხორციელებული კვლევის მიზანი იყო 2024 წელს საქართველოში გამართული პროტესტებისა და მათ თანმხლები საინფორმაციო ნაკადის - მთავარი სატელევიზიო არხების მიერ გავრცელებული მასალების - ურთიერთკავშირის ანალიზი. პროსამთავრობო და ოპოზიციური მთავარი მედიების რეპორტაჟები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, ხოლო ჩართულობის თვალსაზრისით ოპოზიციური მედია პროსამთავრობოს აჭარბებდა.

მმართველი „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ „უცხოური გავლენის“ შესახებ კანონი[4] ხელახლა 2024 წლის 3 აპრილს დააანონსა[5]. მისი მიზანი იყო იმ მედია ორგანიზაციებისა და არასამთავრობოების, რომლებიც დაფინანსების მინიმუმ 20%-ს უცხოეთიდან იღებდნენ, „უცხოური აგენტებად“ დარეგისტრირება. დასავლელი პარტნიორების მკაცრი კრიტიკის მიუხედავად, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ეს კანონი დააზიანებდა საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს, „ქართულმა ოცნებამ“ 2024 წლის 28 მაისს დაძლია პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ვეტო და კანონი მიიღო. შედეგად, შეერთებულმა შტატებმა სამგზავრო შეზღუდვები დაუწესა ათეულობით „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსანსა და მათი ოჯახის წევრებს „საქართველოში დემოკრატიის ძირის გამოთხრაში მონაწილეობის“ გამო.

საქართველოს მთავარი მედია-სივრცე დიქოტომიურ ხასიათს ატარებს: საინფორმაციო გაშუქება ასახავს ქვეყნის პოლიტიკურ დანაწევრებას და მედია ორგანიზაციები არსებულ პარტიულ ხაზებს მიესადაგებიან. ეს გარემოება ერთდროულად არის შედეგი და განმსაზღვრელი პოლიტიკური პოლარიზაციისა. 2023 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევართა მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოს მთავარი ტელევიზიები პოლიტიკურ მოვლენებს ურთიერთსაპირისპიროდ ინტერპრეტირებენ. იმავე წელს Deutsche Welle-ს კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 70% მიიჩნევს, ადგილობრივი სიახლეები ობიექტურობას მოკლებულია. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან 84% სიახლეებს ტელევიზიიდან, ხოლო 72% — სოციალური მედიიდან იღებს.

მეთოდოლოგია

რადგან ქართული ტელევიზიების მაყურებლობის უახლესი მონაცემები

[4] https://civil.ge/archives/591175
[5] https://www.reuters.com/world/europe/georgias-ruling-party-says-its-reintroducing-draft-law-foreign-agents-2024-04-03/

ხელმისაწვდომი არ იყო, ანალიზი კონცენტრირდა სადგურების Facebook-პროფილებზე 3 აპრილიდან 31 მაისის ჩათვლით გამოქვეყნებულ კონტენტზე. შესწავლილ იქნა როგორც პრორუსულინგურად მიჩნეული არხები (TV Imedi, PosTV, Rustavi 2), ისე მთავრობის კრიტიკული არხები (Mtavari Arkhi, Formula, TV Pirveli). დამატებით გაანალიზდა Facebook-ჩართულობა და ამ არხების ვებგვერდების ტრაფიკიც.

ანალიზი

კვლევის ფარგლებში დამონიტორინგებულმა ტელეარხებმა გაავრცელეს მესიჯები, რომლებიც პროტესტებს, კანონპროექტს და მისი მიღების შესაძლო შედეგებს ურთიერთსაპირისპიროდ წარმოაჩენდა. პროსამთავრობო მედიამ უმთავრესად სცადა პროტესტების დისკრედიტაცია და კანონის, როგორც სახელმწიფოს გამჭვირვალობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან ნაბიჯად წამრმოჩენა. ოპოზიციური და კრიტიკული არხების გზავნილები კი ეფუძნებოდა პროტესტების დეტალურ გაშუქებასა და თავად კანონზე ნეგატიური შეფასებების გავრცელებას.

მაგალითად, მთავრობისადმი კრიტიკული არხების აქტივობაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ისინი მხარს უჭერდნენ პროტესტებს - ავრცელებდნენ ინფორმაციას აქციების შესახებ და ლოგისტიკის შესახებ. ამ არხებმა ასევე გაავრცელეს დასავლელი პარტნიორების კრიტიკული კომენტარები და თავიანთ მესიჯებში კანონპროექტს „რუსულ კანონად“ მოიხსენიებდნენ - ტერმინი, რომელიც 2023 წელს დამკვიდრდა, რადგან კანონი რუსეთში მოქმედ „უცხო აგენტთა“ კანონმდებლობას წააგავს.

ზემოთ: როგორ იყენებს „მთავარი“ რუსულ სიმბოლიკას უცხოელი აგენტების შესახებ კანონის პარლამენტში კენჭისყრის შესახებ ინფორმაციულ პოსტებში. ქვემოთ: სატელევიზიო არხების პროფილები, რომლებიც დემონსტრაციების პირდაპირი ტრანსლაციების დროს არეკლამწაწნ მთავარ საპროტესტო სლოგანს „არა რუსულ კანონს“.

ოპოზიციური და კრიტიკული მედიის მიერ აქციების გაშუქება კანონს ღიად აკრიტიკებდა, იყენებდნენ სლოგანებს: „არა რუსულ კანონ!“ ან „არა რუსულ რეჟიმს!“ 3 000-ზე მეტი Facebook-პოსტის ანალიზმა, რომლებშიც ფიქსირდებოდა საკვანძო სიტყვები „რუსული“ და „კანონი“, აჩვენა, რომ 1 576 პოსტში გამოიყენებოდა სლოგანი „არა რუსულ კანონს“.

პროსამთავრობო მედიამ კანონპროექტი თანმიმდევრულად მოიხსენია როგორც „ქართული კანონი“ ან „გამჭვირვალობის კანონი“ და მას თან ახლდა მმართველი პარტიის პოლიტიკოსთა განცხადებები იმის შესახებ, რომ კანონი ემსახურება საქართველოს ინტერესებს და არის გადამწყვეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. გავრცელებულ მესიჯებში ჟღერდებოდა ნარატივი, თითქოს კანონი შეესაბამება ევროპულ ღირებულებებს, ან ევროკავშირის რეკომენდაციებს, და საპროტესტო მოწოდების საპირწონედ რეკლამდებოდა სლოგანი „კი — ქართულ კანონს“.



სამი პროსამთავრობო ტელევიზიის მიერ გამოქვეყნებული იდენტური წარწერების მქონე პოსტები..

პროსახელისუფლებო არხები ცდილობდნენ აქციები ძალადობრივად და „რადიკალური ჯგუფების“ მიერ ორგანიზებულად წარმოეჩინათ, რათა მათი ლეგიტიმაცია შეერყიათ. გამოყენებულ ნარატივებს შორის იყო მტკიცება, თითქოს პროტესტის მონაწილეები პოლიციას ესხმოდნენ თავს, მაშინ, როდესაც რეალურად ქართულ პოლიციას ბრალს სდებდნენ გადაჭარბებულ ძალაში. გარდა ამისა, პროსამთავრობო კომენტატორი ლევან ნიკოლაიშვილი „იმედის“ ეთერში აცხადებდა, რომ საქართველოში აშშ-ის საელჩომ ოპოზიციის ლიდერებს მისცა ინსტრუქცია, თუ როგორ დაეორგანიზებინათ უფრო „რადიკალური პროტესტი“.



ზემოთ: პროსამთავრობო მედია დისკრედიტაციას უწევს საპროტესტო აქციებს; ვიდეოები და განცხადებები წარმოდგენილია მათი რადიკალური ხასიათის დასადასტურებლად. ქვემოთ: კრიტიკული მედია ავრცელებს საპროტესტო აქციებთან დაკავშირებულ ლოჯისტიკურ ინფორმაციას.

Facebook-აქტივობის ანალიზმა აჩვენა უფრო მაღალი ტემპერამენტი ოპოზიციური არხების მხრიდან. ისინი პოსტავდნენ უფრო ხშირად და ქმნიდნენ მეტ ჩართულობას (engagement), ვიდრე პროსამთავრობო მედია. 3 აპრილიდან 31 მაისამდე პერიოდში „რუსული კანონი“ 3 000-ზე მეტ პოსტში იყო ნახსენები და ამ პოსტებს ჯამურად 900 000-ზე მეტი ჩართულობა დაუგროვდათ. შედარებისთვის, პროსამთავრობო არხებმა კანონი გამჭვირვალობის კონტექსტში მხოლოდ 320-ჯერ მოიხსენეს და ამ პოსტებმა 353 000-ზე მეტი ჩართულობა მიიღეს. იმავე პერიოდში, ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობილმა მედიამ გამოაქვეყნა 82 პოსტი, სადაც პროტესტები ძალადობრივად და/ან „რადიკალების“ მიერ ორგანიზებულად იყო მოხსენიებული, მაშინ როცა კრიტიკულმა არხებმა განათავსეს 372 პოსტი ახალგაზრდებისა და სტუდენტების მიერ ორგანიზებული აქციების შესახებ. გარდა ამისა, პროსამთავრობო არხებმა 391 პოსტში იმსჯელეს კანონის შესახებ როგორც

საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებაზე. ამ პოსტებმა 280 000-ზე მეტი ჩართულობა დააგროვა; ხოლო კრიტიკულმა ტელევიზიებმა 983 პოსტში განათვასეს მესიჯი, რომ კანონმა შეიძლება დააზიანოს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მისწრაფებები - ამ პოსტებს 330 000-ზე მეტი ჩართულობა დაუგროვდა.



დიაგრამა ასახავს შესწავლილი ტელეარხების მიერ გამოქვეყნებული პოსტების ძირითად მაჩვენებლებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ პროსამთავრობოდ მიჩნეულმა არხებმა გამოიყენეს ფასიანი კონტენტის რეკლამების სახით, რაც მიუთითებს, რომ ოპოზიციური მედიის გაშუქების თანმხლები ჩართულობა მთლიანად ორგანული იყო, განსხვავებით ხელისუფლებასთან ასოცირებული არხების შედეგებისგან. ჯამში იდენტიფიცირდა 1 800-ზე მეტი Facebook-ის რეკლამა, რომლებიც მიზნად ისახავდა პროტესტებთან დაკავშირებული ნარატივების გავრცელებას. ეს მონაცემები ემთხვევა იმ თანმიმდევრულად ტენდენციას, რომ პროტესტების

პერიოდში ოპოზიციური ტელევიზიების კონტენტზე ჩართულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა: 3 აპრილიდან 4 მაისამდე მთავრობისადმი კრიტიკულმა არხებმა 14.2 მილიონზე მეტი ჩართულობა მოაგროვეს, მაშინ როცა პროსამთავრობო არხებმა - მხოლოდ ნახევარი, 7.4 მილიონი. მაგალითად, „მთავარი არხმა“ 24 აპრილიდან 4 მაისამდე 2 მილიონზე მეტი ინტერაქცია დააგროვა, ხოლო მეორე ადგილზე „ტვ პირველი“ იყო. შედარებისთვის, 1 იანვრიდან 3 აპრილამდე ოპოზიციურმა არხებმა ჯამში მიიღეს 5 მილიონი ჩართულობა, ხოლო პრორულინგურმა - სულ ცოტა, 4.6 მილიონზე მეტი.



7. რეკომენდაციები

საქართველო, როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონის საკვანძო ქვეყანა, საინფორმაციო სივრცეში რთული გამოწვევების წინაშე დგას. ბოლო წლებში მედიის ძლიერი პოლარიზაცია გამოვლინდა — არხები იყოფიან პრო-სამთავრობო და ოპოციზიურ ბანაკებად. ტრადიციული მედიის, მათ შორის ტელევიზიისადმი ნდობა სისტემატურად კლებულობს, განსაკუთრებით ახალგაზრდებში.

ტელევიზია, მიუხედავად იმისა, რომ ისევ დომინანტია, ნელ-ნელა ადგილს უთმობს სოციალურ ქსელებს, რომლებიც დღეს, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ერთ-ერთ მთავარ საინფორმაციო წყაროდ იქცნენ.

ანტიდასავლური, პრორუსული ნარატივები და დეზინფორმაცია - სოციალური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური თემების ჭრილში - ფართოდ ვრცელდება. რუსეთი რჩება დეზინფორმაციის მთავარ წყაროდ, რომელიც სხვადასხვა პროპაგანდისტულ ტექნიკას იყენებს საქართველოს პროდასავლური მისწრაფებების შესასუსტებლად და საზოგადოების დესტაბილიზაციისთვის. არაერთი ვებგვერდი ავრცელებს რუსულ დეზინფორმაციას. პოლონეთი წარმოჩენილია როგორც ქვეყნა, რომელიც ერევა სხვა სახელმწიფოების საქმეებში, ხოლო აშშ-სა და ნატოსთან ურთიერთობა - როგორც რეგიონული სუვერენიტეტისა და უსაფრთხოებისთვის საფრთხე.

ა) საინფორმაციო გარემოს შეჯამება

ციფრული ტრანსფორმაცია ცვლის საზოგადოების საინფორმაციო ჩვევებს, რაც საგრძნობლად ახდენს გავლენას მოვლენების აღქმასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

საქართველოს საინფორმაციო გარემოს ძირითადი მახასიათებლები

ტრადიციული მედია: ტელევიზია კვლავაც არის მთავარი საინფორმაციო წყარო, განსაკუთრებით სოფლებში, თუმცა მისი პოპულარობა კლებულობს. ბეჭდური მედიის მნიშვნელობა იკლებს, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც გაზეთების და ჟურნალების დისტრიბუციასთან ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. რადიო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალი ამბების, საგანმანათლებლო და გასართობი კონტენტის მიწოდებაში.

პოლიტიკურ ჯგუფებთან დაკავშირებული მედია: ისეთი არხები, როგორიცაა „იმედი TV“ და „PosTV“, ასოცირდება მმართველ პარტიასთან და ავრცელებენ სამთავრობო პროპაგანდას. „ობიექტივი“ დაკავშირებულია „პატრიოტთა ალიანსთან“ და ღიად უჭერს მხარს პრორუსულ ნარატივებს. „Alt-Info“, რომელიც რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების მიერ არის დაფუძნებული, ასევე ავრცელებს პრორუსულ გზავნილებს.

სოციალური მედია: სოციალურ ქსელებს მკვეთრად გაიზარდათ გავლენა და ისინი წარმოადგენენ მეორე მთავარ საინფორმაციო წყაროს გამოკითხულთა 22%-ისთვის. ფილტრების ნაკლებობის, შეზღუდული რეგულაციური მექანიზმების და „ინფორმაციული ბუშტების“ შემქმნელი ალგორითმების გამო, ისინი დეზინფორმაციის გავრცელების ძირითად გარემოდ იქცნენ.

მედიისადმი ნდობა: ქართველთა 25% აცხადებს, რომ არ ენდობა არც ერთ სატელევიზიო არხს. ქართულ მედიაში გამეფებული პოლიტიკური პოლარიზაცია ამის მთავარი მიზეზია. სოფლური ტიპის დასახლებებისთვის დამახასიათებელია ტელევიზიის მეტი მოხმარება და ნდობა, მაშინ როცა უმცირესობათა ჯგუფებს ტრადიციული მედიისადმი დაბალი ნდობა აქვთ.

ინფორმაციის არაფორმალური წყაროები: ოჯახის წევრები, მეზობლები, მეგობრები და კოლეგები ინფორმაციის გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობებში. სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე მოსაუბრე რესპონდენტები დიდწილად ეყრდნობიან არაფორმალურ და გაუფილტრავ არხებს.

დეზინფორმაციისადმი მოწყვლადობა: ინტერნეტის მოხმარების ზრდა და ტრადიციული მედიისადმი ნდობის კლება ზრდის დაუდასტურებელ და შესაძლო შეცდომაში შემყვან კონტენტზე დამოკიდებულებას. სოფლური და უმცირესობებით დასახლებული თემები, მრავალფეროვან წყაროებზე

შეზღუდული წვდომის გამო, განსაკუთრებით მოწყვლადებია დეზინფორმაციისადმი.

ბ) სტრატეგიული ანალიზი – რეგიონული ვითარების გავლენა პოლონეთის სტრატეგიულ მიზნებზე

საქართველოს საინფორმაციო ვითარება მნიშვნელოვნად უკავშირდება პოლონეთის რეგიონულ სტრატეგიულ მიზნებს. როგორც დემოკრატიის, სიტყვის თავისუფლებისა და ევროპული ინტეგრაციის აქტიური მხარდამჭერი, პოლონეთს შეუძლია საკუთარი გამოცდილება დეზინფორმაციასთან ბრძოლაში გამოიყენოს საქართველოს დასახმარებლად. საქართველოს სტაბილურობა და გამძლეობა უცხოური ზემოქმედებების, მათ შორის რუსული პროპაგანდის, წინაშე კრიტიკულია ნატოს აღმოსავლეთი ფლანგის უსაფრთხოებისთვის და უფრო ფართო, პროდასავლური სახელმწიფოების ალიანსის ჩამოსაყალიბებლად.

დეზინფორმაციიდან მომდინარე საფრთხეებმა შეიძლება შეასუსტოს საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირსა და ნატოში, რაც ეწინააღმდეგება პოლონეთის ინტერესებს. ამასთან, პოლონეთის გამოცდილება დეზინფორმაციასთან ბრძოლასა და დემოკრატიული მედიის განვითარებაში შეიძლება გახდეს ღირებული რესურსი საქართველოსთან სტრატეგიული თანამშრომლობისთვის.

გ) ტრენინგი

დეზინფორმაციასთან ბრძოლის კომპეტენციების გასაძლიერებლად რეკომენდებულია შემდეგი სასწავლო პროგრამების დანერგვა:

ჟურნალისტებისთვის:

- ჟურნალისტური უნარების გასაძლიერებლად ფაქტების გადამოწმებისა და დეზინფორმაციის ამოცნობის ვორქშოფები;

- ეთიკისა და პასუხისმგებლიანი გაშუქების ტრენინგები;
- ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება სოციალური მედიის მონიტორინგისა და ანალიზისთვის.

საჯარო სექტორის თანამშრომლებისთვის:

- საინფორმაციო უსაფრთხოებისა და FIMI-ს ტიპის საფრთხეების ამოცნობის ტრენინგები;
- წყაროთა ანალიზისა და გადამოწმების სწავლებები.

არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის:

- მედია-განათლებაზე და დეზინფორმაციისადმი გამძლეობაზე ტრენინგები;
- საზოგადოებრივ კომუნიკაციასა და ადგილობრივი თემების ჩართულობაზე ვორქშოფები;
- მედია-მონიტორინგისა და დეზინფორმაციის ანალიზის სწავლება.

საზოგადოებრივი აზრის ლიდერებისა და ინფლუენსერებისთვის:

- სოციალური მედიის პასუხისმგებლიან გამოყენებასა და დეზინფორმაციის გავრცელების თავიდან არიდებაზე ტრენინგები;
- კამპანიების ამოცნობისა და მანიპულაციური ტექნიკების შესახებ ვორქშოფები.

დ) იმპლემენტაცია

იმისათვის, რომ ამ ანგარიშში ასახული ცოდნა ეფექტიანად იქნას გამოყენებული, რეკომენდებულია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

დამოუკიდებელი მედიის გაძლიერება:

- ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა დამოუკიდებელი მედიისთვის, რათა კონკურენცია გაუწიონ პრო-სამთავრობო და პრორუსულ არხებს;
- ციფრული ინფრასტრუქტურის გაძლიერება - რეგიონული მედია-ცენტრების განვითარება და დამოუკიდებელი საინფორმაციო არხების მხარდაჭერა ინფორმაციის მრავალფეროვნებისა და ხარისხის ასამაღლებლად;
- ციფრული მედიისა და ინტერნეტზე წვდომის მხარდაჭერა, განსაკუთრებით სოფლებსა და უმცირესობების თემებში;
- მედია-წიგნიერების ინიციატივები საზოგადოების დეზინფორმაციისადმი გამძლეობის გასაზრდელად;
- სოციალური მედიის რეგულირების პრაქტიკული დანერგვა - პლატფორმებთან თანამშრომლობა ონლაინ კონტენტზე პასუხისმგებლობის გასაზრდელად.

დეზინფორმაციის მონიტორინგი და ანალიზი:

- ადგილობრივი ანალიტიკური ცენტრების ჩამოყალიბება, რომლებიც სისტემურად დააკვირდებიან და გაანალიზებენ დეზინფორმაციას საქართველოში;
- მედიისა და სოციალური მედიის მონიტორინგის სისტემის შექმნა დეზინფორმაციული კამპანიების იდენტიფიცირებისთვის;
- ანალიტიკური ინსტრუმენტების განვითარება დეზინფორმაციის ნაკადების მონიტორინგისა და წყაროების იდენტიფიცირებისთვის (DISARM ჩარჩოს გამოყენებით);
- პუბლიკაციების რეგულარული გამოქვეყნება და მათი საჯაროდ ხელმისაწვდომობა როგორც ფართო აუდიტორიისთვის, ასევე პოლიტიკის შემქმნელებისთვის.

საერთაშორისო თანამშრომლობა:

- კოალიციების შექმნა სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც დეზინფორმაციას ებრძვიან;
- პარტნიორებთან ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა;
- ინტერკულტურული დიალოგისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების მხარდაჭერა.

მიზნობრივი ქმედებები მოწყვლადი ჯგუფებისთვის:

- კომუნიკაციის სტრატეგიების მორგება ასაკობრივ და ეთნიკურ ჯგუფებზე;
- სოციალური ინიციატივებისა და ადგილობრივი ლიდერების მხარდაჭერა სოფლის და უმცირესობების თემებების მოსახლეობასთან მდასაკავშირებლად;
- საინფორმაციო კონტენტის შექმნა უმცირესობების ენებზე საიმედო წყაროებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

ინფორმაციულ კრიზისებზე რეაგირება:

- გამაფრთხილებელი შეტყობინებების სისტემა - დეზინფორმაციულ კამპანიებზე სწრაფი რეაგირების მექანიზმების შემუშავება;
- კრიზისულ ვითარებებზე რეაგირების პროტოკოლები, სადაც დეზინფორმაცია განსაკუთრებით მავნებელია.

ე) კომუნიკაციის მხრივ გადასადგმელი ნაბიჯები

დეზინფორმაციისთვის ეფექტიანი წინააღმდეგობის გასაწევად რეკომენდებულია:

სანდო ინფორმაციის წახალისება:

- დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერა საიმედო კონტენტის შესაქმნელად;
- ალტერნატიული წყაროების უზრუნველყოფა საზოგადოებისთვის, მათ შორის უმცირესობების ენებზე;

- ონლაინ პლატფორმებისა და მობილური აპების განვითარება სანდო ინფორმაციის პოპულარიზაციისთვის.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება:

- საგანმანათლებლო კამპანიები დეზინფორმაციის და მანიპულაციის ტექნიკების ამოცნობაზე;
- საჯარო დებატები და საინფორმაციო შეხვედრები;
- მრავალფორმატიანი მასალები (ვიდეო, აუდიო, ინფოგრაფიკა) სხვადასხვა აუდიტორიისთვის.

დეზინფორმაციაზე რეაგირება:

- სწრაფი და მკვეთრი საპასუხო ქმედებები - ტყუილების გაბათილება და წყაროების საჯაროდ გამოვლენა;
- თანამშრომლობა სოციალურ პლატფორმებთან ყალბი ანგარიშებისა და ქსელების წინააღმდეგ;
- პოზიტიური ნარატივების პოპულარიზაცია, რომლებიც ამცირებენ დეზინფორმაციის ეფექტს და აძლიერებენ პროდასავლურ განწყობებს.

ინფლუენსერებისა და ლიდერების ჩართვა:

- სანდო აზრის ლიდერებთან თანამშრომლობა სხვადასხვა ჯგუფამდე მისაღწევად;
- მათი ჩართვა საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიებში გავრცელებისა და ეფექტიანობის გასაზრდელად.

ვ) კვლევა და განვითარება

კვლევისა და ტექნოლოგიური ინოვაციების (R&D) გაძლიერება საკვანძო ელემენტია დეზინფორმაციისა და FIMI-ს წინააღმდეგ. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ რეკომენდირებულია:

ანალიტიკური ინსტრუმენტების განვითარება:

- დეზინფორმაციის ნაკადების მონიტორინგისა და წყაროების იდენტიფიკაციის ინსტრუმენტები;
- ხელოვნური ინტელექტის გამოყენება დიდი მოცულობის მონაცემების ანალიზისთვის და პატერნების აღმოსაჩენად.

დეზინფორმაციის კვლევა:

- მეცნიერული კვლევები დეზინფორმაციის მექანიზმებზე და მის სოციალურ გავლენაზე;
- სხვადასხვა საწინააღმდეგო სტრატეგიის ეფექტიანობის შეფასება და ქართულ რეალობაზე მორგება;
- მოწყვლადობის ფაქტორების შესწავლა და გამძლეობის გაძლიერების მეთოდების შემუშავება.

ფაქტჩეკინგ-ტექნოლოგიების განვითარება:

- პლატფორმები და აპლიკაციები ფაქტების გადასამოწმებლად;
- სურათისა და ვიდეოს მანიპულაციის ავტომატური გამოვლენის ინსტრუმენტები;
- ფაქტჩეკინგ-ინიციატივების და ინფორმაციის გადამოწმების საზოგადოებრივი განათლების მხარდაჭერა.

თანამშრომლობა უნივერსიტეტებთან და კვლევით ინსტიტუტებთან:

- ერთობლივი კვლევითი პროექტები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;
- კონფერენციები და აკადემიური სემინარები დეზინფორმაციასა და საინფორმაციო უსაფრთხოებაზე;
- სტიპენდიური პროგრამები ახალგაზრდა მკვლევრებისთვის.

ცოდნისა და ტექნოლოგიის გადაცემა:

- ტრენინგები და ვორქშოფები ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებში ახალი ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტების შესახებ;
- ცოდნისა და ტექნოლოგიის გაცვლა უცხოურ ორგანიზაციებთან;
- ღია პლატფორმები მონაცემებისა და ინფორმაციის გასაზიარებლად.

აღნიშნული ნაბიჯების განხორციელება და ჩამონათვალში მოცემული სტრატეგიების გატარება გააძლიერებს დეზინფორმაციასთან ბრძოლას საქართველოში, გაზრდის საზოგადოებრივ ცნობიერებას და გაამყარებს ქვეყნის პროდასავლურ მისწრაფებებს. სტრატეგიული პარტნიორის როლში, პოლონეთს, დემოკრატიული პოლიტიკური ჯგუფებისა და არასამთავრობო სექტორის მხარდაჭერით, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სტაბილური და ძლიერი საინფორმაციო გარემოს აშენებაში.

რეკომენდაციები პოლონეთისთვის:

- **პროპოლონური ნარატივების გაძლიერება**
    - პოლონეთის წვლილის აქტიური წარმოჩენა რეგიონულ განვითარებასა და სტაბილურობაში;
    - პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობების პოზიტიური მხარეების ხაზგასმა და საზოგადოებებს შორის კავშირების გაღრმავება;
    - ანტიპოლონური პროპაგანდის გაბათილება და მცდარი ნარატივების განმარტება.

- **პროდემოკრატიული ძალების მხარდაჭერა:** პრო-დემოკრატიული პოლიტიკური ძალების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური დახმარება საქართველოში.
- **დეზინფორმაციისადმი გამძლეობის გაძლიერება:** საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა, მედია-განათლებაში ინვესტირება და საზოგადოების მანიპულაციასთან გამკლავების უნარების ზრდა.
- **სამოქალაქო საზოგადოების განვითარება:** არასამთავრობო ორგანიზაციების, საგანმანათლებლო პროექტებისა და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი აქტივისტების მხარდაჭერა.
- **კომუნიკაციის დივერსიფიკაცია:** კომუნიკაციის ადაპტირება საქართველოს სხვადასხვა აუდიტორიაზე, მათ შორის სოფლად და უმცირესობების თემებში.
- **თანამშრომლობა ევროკავშირსა და ნატოსთან:** საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინირებული მოქმედებები საქართველოს გარემოს მონიტორინგისთვის და რეგიონული სტაბილიზაციისთვის.
- **მონიტორინგი და ანალიზი:** საქართველოში ვითარების უწყვეტი დაკვირვება, განსაკუთრებით დეზინფორმაციული კამპანიებისა და მოახლოებული არჩევნების კონტექსტში.
- **ფინანსური მხარდაჭერა:** პროევროპულ პროექტებსა და დამოუკიდებელ მედიაზე ფინანსური დახმარება, განსაკუთრებით, ზეწოლის პირობებში.
- **საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება:** დეზინფორმაციის საფრთხეებზე განათლება და კრიტიკული აზროვნების უნარების გაძლიერება.
- **აქტიური დიპლომატია:** საქართველოსთან პარტნიორობის გაღრმავება, თანამშრომლობის განმტკიცება და იმის უზრუნველყოფა, რომ ქვეყანამ არ გადაუხვიოს ევროპულ კურსს.

პოლონეთს სტრატეგიული ინტერესი აქვს საქართველოს სტაბილურობისა და ევროპულ და ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობაში და ზემოაღნიშნული ნაბიჯები ამ მიზნის მისაღწევად გადამწყვეტია.

საქართველოში დეზინფორმაციასა და FIMI-ს წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროებს კომპლექსურ, კოორდინირებულ მიდგომას თანამშრომლობაზე, განათლებაზე და ტექნოლოგიურ განვითარებაზე დაყრდნობით. პოლონეთს შეუძლია საკუთარ თავზე აიღოს სტრატეგიული როლი ამ პროცესში, რადგან მას ჯერ კიდევ აქვს ინსტიტუციური და თუნდაც პერსონალური გამოცდილება რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლისა და დემოკრატიული სტანდარტების დანერგვის შესახებ. საქართველოს პარტნიორად, პოლონეთს მნიშვნელოვანი მისია ეკისრება ამ გზაზე.